პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ანგარიში 2023

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 169-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვით, საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის შესახებ ანგარიშს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 31 მარტისა. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საანგარიშო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შინაარსი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიმართვა 4

I თავი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა 6

1. მონაცემთა დამუშავება საჯარო სექტორში 6

1.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები 6

1.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები 16

1.3. დავალებები და რეკომენდაციები 42

2. მონაცემთა დამუშავება კერძო სექტორში 44

2.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები 44

2.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები 53

2.3. დავალებები და რეკომენდაციები 63

3. მონაცემთა დამუშავება სამართალდამცავი ორგანოების მიერ 66

3.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები 66

3.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები 67

3.3. დავალებები და რეკომენდაციები 86

4. მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებები 90

4.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები 90

4.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები 98

4.3. დავალებები და რეკომენდაციები 124

II თავი. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი 128

1. ინფორმაციის გამოთხოვა 131

2. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები 132

3. პრეცედენტული გადაწყვეტილებები 134

4. დავალებები და რეკომენდაციები 139

5. სტატისტიკური მონაცემი 141

III თავი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები 151

IV თავი. საერთაშორისო თანამშრომლობა 155

1. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მოპოვება და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან თანამშრომლობა 155

2. სამსახურის წარმომადგენლობა დარგობრივ საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ქსელებში 157

3. თანამშრომლობა დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან .. 161

4.დარგობრივი ტენდენციების შესწავლა და კვლევითი საქმიანობა 165

V თავი. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობა 168

1. ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობები 168

2. ჩატარებული ტრენინგები და საჯარო ლექციები 174

VI თავი. სამსახურის ადმინისტრაციული მართვა 176

1. სამსახურის ორგანიზაციული მართვის საკითხები 176

1.1. ინსტიტუციური გაძლიერება და სამსახურის შიდაორგანიზაციული სტრუქტურა 176

1.2. კარიერული მართვა და დასაქმებულთა ოდენობა 176

1.3. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული ეთიკა 178

2. ბიუჯეტი და მისი შესრულება 179

2.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება 179

2.2. გაცემული სარგო, დანამატები და ფულადი ჯილდოები 180

2.3. სატრანსპორტო საშუალებები 181

2.4. სამსახურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება 181

2.5. მივლინებები და სხვა ხარჯები 182

2.6. დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება 182

დანართი №1: სტატისტიკური მონაცემი 183

1. მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის სტატისტიკა 183

2. თემატური სტატისტიკური მონაცემი 191

3. სხვა სტატისტიკური მონაცემი 206

დანართი №2: საჯარო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ 215

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიმართვა

წარმოგიდგენთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშს საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ.

ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

დღეს, როდესაც საქართველოს მინიჭებული აქვს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და ვიმყოფებით ევროინტეგრაციის პროცესში, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და, შესაბამისად, ახალი სტანდარტების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ახალი კანონის მიღება, რომელიც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის განვითარების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისათვის, რაც, ასევე, აღიარებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით 2023 წელი აღსანიშნავი იყო ევროკავშირის ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისითაც – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიენიჭა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) დამკვირვებლის სტატუსი, აგრეთვე, ჩამოყალიბდა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან თანამშრომლობის სრულიად ახლებური მოდელი. აღნიშნული წარმოადგენს ევროპელი კოლეგების მხრიდან ჩვენი სამსახურის მართლაც დიდ მხარდაჭერას, რაც უდიდესი პატივია და ამავდროულად – პასუხისმგებლობაც.

წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის განხორციელების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიმარ. ანგარიშში განხილულია ცალკეული აქტუალური საკითხები, როგორიცაა: მონაცემთა სუბიექტის ხელმისაწვდომობა საკუთარ მონაცემებზე; არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა;

მოწყვლადი ჯგუფების პერსონალური მონაცემების დამუშავება; შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვა; ჯანდაცვის, აგრეთვე, ფინანსურ სექტორებში პერსონალური მონაცემების დამუშავება და სხვა. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის მნიშვნელოვანი მიმართულებები.

ამასთანავე, ანგარიში მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის შეფასების შედეგად გაცემულ დავალებებსა და რეკომენდაციებს. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია სამსახურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის ამაღლება. აღნიშნული მიზნით, სამსახურმა გამართა არაერთი სამეცნიერო თუ საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება. სამსახურის 2023 წლის საქმიანობის სტატისტიკური მონაცემი ცხადყოფს სამსახურის მიმართ საზოგადოების გაზრდილ მომართვიანობას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონიერების შესწავლის მასშტაბურობასა და მის შედეგებს. წინამდებარე ანგარიშში საზოგადოება გაეცნობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შიდაორგანიზაციულ მართვასთან და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური განაგრძობს ევროპული ფასეულობების დაცვით, ქვეყანაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კულტურის გაძლიერებას.

ასოც. პროფესორი, დოქტ., დოქტ. ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

I თავი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა

1. მონაცემთა დამუშავება საჯარო სექტორში

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა საჯარო სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების 100-მდე შემთხვევა შეისწავლა, ათასზე მეტ საკონსულტაციო მომართვას უპასუხა, სათანადო პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად მრავალი ახალი ელექტრონული სისტემის და შესაბამისი მონაცემთა ბაზების შექმნის ეტაპზე მიაწოდა მონაცემთა დასაცავად აუცილებელ საკითხებზე ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის წარმომადგენლებს და მონაწილეობა მიიღო არაერთ საკოორდინაციო შეხვედრაში.

საჯარო სექტორში გამოვლენილი ფაქტები მრავალფეროვანია და ეხება ისეთ პროცესებს, როგორიცაა: დასაქმებულების და დამსაქმებლების ურთიერთობა; ჯანდაცვის სისტემაში მონაცემების გამჟღავნება; არასათანადო უსაფრთხოების ზომები; მომსახურების სივრცის მოწყობის მხრივ გამოვლენილი ხარვეზები და დაზუსტებული მონაცემების დამუშავების კუთხით არსებული ნაკლოვანებები; მონაცემების გამჟღავნება ვებგვერდების საშუალებით; არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის ისეთი ფაქტები, როგორიცაა სოციალური ქსელების მრავალწევრიან ჯგუფებში ბავშვების შესახებ დეტალური მონაცემების გასაჯაროება; დიდი რაოდენობით სტუდენტებზე ზედმეტი ინფორმაციის ვებგვერდებზე განთავსება; ელექტრონული უსაფრთხოების სისტემების იმგვარი პარამეტრებით ფუნქციონირება, რაც ზედმეტი არასაჭირო ინფორმაციის მოპოვებას განაპირობებს; არასათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც მონაცემების გამჟღავნების რისკებს ქმნის; ფიზიკური პირებისთვის საკუთარი მონაცემების ხელმისაწვდომობის უფლების სხვადასხვა კონტექსტში შეზღუდვის შემთხვევები და სხვა.

1.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები

— საანგარიშო პერიოდში მონაცემთა სუბიექტები აქტიურად სარგებლობდნენ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებით, მიმართავდნენ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას და ინტერესდებოდნენ იმ მასალებით, რომლებშიც მოლოდინი ჰქონდათ, რომ მათი პერსონალური მონაცემები იყო ასახული.

აღნიშნული, ერთი მხრივ, მიუთითებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ტენდენციაზე, თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ ხშირად მონაცემთა სუბიექტის უფლებებს ერთი და იგივე განმცხადებლები იყენებენ. ამასთან, არაერთი შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც მიმართვებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები ბუნდოვანი იყო, რამაც შეაფერხა დაინტერესებული პირების ჯეროვანი ინფორმირების პროცესი;

— საჯარო სექტორში გამოვლენილი შემთხვევებიდან მაღალია მონაცემების დამუშავების გამჭვირვალობის, ფიზიკური პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომის მიმართულებით დადგენილი დარღვევების რაოდენობა. ხსენებული გარემოება, უმეტესად, პერსონალური მონაცემების თაობაზე ინფორმაციით/მასალებით დაინტერესებული პირების მოთხოვნების ნაკლები პრიორიტეტულობით არის გამოწვეული, ასევე, საჯარო მოსამსახურეების მიერ იმ საკანონმდებლო ჩარჩოს არცოდნით, რომელიც ფიზიკური პირებისთვის თავიანთ მონაცემებზე, მათ შემცველ შესაბამის მასალებზე წვდომის გარანტიებს, კონკრეტულ ფორმებს და ვადებს ითვალისწინებს. მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით, ფიზიკურმა პირებმა უნდა შეძლონ საკუთარი მონაცემების განახლებაში, გასწორებასა და შეცვლაში მიიღონ მონაწილეობა. ასევე, მათთვის გარანტირებულია უფლება, დასაბუთებული წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარი მონაცემების დამუშავების პროცესებზე და ის დოკუმენტებიც მოიპოვონ, რომლებშიც მათი მონაცემები ფიქსირდება. აღნიშნული საკითხები შემოფარგლულია განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის თავისუფლებით, მისაღები ინფორმაციის შინაარსის საკანონმდებლო დეტალიზებით, იმპერატიულად დადგენილი კონკრეტული ვადებით (მაგალითად, 10 (ათი) კალენდარული დღეა განსაზღვრული პირის შესახებ ინფორმაციის დამუშავების თაობაზე მისი ინფორმირებისთვის, 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში უნდა შეიცვალოს, განახლდეს, წაიშალოს არაკანონიერად დამუშავებული მონაცემები ან/და მათზე უარის შესახებ ეცნობოს განმცხადებელს) და სხვა. მათი არცოდნა, ანდა პრაქტიკაში არასათანადო ყურადღების მიქცევა ხშირად ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზი;

— გამოწვევაა ინფორმაციის პერსონალურ მონაცემებად იდენტიფიცირების პრობლემა, რაც მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებზე არაჯეროვანი და არასრული პასუხების გაცემას, შესაბამისად, მათ ნაკლებ ინფორმირებულობას იწვევს. აღსანიშნავია, რომ პერსონალური მონაცემების ცნება ფართოა და ის

ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, მოსაზრებას, ფაქტს, გარემოებას, შეფასებას და სხვა.) გულისხმობს, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს ამა თუ იმ ფორმით უკავშირდება. პერსონალური მონაცემების სწორი აღქმა, მათი კანონიერად დამუშავების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თითოეული დებულების პრაქტიკაში სწორად რეალიზების საფუძველია;

— მონაცემების დამუშავების გამჭვირვალობისთვის, ფიზიკური პირების შესაბამის მოთხოვნებზე დროული და სრული რეაგირებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებს თითოეული პროცესი მორგებული ჰქონდეთ მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზების საჭიროებებზე. მაგალითად, დაამუშაონ ინფორმაცია ისე, რომ თავიდანვე ჰქონდეთ იდენტიფიცირებული ლეგიტიმური მიზნები, შეინახონ ინფორმაცია მონაცემების შეგროვების გზებზე, ასევე, იმ პირებზე, რომლებზეც მონაცემებს გასცემენ, აღრიცხონ თითოეული ამგვარი მოქმედების დრო და სხვა. აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებები ხშირად დაგვიანებით რეაგირებენ საკუთარი მონაცემებით დაინტერესებული მოქალაქეების მიმართვებზე, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანური რესურსის დახმარებით უწევთ მოთხოვნილი ინფორმაციის თავიდან დამუშავება, გახსენება და ისე გაცემა;

— საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შეფასებულ პროცესებში განიმარტა არასრულწლოვნებისთვის მათივე მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მიწოდების მნიშვნელობა, მაშინაც კი, თუ მათ წარმომადგენელი არ ჰყავდათ, ან შშმ პირებს წარმოადგენდნენ. სამსახურმა არ გაიზიარა დაწესებულებების არგუმენტები ადამიანური რესურსების სიმწირესა და ამით განპირობებულ დაგვიანებულ რეაგირებებთან დაკავშირებით. მათ მიეთითათ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან თანმხვედრ, გონივრულ ვადებზე და ადეკვატურ სხვადასხვა ზომაზე, მაგალითად, სოციალური მუშაკის ჩართულობით ბავშვებთან კომუნიკაციაზე, სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნისთვის შესაბამისი მასალების წაკითხვის გზით მისი ინფორმირების შესაძლებლობაზე, უსინათლო არასრულწლოვნისთვის პერსონალური მონაცემების შემცველი მასალების ბრაილის შრიფტით მიწოდებაზე და სხვა;

— დისციპლინური საქმისწარმოება, პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კუთხით, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა როგორც დისციპლინური წარმოების

შედეგებთან დაკავშირებით ზედმეტი ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევები, ასევე დისციპლინური საქმისწარმოების მასალების მონაცემთა სუბიექტების მიერ გამოთხოვის იმგვარი ფაქტები, რომლებსაც არაჯეროვნად გამოეხმაურნენ საჯარო დაწესებულებები. ისინი ხშირად თავს იკავებენ საქმისწარმოების მასალის მონაცემთა სუბიექტებისთვის მიწოდებისგან, რადგან მიიჩნევენ, რომ საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლებას, მოწმეების, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეების, თანამდებობის პირების და სხვათა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება გადაწონის. ხაზგასასმელია, რომ კანონი ადგენს როგორც მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლებას, ასევე განსაზღვრავს ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. კერძოდ, კანონის 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება იზღუდება, თუ ამ უფლების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ისეთი საფუძვლის არსებობის პირობებშიც კი, როგორიცაა მესამე პირების უფლებების დაცვის ინტერესი, საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა მონაცემთა სუბიექტისა და მესამე პირების უფლებებს შორის. ამისთვის მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებლებმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის კონტექსტისა და შინაარსის გათვალისწინებით შეაფასონ მათი კანონიერი ინტერესის მასშტაბი და ამ ინტერესის თანაფარდობა მესამე პირების უფლებების დაცვის ინტერესთან. ევროპული და ქართული კანონმდებლობის თანახმად, სხვა პირთა უფლებების დაცვის მოტივით მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებაზე უპირობო უარი არ შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს. როგორც წესი, დოკუმენტები ხშირად ასახავს ერთდროულად რამდენიმე პირის მონაცემებს, ამ საფუძვლით უფლებების ბლანკეტური შეზღუდვა კი ადამიანებისთვის გარანტირებულ შესაძლებლობებს ილუზორულად აქცევს. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით შესაძლებელია მასალების იმგვარად დამუშავება, რომ მათში მოდიფიცირებულ იქნეს ან დაიფაროს სხვა პირთა მაიდენტიფიცირებელი და სხვა მონაცემები, შესაბამისად, ერთი მხრივ, დაცულ იქნეს ისინი არაკანონიერი გამჟღავნებისგან, ხოლო მეორე მხრივ, არ შეეზღუდოს ფიზიკურ პირს თავისი მონაცემების შემცველ მასალებზე წვდომა;

— გამოვლენილი შემთხვევები მიუთითებს, რომ შრომით ურთიერთობებში დისციპლინური წარმოებების საფუძველი ზოგჯერ დაინტერესებული

მოქალაქეების საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაცია ხდება, მაგალითად, ისინი შენიშნავენ საჯარო მოხელის არასათანადო ქცევას და დამსაქმებელს მოსთხოვენ დისციპლინური წარმოების გზით მის შეფასებას. მსგავს ვითარებაში, ერთი მხრივ, იკვეთება მონაცემთა სუბიექტის (თანამშრომლის) პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის ინტერესი, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითაც ხაზგასმულია, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულების კანონიერი ინტერესი, დაარწმუნოს საზოგადოების ინფორმირებული წევრი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებასა და ეფექტიანი რეაგირების განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია, ლეგიტიმური მიზნებისა და კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს ამა თუ იმ პირისთვის/პირებისთვის გადაცემას. აღნიშნულის სრულად შეზღუდვამ და გამონაკლისის დაშვების გამორიცხვამ შესაძლოა გამოიწვიოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მიმართ ხელმისაწვდომობის არამართლზომიერი შეზღუდვა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხის შემცირება და თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკიც. შესაბამისად, მესამე პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, საჯარო მოსამსახურის არამართლზომიერ ქმედებებს უკავშირდება, საკუთარი პასუხისმგებლიანი მიდგომის დემონსტრირებისთვის უწყებას შეიძლება ჰქონდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის აღდგენის/განმტკიცების და აღნიშნული ორგანოს რეპუტაციის დაცვის კანონიერი ინტერესის უზრუნველსაყოფად დისციპლინური წარმოების შედეგების გამჟღავნების ლეგიტიმური ინტერესი. თუმცა, გავრცელებული ტენდენციაა მსგავს შემთხვევებში არასათანადო ყურადღების დათმობა გამჟღავნებული ინფორმაციის მოცულობისთვის. უმეტესად, საკმარისია მხოლოდ იმ გარემოებაზე საზოგადოების ინფორმირება, რომ დისციპლინური წარმოება ჩატარდა, არამართლზომიერი ფაქტი გამოვლინდა და გამოყენებულ იქნა სახდელი, მისი დაკონკრეტების და დარღვევის თაობაზე სხვა დეტალების გასაჯაროების გარეშე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, იმოქმედოს დამუშავებული მონაცემების მოცულობის მინიმიზაციის პრინციპით და პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას დაიცვას სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამუშავების

ლეგიტიმურ მიზანს, მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას შორის;

— საჯარო დაწესებულებებისთვის, მათი საქმიანობის კანონმდებლობით მოწესრიგების გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლები ძირითადად ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევაა, ასევე, მონაცემები მუშავდება კანონიერი საჯარო ინტერესების დასაცავად. აღნიშნულის მიღმა დამატებით საფუძვლად უწყებები ხშირად ითხოვენ მონაცემთა სუბიექტის თანხმობას. როდესაც აღნიშნული ხელშეკრულებების გზით ხორციელდება, ფიზიკური პირები სავალდებულო პირობად მიიჩნევენ თანხმობების გაცემას. მსგავს შემთხვევებში უმჯობესია დაწესებულებებმა სახელშეკრულებო ჩანაწერს უფრო ინფორმაციული დატვირთვა მიანიჭონ და მოითხოვონ არა თანხმობა, არამედ აუხსნან ფიზიკურ პირებს, რომ მათ აქვთ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული საფუძვლები და ლეგიტიმური, მკაფიო და კონკრეტული მიზნები, რასაც ემსახურება ხელშეკრულების მხარის შესახებ ინფორმაციის მოპოვება თუ შემდგომი გამოყენება;

— განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ვებგვერდების საშუალებით მონაცემების გამოქვეყნებისას. აღნიშნული საშუალება მონაცემების პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ხელმისაწვდომობას იწვევს. შესაბამისად, კრიტიკულად უნდა შეფასდეს გამოქვეყნებული ინფორმაციის მოცულობა, საჭიროება და, ასევე, ვადა. საჯარო დაწესებულებები ინფორმაციებს, როგორც წესი, პროაქტიულად აქვეყნებენ, რაც გამჭვირვალობისთვის, კარგი მმართველობისთვის მისაღები და საჭირო ტენდენციაა, თუმცა ხშირია ფაქტები, როდესაც გამოქვეყნებული მონაცემები აქტუალობას კარგავს, იცვლება გასაჯაროებულ პირთა სტატუსები, პოზიციები, ორგანიზაციული კავშირები, მათზე ინფორმაცია კი ვებგვერდზე მოძველებული სახით რჩება. უმეტესად არ აქვთ უწყებებს წერილობითი ან პრაქტიკაში მყარად ჩამოყალიბებული ინსტრუქციები, ვებგვერდების საშუალებით დასამუშავებელი მონაცემების შინაარსზე, ვადებზე, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, რომელთაც გასაჯაროების შემდეგაც ინფორმაციის განახლებასა და წაშლაზე ზრუნვა ევალებათ. აღნიშნული განაპირობებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევას და პირთა მოცულობითი მონაცემების უკანონო დამუშავებას;

— მონაცემების უკანონო დამუშავების ფაქტების გამოვლენისას დაწესებულებები ხშირად უთითებენ ადამიანურ შეცდომებზე და თანამშრომლებიც უმეტესად აღიარებენ თავიანთ ქმედებებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო ორგანიზაციების სტრუქტურული მოწყობის თავისებურებების გათვალისწინებით, გადაწყვეტილებების მიღების და აღსრულების პროცესში, როგორც წესი, რამდენიმე პირი მონაწილეობს, რაც გაუცნობიერებელი და არასწორი გადაწყვეტილებებისგან საჯარო პროცესების დაცვას ემსახურება. ადამიანური შეცდომები მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების საქმეებში ძირითადად უკავშირდება დაწესებულებების მიერ პრევენციული ზომების მიუღებლობას, რისკების არასათანადო შეფასებას და დაზღვევას, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობის მიმართ თანამშრომლების პროფესიული უნარების ამაღლებაზე ნაკლებ ზრუნვას, უკანონო შემთხვევების გამოსავლენად და რეაგირებისთვის მონიტორინგის მექანიზმების არარსებობას, რაც ორგანიზაციების ბრალეულობას განაპირობებს;

— საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კვლავ პრობლემურად რჩება საჯარო დაწესებულებების მიერ მათი და მონაცემთა დამუშავების პროცესებში ჩართული სხვა უწყებების როლების სწორად შეფასების საკითხები. ერთ-ერთი განხილვის ფარგლებში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საჯარო უწყებამ პერსონალური მონაცემები, დავის განმხილველი სასამართლო ინსტანციის გარდა, ყველა სხვა ინსტანციის სასამართლოს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუმჟღავნა, ვინაიდან ისინი, როგორც მართლმსაჯულების ხელისუფლების წარმომადგენლები, ერთ მონაცემთა დამმუშავებლად მოიაზრა. კანონით მკაფიოდ განსაზღვრული დებულებებიდან გამომდინარე, სამსახურმა მსგავსი არგუმენტაცია არ გაიზიარა და თითოეული ინსტანციის სასამართლო, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცალკეულ მონაცემთა დამმუშავებლებად ცნო. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით განსაზღვრავენ კონკრეტული საქმის განხილვისას მონაცემების დამუშავების საშუალებებს და მიზნებს, დავის განხილვაში მათი ჩარევის და მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია, მეტიც, რომელიმე ინსტანციაში საქმე შესაძლოა არც მოხვდეს. დაწესებულებების სტატუსების სწორად იდენტიფიცირება მნიშვნელოვნად განაპირობებს მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონიერებას. 2023 წლის განმავლობაში, კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებაში შეიძლება მონაწილეობდეს უფლებამოსილი პირი ან მონაცემთა დამმუშავებელი. მათი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

განსხვავებულია, ასევე, კანონი ითვალისწინებს ამგვარ პირებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ფორმებს (ხელშეკრულება, სამართლებრივი აქტი), პირობებს და სხვა. მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე პასუხისმგებლობა ძირითადად მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებს ეკისრებათ, თუმცა, თუკი ისინი უფლებამოსილი პირების მომსახურებას იყენებენ, ამ უკანასკნელზეც ნაწილდება ვალდებულებები, განსაკუთრებით, მონაცემთა უსაფრთხოების მიმართულებით. შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებმა თავიანთი და სხვა პირების პროცესებში მონაწილეობის ხარისხი, მოვალეობები და ფუნქციები თავიდანვე სწორად შეაფასონ;

— საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი დარღვევებიდან ჭარბობს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევები. ელექტრონული სისტემები, მათი სიძველის, ასევე, იმ მიზეზით, რომ შექმნის ეტაპზე ნაკლებად ექცეოდა ყურადღება მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის საჭირო ფუნქციონალებს, მონაცემთა ბაზებში განხორციელებულ მოქმედებებს, უმეტესად, სრულად ვერ აღრიცხავს. ამ უკანასკნელს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასანქცირებული წვდომების გამოსავლენად, უკანონო შემთხვევების მიკვლევადობისთვის, პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად და სხვა. როგორც წესი, მონაცემთა ბაზებში სხვადასხვა შინაარსის მოქმედებები სრულდება, ესენია, მაგალითად, მონაცემების შემცველი ჩანაწერების შექმნა, წაშლა, რედაქტირება, ჩამოტვირთვა, დათვალიერება, გადაგზავნა და ა.შ. აუცილებელია, რომ თითოეულ შემთხვევაში აღირიცხებოდეს ქმედების შინაარსი, დრო, განმახორციელებელი პირის ვინაობა, საფუძველი და სხვა. ასევე, ამგვარი მოქმედებები უნდა აღირიცხებოდეს მონაცემთა ბაზაზე, მაგალითად, ადმინისტრატორის უფლების მქონე პირთა პირდაპირი წვდომების შემთხვევაში. ხშირია ფაქტები, როდესაც მონაცემების დათვალიერებასთან დაკავშირებული მოქმედებები, ასევე, ბაზაზე პირდაპირი წვდომის შემთხვევები არ ფიქსირდება ელექტრონულ სისტემებში, მონაცემების მიმართ უკანონო მოქმედებების განხორციელების მთავარი რისკი კი სწორედ ამ მოქმედებების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. შესაბამისად, სამსახურის მიერ განხორციელებული შესწავლა, მათ შორის, ამგვარი შემთხვევების გამოვლენასა და გამოსწორებას ისახავს მიზნად;

— მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო ზომების დატვირთვა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ არსებითად იზრდება.

ელექტრონული სისტემების სწორად ფუნქციონირება დიდწილად განაპირობებს, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და საფუძვლების დაცვასაც. საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეებიდან გამოვლინდა, რომ ელექტრონული სისტემები მოიპოვებენ იმაზე მეტ მონაცემებს, ვიდრე ორგანიზაციებს სჭირდებათ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ინახება დიდი მოცულობის ინფორმაცია, მაგალითად, დასაქმებული პირების კომპიუტერული აქტივობების თაობაზე, მაშინ, როდესაც დაწესებულების მიზანს მხოლოდ თავისი ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საშიში ფაილების, კომპიუტერული პროგრამებისა და ბმულების გამოვლენა წარმოადგენს. შესაბამისად, არსებითი ეტაპი, როდესაც დაწესებულებებმა მონაცემების დაცვაზე ზრუნვისთვის პრევენციული ზომების მიღება უნდა დაიწყონ, ელექტრონული სისტემების შექმნა და მათი კონფიგურაციის თაობაზე დავალებების გაცემაა იმისათვის, რომ პირადი ხასიათის უკანონო მოპოვების, გამჟღავნების ან სხვა გზით დამუშავების რისკები მინიმუმამდე შემცირდეს;

— საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა არასრულწლოვნების მონაცემების საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი თანამშრომლების მიერ უკანონო დამუშავების ფაქტები. ამ კუთხით გამოიკვეთა მათი ინფორმირების ნაკლოვანებები, ბავშვების სასკოლო აქტივობების თაობაზე დეტალური ინფორმაციის არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნების არაერთი შემთხვევა, ასევე, უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე ვიდეოთვალთვალის განხორციელების პროცესები. ბავშვთან დაკავშირებით მიღებული თითოეული გადაწყვეტილება მათ საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, არასრულწლოვნების მონაცემების მოპოვებამდე, გამჟღავნებამდე ან სხვა გზით დამუშავებამდე სკოლებმა, პედაგოგებმა ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში უპირველესად უნდა შეაფასონ მათი ინტერესები და შეეცადონ, მონაცემების დამუშავების იმგვარი გზები და საშუალებები გამონახონ, რომ ბავშვების პირადი ცხოვრების უფლებაში არამართლზომიერი ჩარევა გამოირიცხოს;

— კვლავ აქტუალურია შრომით ურთიერთობებში მონაცემების უკანონო დამუშავების შემთხვევები. სამსახურმა განიხილა რამდენიმე მომართვა, რომელშიც სადავო იყო ელექტრონული სისტემების საშუალებებით თანამშრომლების კომპიუტერული აქტივობების თაობაზე დეტალური ინფორმაციის უკანონო მოპოვების ფაქტები. ცალკეულ შემთხვევაში გამოვლინდა მსგავსი ელექტრონული პროგრამები და გაიცა შესასრულებლად

სავალდებულო დავალებები, რომლებიც მონაცემთა დამმუშავებელმა დაუყოვნებლივ აღასრულა. ამ ტიპის ურთიერთობებისთვის, ასევე, დამახასიათებელია საკუთარი მონაცემების შემცველი მასალების თუ ინფორმაციის მოქმედი და ყოფილი დამსაქმებლებისგან მოთხოვნის ფაქტები, რომლებსაც ხშირად არაჯეროვანი რეაგირება მოჰყვება. დაწესებულებები უმეტესად აპელირებენ მოცულობით მასალებში სხვა პირების უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე, ერიდებიან დოკუმენტების დაშტრიხვას და ამ გზით ზღუდავენ მონაცემთა სუბიექტის უფლებებს;

— საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების უსაფრთხოებას, ასევე, მათ სიზუსტეს. გამოვლინდა გარკვეული ელექტრონული პროგრამები, რომლებიც ვერ პასუხობდა მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნებს, მაგალითად, არ აღრიცხავდა მონაცემების დათვალიერების, წაშლის ან/და გადმოწერის შესახებ ინფორმაციას. პროგრამის მომხმარებლებს არ ჰქონდათ განპიროვნებული სახელი და პაროლი. აღნიშნული შემთხვევები ადამიანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კონფიდენციალობას უქმნის საფრთხეს. მონაცემთა მიმართ შესრულებული ქმედებების სრულყოფილად აღრიცხვის გარეშე მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ინფორმაციის უკანონო დამუშავების, მათ შორის, გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლოა ვერ დაფიქსირდეს შესაბამისი ფაქტი და ვერ იდენტიფიცირდეს პასუხისმგებელი პირი. ამასთან, ელექტრონული ფორმით დაცულ მონაცემებზე განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვა, ასევე, აღნიშნული მოქმედებების კანონიერების პერიოდული მონიტორინგი მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემებზე უკანონო წვდომის შესაძლებლობას და ახდენს მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციას;

— 2023 წლის განმავლობაში შესწავლილ ცალკეულ საქმეებში ყურადღება გამახვილდა სამედიცინო დაწესებულების ექიმების მიერ პაციენტებისთვის კონსულტაციის ინდივიდუალურ სივრცეში გაწევის აუცილებლობაზე. გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საკონსულტაციო გარემო მოწყობილი იყო რამდენიმე ექიმის სამუშაო ოთახში. მსგავს ვითარებაში არსებობს მესამე პირებისთვის მონაცემების გამჟღავნების რისკები, რაც მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი კონსულტირების პროცესში დამუშავებული მონაცემების მოცულობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით. მაგალითად, როდესაც კონსულტაციის მიზნით პირი შედის ორი ექიმის სამუშაო ოთახში, არსებობს შესაძლებლობა, რომ მეორე პირმა სხვადასხვა გარემოების გამო ვერ დატოვოს

სივრცე და მოისმინოს მისთვის არასაჭირო ინფორმაცია, ან/და ოთახის დატოვებისას მის სამუშაო გარემოში დარჩეს პერსონალური მონაცემების შემცველი მასალები, რაც ხილვადი იქნება მომსახურების მიმღები პირისთვის. ასევე, არსებობს შესაძლებლობა, რომ პაციენტების რაოდენობის გამო საჭირო გახდეს ყველა ექიმის სამუშაო სივრცის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით სამსახურმა შეაფასა საკონსულტაციო სივრცეების მოდიფიკაციის საჭიროებები.

1.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

- **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასაქმებული პირების კომპიუტერული მონაცემების მოპოვება**

სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს განხორციელებული სატელეფონო ზარები და კორესპონდენცია, მისი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა წარმოადგენდეს დასაქმებული პირის პერსონალურ მონაცემებს. შესაბამისად, თანამშრომელთა შესახებ მონაცემების ფარულად მოპოვება სამსახურებრივ კომპიუტერებში გააქტიურებული აპლიკაციების, პროგრამებისა და სერვისების მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერად დამუშავებად და პირად ცხოვრებაში არათანაზომიერ ჩარევად შეიძლება შეფასდეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი კომპიუტერებით განხორციელებული ქმედებების აღრიცხვის მიზნებისა და აღნიშნული მონაცემების მოსაპოვებლად თანამშრომელთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე, ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის საშუალებით მონაცემთა დამუშავების პროცესსა და მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევის მიზნით არაგეგმური შემოწმება ჩაატარა.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი 10-ზე მეტი იურიდიული პირის თანამშრომლების 3000-მდე კომპიუტერზე გააქტიურებული იყო სპეციალური ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც IT მოთხოვნის, სამსახურიდან დროებითი დათხოვნის და საშვის მოთხოვნის გასაგზავნად გამოიყენებოდა. თუმცა, იმავდროულად, აგროვებდა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირების მიერ კომპიუტერების საშუალებით

განხორციელებული ქმედებების თაობაზე დეტალურ ინფორმაციას. შეგროვებული მონაცემები მოიცავდა დასაქმებულების მიერ კომპიუტერში გამოყენებული ელექტრონული პროგრამების დასახელებას, აღნიშნული პროგრამების გამოყენების პერიოდს, პროგრამებში გახსნილი აქტიური ფანჯრების (ე.წ. "Tab") დასახელებას და სხვა. ასევე, სამინისტროს შემუშავებული ჰქონდა სპეციალური სიტყვები, რომელთა პროგრამის აქტიურ ფანჯარაში აღმოჩენის შედეგად, თითოეული თანამშრომლის შესახებ გროვდებოდა ინფორმაცია მის მიერ გამოყენებულ კომპიუტერულ პროგრამებთან, დათვალიერებულ ვებგვერდებთან და ამ გვერდების შინაარსთან დაკავშირებით. ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამაში ხელმისაწვდომი იყო თანამშრომელთა მიერ ბოლო 60 დღის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ, თანამშრომლის მიერ ყველაზე ხანგრძლივად გამოყენებული პროგრამების და საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი გამოყენების ხანგრძლივობების შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლების მითითებით. ხსენებულ ინფორმაციაზე წვდომა კი ჰქონდა სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების 30-მდე თანამშრომელს. იმავდროულად, სამსახურმა გამოარკვია, რომ ზემოაღნიშნულ პროცესში დამუშავებულ მონაცემებს შრომითი საქმიანობის ფარგლებში თანამშრომელთა მონიტორინგის მიზნით იყენებდა ერთ-ერთი დეპარტამენტი, რომლის უფროსი მივლინების დროს აკონტროლებდა თავისი თანამშრომლების აქტივობებს. პროგრამის საშუალებით მოპოვებული მონაცემები დასაქმებულთათვის წარმოადგენდა ასევე საკუთარი დროის თვითმონიტორინგის საშუალებას იმის დასადგენად, თუ რა დროს უთმობდნენ საქმეს და რა დროს – პირად საკითხებს. თუმცა, თანამშრომლები არ იყვნენ/არასათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის საშუალებით ინფორმაციის სტატისტიკური სახით ხელმისაწვდომობის თაობაზე.

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების ფარგლებში გამოირკვა, რომ სამინისტროს მიერ ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის მეშვეობით დამუშავებული მონაცემების ნაწილი შეიცავდა ადამიანის არა სამსახურებრივ, არამედ პირად/პრივატულ ინფორმაციას, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის საშუალებით შეგროვებული მონაცემების თანამშრომელთა თვითმონიტორინგის მიზნით დამუშავება არ ეფუძნებოდა აღნიშნულ პირთა სურვილსა და ნებას, ისინი არ იყვნენ ჯეროვნად ინფორმირებულნი და ამ შესაძლებლობით აქტიურად არც სარგებლობდნენ. რაც შეეხება ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით მონაცემების მოპოვებას, დადგინდა, რომ სამინისტრო იყო კრიტიკული ინფრასტრუქტურის პირველი ხარისხის სუბიექტი, ის იყენებდა რამდენიმე სახის და სხვადასხვა დონის

ლიცენზირებულ თანამედროვე მოწყობილობებს და პროგრამულ უზრუნველყოფას. შესაბამისად, სადავო პროგრამით მოპოვებული მონაცემები იშვიათად იქნებოდა გამოსადეგი ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად, რის გამოც, ამ გზით თანამშრომლების სამუშაო კომპიუტერებიდან მონაცემები მხოლოდ მინიმალური მოცულობით უნდა შეგროვებულიყო, ხოლო აღრიცხულ ინფორმაციაზე წვდომები მაქსიმალურად შეზღუდულიყო.

სამსახურის შეფასებით, თანამშრომელთა სათანადოდ ინფორმირების პირობებშიც კი, მოპოვებული კომპიუტერული მონაცემების გამოყენებით სამუშაო დროის უკეთ ორგანიზება მხოლოდ დასაქმებულის ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული. შესაბამისად, თვითმონიტორინგის მიზნით ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის საშუალებით კომპიუტერული აქტივობების შესახებ მონაცემების მოპოვება და შემდგომი დამუშავება მხოლოდ დასაქმებულების სურვილის, ინიციატივის საფუძველზე შეიძლებოდა განხორციელებულიყო; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ სამინისტროს იდენტიფიცირებული ჰქონდა მონაცემთა დამუშავების რამდენიმე (თანამშრომელთა თვითმონიტორინგის და ინფორმაციული უსაფრთხოების) მიზანი, თუმცა თანამშრომელთა სურვილის და ინიციატივის, ამასთან, მათი ინფორმირების გარეშე გამოვლენილი მოცულობის მონაცემების დამუშავება თვითმონიტორინგის მიზნით გაუმართლებელი იყო, ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნებისთვის კი სამინისტროს მიერ მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემების უკანონო მოპოვების რისკებს ქმნიდა. აღნიშნული მიუთითებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის (მონაცემების უსაფრთხოება) დარღვევაზე, რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის საფუძველზე.

- **ერთ-ერთ სკოლაში ბავშვის მონაცემების ადვოკატისთვის გამჟღავნება**

ბავშვების უფლებების სათანადოდ რეალიზებაში განსაკუთრებული როლი ბავშვზე მზრუნველ პირებს, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებს აკისრიათ. აღნიშნული დაწესებულებები, როგორც ბავშვის აღზრდის პროცესში მონაწილე სუბიექტები, ვალდებულნი არიან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვის ინტერესების ჯეროვნად დაცვის საკითხს და ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის დამუშავების თითოეული შემთხვევისას, მით უფრო, მონაცემების

მესამე პირისთვის გადაცემისას, სათანადო მტკიცებულებების შეჯერების და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების გზით, საფუძვლიანად შეისწავლონ მონაცემთა დამუშავების კანონიერება და მიზანშეწონილობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ხაშურის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მიერ არასრულწლოვნის მონაცემების უკანონო გამჟღავნების ფაქტები გამოავლინა.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა არასრულწლოვნის სარჩელის განხილვა, მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე დაუშვებელი ხელყოფის აღკვეთის მოთხოვნით, ხოლო მოთხოვნის განმსაზღვრელ ერთ-ერთ გარემოებად მითითებული იყო, რომ ბავშვი სწავლობდა ხაშურის შესაბამის საჯარო სკოლაში და სარჩელს მტკიცებულებად ერთვოდა შესაბამისი ცნობა. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, დავის მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა სკოლიდან გამოითხოვა არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია ოფიციალური განცხადებით, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის ტიტულოვან ფურცელზე იყო შესრულებული, თუმცა მინდობილობა არ ერთვოდა. მიმართვით პირი ითხოვდა არასრულწლოვნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის და სხვა სკოლაში გადასვლის შესახებ ინფორმაციას მისი სასამართლოში წარდგენის მიზნით. სკოლამ გამოთხოვილი ინფორმაცია განცხადების ავტორზე გასცა ისე, რომ ხსენებულთან დაკავშირებით არ მოუპოვებია არასრულწლოვნის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა.

სამსახურმა დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული წერილით სკოლამ არასრულწლოვნის მონაცემები არა სასამართლოს, არამედ სასამართლო დავაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელს გადასცა. ამასთან, სკოლა სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა და, მიმდინარე სამართალწარმოებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული წერილის სასამართლოში წარდგენის ან/და რომელიმე მხარისთვის გადაცემის საკუთარი ინტერესი ან/და სასამართლოს დავალება არ ჰქონია. შესაბამისად, სკოლამ ბავშვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან მიმართებით საკუთარ ინტერესსა და ლეგიტიმურ მიზანზე ვერ მიუთითა და ისე გაამჟღავნა არასრულწლოვანი განმცხადებლის მონაცემები, რომ მისთვის უცნობი იყო კონკრეტული სამართლებრივი დავის დანამდვილებით არსებობის ფაქტი. ამდენად, ბავშვის მონაცემების გამჟღავნებამდე სკოლის ხელთ არსებული ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ვერ იქნებოდა საკმარისი მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში

დასარწმუნებლად, მათ შორის, ვერც დაინტერესებული პირის და მონაცემთა სუბიექტის ინტერესების შესაპირისპირებლად და დასაბალანსებლად.

სამსახურის შეფასებით, სკოლას, არასრულწლოვნის ინტერესებთან თანხვედრით, უნდა გაეთვალისწინებინა მონაცემების შემდგომი დამუშავების პოტენციური რისკები და იმ პირობებში, რომ სკოლამ მონაცემთა სუბიექტის მოდავე მხარეს გაუმჟღავნა ბავშვის მონაცემები, საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ იქნებოდა დარწმუნებული აღნიშნული გადაწყვეტილების ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადობაში, ვინაიდან მისთვის ვერ იქნებოდა განჭვრეტადი მონაცემთა დამუშავების შემდგომ პროცესში ბავშვის ინტერესების სარგებელი. ამდენად, ადვოკატის მხრიდან ბავშვის მონაცემების კანონიერად გამოთხოვის პირობებშიც სკოლას არასრულწლოვნის ის მონაცემები არ უნდა გაემჟღავნებინა, რომლებიც თავად არასრულწლოვანმა არ გახადა ხელმისაწვდომი ადვოკატისთვის, ვინაიდან მას ზემოხსენებული მონაცემების გამჟღავნების თაობაზე არც არასრულწლოვნის თანხმობა ჰქონდა და არც სასამართლოს დავალება, მონაცემთა დამუშავების სხვა რომელიმე საფუძველი კი განხილვის ფარგლებში არ გამოკვეთილა.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სადავო წერილის გაგზავნის გზით განმცხადებლის მონაცემების გამჟღავნებისას სკოლის მიერ ვერ იქნა დაცული ბავშვის მონაცემებთან მოპყრობის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი და საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნდა კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველი. შესაბამისად, სამსახურის გადაწყვეტილებით, სკოლა მიჩნეულ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის.

- **ერთ-ერთ სკოლაში მონაცემების სოციალური ქსელის მეშვეობით გამჟღავნება**

საგანმანათლებლო პროცესში პედაგოგიური საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ბავშვების მონაცემები, ისევე, როგორც ბავშვის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება და მიღებული გადაწყვეტილებები, მათი საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს/განხორციელდეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შეტყობინების საფუძველზე, თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის

მასწავლებლის მიერ ბავშვების მონაცემების “Messenger”-ის ჯგუფებში გამჟღავნების კანონიერება შეისწავლა.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ გაკვეთილის მიმდინარეობისას დამრიგებლის მხრიდან შშმ პირთა შესახებ გამოთქმულ შეხედულებას ერთ-ერთი მოსწავლის მძაფრი რეაქცია მოჰყვა, ვინაიდან მას ძმა ჰყავდა შშმ პირი, რომელიც იმავე სკოლაში სწავლობდა. ინციდენტის მოგვარებაში ჩაერთო არასრულწლოვნის მშობელი, რომელმაც საქმის კურსში ჩააყენა სკოლის დირექტორი. მომხდარი ფაქტის გარშემო დაინტერესება კლასის სხვა მოსწავლეების მშობლებმაც გამოხატეს და შემთხვევა შეხვედრის ფარგლებში განიხილეს, ხოლო მოგვიანებით, არასრულწლოვნის დედამ განცხადებით სკოლის დისციპლინურ კომიტეტს მიმართა. აღნიშნული საქმისწარმოება კი დამრიგებლისთვის საყვედურის გამოცხადებით დასრულდა. ამასთან, კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, დამრიგებელმა “Messenger”-ის ორ სხვადასხვა ჯგუფში მშობლის განცხადებაზე თავისი წერილობითი პასუხის ამსახველი ფოტოები განათავსა.

შესწავლის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა მითითებული ჯგუფების შექმნის მიზნობრიობაზე და დადგინდა, რომ ერთ-ერთში გაწევრიანებული იყო კლასის მოსწავლეების 30-მდე მშობელი, საორგანიზაციო საკითხებზე და სასწავლო პროცესის შესახებ დამრიგებელსა და მშობლებს შორის ინფორმაციის მყისიერად გასაცვლელად. მეორე ჯგუფი კი სკოლის 30-ზე მეტი თანამშრომლისგან შედგებოდა და შექმნილი იყო დისტანციური სწავლების დროს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციისთვის. დამრიგებლის მიერ ზემოხსენებულ ჯგუფებში გამჟღავნებული მასალა შეიცავდა მოსწავლის მშობლის განცხადების ტექსტიდან ამონარიდებს და მათზე მასწავლებლის კომენტარებს, ასევე, არაერთი პირის საუბრის შინაარსს, გაკვეთილის მიმდინარეობისას და შემდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს, არასრულწლოვნებისა და მათთან დაკავშირებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მომხდარი ფაქტის გამო მიმდინარე დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში გამოკვლეულ და შეფასებულ კონფიდენციალურ გარემოებებს, როგორც შემთხვევასთან უშუალოდ დაკავშირებული, ისე სხვა მოსწავლის სახელსა და გვარს, მათთან კომუნიკაციის შინაარსს, მოსწავლეების დამოკიდებულებებს კონკრეტული ფაქტების მიმართ და ა.შ. თავის მხრივ, პედაგოგმა განმარტა, რომ მან საკუთარი სიმართლისა და რეპუტაციის დაცვის მიზნით გაამჟღავნა აღნიშნული ინფორმაცია, რადგან განვითარებული მოვლენები თავისი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საზიანოდ მიიჩნია.

საკითხის შეფასებისას ყურადღება გამახვილდა არასრულწლოვნების პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსების, კეთილდღეობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დაცვაში ბავშვზე მზრუნველი პირების (მათ შორის, პედაგოგების) განსაკუთრებულ როლზე. ამასთან, განიმარტა, რომ თითოეულ მონაცემთა დამმუშავებელს შესაძლოა ჰქონდეს საკუთარი პროფესიული რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც მის სამსახურებრივ ქმედებებთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს და პროფესიული საზოგადოება აღნიშნულზე ინფორმირებულია. თუმცა, ლეგიტიმური ინტერესის არსებობის პირობებშიც კი, აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა მონაცემების იმ მოცულობის შესარჩევად, რომლითაც პირი თავისი კანონიერი მიზნის მიღწევას შეძლებს, არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების უფლებაში ნაკლები ჩარევის სანაცვლოდ. მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შეფასებისას ასევე მიეთითა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განმარტებაზე (იხ. საქმე: Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González [GC], C-131/12, 13 May 2014), რომლის თანახმად, მონაცემთა დასაცავად ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, მონაცემების გამოქვეყნება არ სცდებოდეს საჭიროების (მაგალითად, საზოგადოების ინფორმირების) ფარგლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ პედაგოგს შეეძლო თავისი პროფესიული რეპუტაციის დაცვა ნაკლები მოცულობის მონაცემების დამუშავების გზით, "Messenger"-ის ჯგუფებში მხოლოდ საკუთარი ზოგადი პოზიციის დაფიქსირებით, პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისა და გარემოებათა ზედმეტი დეტალიზების გარეშე.

სამსახურის გადაწყვეტილებით, პედაგოგი ცნობილ იქნა პერსონალური მონაცემების დამუშავების მინიმიზების პრინციპის დამრღვევად, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი და დაევალა უკანონოდ გამჟღავნებული მიმართვისა და ფოტოების წაშლა. აღნიშნული მან გადაწყვეტილების ჩაბარებიდან უმოკლეს ვადაში შეასრულა.

- **სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს" მიერ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის ინფორმირება**

ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დასაცავად აუცილებელია ყველა საჯარო თუ კერძო უწყების მიერ კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა და შესრულება. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის მიმართვის საფუძველზე მისი ინფორმირების ერთ-ერთი შემთხვევა განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ არაგეგმური შემოწმების ფარგლებში.

სამსახურში წარმოდგენილი ბავშვის მომართვა დაწერილი იყო ბრაილის შრიფტით, ხოლო შემდგომ – გადაწერილი და ხელმოწერილი მესამე პირის (არასრულწლოვნის მასწავლებლის) მიერ. შესაბამისად, ეფექტიანი რეაგირებისა და მომართვაში ასახული ნების გამოკვლევის მიზნით, სამსახურმა არ მიმართა განცხადებაზე ხარვეზის დადგენის გზას, თანამშრომლები პირადად გაესაუბრნენ ბავშვს თავის საცხოვრებელ გარემოში და დარწმუნდნენ, რომ ის იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვაში. მომართვის შინაარსითა და არასრულწლოვანთან კომუნიკაციის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ბავშვმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან წერილობით გამოითხოვა, თუმცა ვერ მოიპოვა თავისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები.

ზემოაღნიშნული ფაქტის კანონიერების შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანი წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) პირს, მისი მშობლის მიმართ კი გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი. გარდა ამისა, ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და არასრულწლოვნის უფლებებს, ორდერის საფუძველზე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იცავდა. მითითებული საქმის ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში დაცული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები მოკლე ვადებში გადაეცა საქართველოს პროკურატურას, თუმცა, ანალოგიური დოკუმენტაციის გადაცემაზე ბავშვის განცხადება დაკმაყოფილდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზემოხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას მინდობილობის საფუძველზე ბავშვის წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის მოთხოვნა 50 დღის შემდეგ დაკმაყოფილდა. განხილვის ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მოთხოვნილი დოკუმენტების ბავშვისთვის გადაცემის თითქმის ორი თვით დაგვიანება ახსნა არასაკმარისი ადამიანური და სხვა რესურსით, მათ შორის, უსინათლო ბავშვისთვის აღსაქმელი ფორმით (ბრაილის შრიფტით) მცირე დროში დოკუმენტაციის მომზადების

შეუძლებლობითა და ბავშვისთვის დანიშნული სოციალური მუშაკის შეცვლით. ნიშანდობლივია, რომ ბავშვი საკუთარი მონაცემების შემცველი მასალების გამოთხოვის შესახებ განცხადებაშიც უთითებდა სისხლის სამართლის საქმეში თავისი უფლებების დამცველი ორგანიზაციის მისამართს, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული თარიღისთვის მინდობილობა არ არსებობდა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში დაცულ თავის პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს მათი ასლები. სამსახურმა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შეაფასა საქმის გარემოებები და მიიჩნია, რომ ინფორმირების უფლების ეფექტური რეალიზება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას და სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში მისი ან/და მის მიერ არჩეული პირების კვალიფიციურ ჩართულობას შეეხება. საქმის შესწავლით დადგინდა, რომ თვალსაჩინო იყო ბავშვის რეალური და მყისიერი ინტერესი, ყოფილიყო ინფორმირებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მის შესახებ სხვადასხვა სამართალწარმოებაში დამუშავებული დოკუმენტების თაობაზე და მათ საფუძველზე დაეცვა საკუთარი ინტერესები, თუნდაც მიმდინარე სისხლის სამართლის ან/და სამოქალაქო საქმის წარმოებისას.

სამსახურმა განმარტა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ხელთ არსებული არასაკმარისი რესურსი ვერ გაამართლებდა შშმ ბავშვის საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას, რაც გამოიხატა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვამდე ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების დაყოვნებაში. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულება ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდა ბავშვის კანონიერ ინტერესებს და მოეძებნა პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზა, მაგალითად, სოციალური მუშაკის მიერ ბავშვთან აქტიური კომუნიკაციის გზით დაედგინა არასრულწლოვნის ნება და დაეზუსტებინა, ნამდვილად სურდა თუ არა მას თავის განცხადებაში მითითებულ არასამთავრობო ორგანიზაციის მისამართზე მასალების გაგზავნა, ან/და სოციალური მუშაკის ჩართულობით პირადად ბავშვისთვის გაეცნო (წაეკითხა) დოკუმენტები და მათი შინაარსი და ამ გზით მოეხდინა ბავშვის ინფორმირება და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიიჩნია, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის უსინათლო ბავშვისთვის მიწოდების დაყოვნებით არაკანონიერად შეიზღუდა

არასრულწლოვნის ინფორმირების უფლება, შესაბამისად, სამსახურის გადაწყვეტილებით, სააგენტო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე.

- **დისციპლინური საქმის მონაწილე ბავშვის ინფორმირება ერთ-ერთი სკოლის მიერ**

ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვა პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით დაწესებულებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებს არაპროპორციულად ზღუდავენ. ისინი არ იყენებენ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებას, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ნაკლებად შეიზღუდოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, სამსახურმა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, სკოლის მიერ მისი ინფორმირების უფლების შეზღუდვაზე იმსჯელა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოავლინა.

შესწავლისას დადგინდა, რომ საჯარო სკოლის მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი განხილულ იქნა სკოლის დისციპლინური კომიტეტის ზეპირ სხდომაზე, რომლის ფარგლებში გამოიკითხა სხვადასხვა პირი. სხდომის მიმდინარეობისას განხორციელდა აუდიოჩაწერა, ასევე, შეიქმნა სხდომის მატერიალური ოქმი. ხსენებული აუდიოჩანაწერების გამოთხოვის მიზნით სკოლას არასრულწლოვნის დედამ მიმართა, რომელსაც უარი ეთქვა მასალების გადაცემაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე მითითებით, რაც გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლების შეზღუდვას იმ შემთხვევაში, თუ უფლების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

შემთხვევის შეფასებისას სამსახურმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელი და მისი მშობლები ესწრებოდნენ დისციპლინური კომიტეტის სხდომის ნაწილს, შესაბამისად, მათთვის ცნობილი იყო იმ პირთა ვინაობა, ვინც მონაწილეობდა სხდომის შესაბამის მონაკვეთში. ამასთან, სრული სხდომის აუდიოჩანაწერები შეიქმნა 7 (შვიდი) ფაილად, რომელთაგან ერთ-ერთში ასახული იყო განმცხადებლის, მისი მშობლების და კომისიის წევრების მონაცემები. გამომდინარე იქიდან, რომ დასახელებული კონკრეტული აუდიოჩანაწერი შეიცავდა ბავშვის შესახებ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც სხდომაზე გახდა ხელმისაწვდომი განმცხადებლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლებისთვის, სამსახურმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტი მესამე პირთა ინტერესების დაცვის

მოტივით განმცხადებლისთვის მასალის მიუწოდებლობის საფუძვლიანობის თაობაზე. რაც შეეხება აუდიოჩანაწერების დანარჩენ ნაწილს (დარჩენილი 6 (ექვსი) ფაილი), როგორც შესწავლის ფარგლებში გამოიკვეთა, ისინი ნაწილობრივ შეიცავდნენ არასრულწლოვანთან დაკავშირებით პედაგოგის ქცევის შესახებ ინფორმაციას და, ამდენად, განმცხადებლის შესახებ მონაცემებს. ამასთან, მასალების გადაცემაზე უარის თქმამდე სკოლას არ შეუფასებია გონივრულად ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებებით სხვა პირების მონაცემების (საიდენტიფიკაციო მონაცემების, ხმის და საუბრისას გაჟღერებული ცალსახად პირადი ხასიათის ფაქტების) დაფარვის, მოდიფიცირების შესაძლებლობა. დაწესებულებას უნდა ესარგებლა ყველა გონივრული საშუალებით და მხოლოდ მას შემდეგ განეცხადებინა უარი მიმართვის დაკმაყოფილებაზე, თუკი დარწმუნდებოდა სხდომაზე გამოკითხული პირების პერსონალური მონაცემების დაცვით არასრულწლოვნის ინფორმირების უფლების რეალიზების შეუძლებლობაში. ამასთან, გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ შეზღუდვის საფუძვლის არსებობის პირობებშიც კი, საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაცვა მონაცემთა სუბიექტისა და მესამე პირების უფლებებს შორის. აღნიშნულისთვის კი მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის კონტექსტისა და შინაარსის გათვალისწინებით შეაფასოს მისი კანონიერი ინტერესის მასშტაბი და თანაფარდობა მესამე პირების უფლებების დაცვის ინტერესთან. შესაბამისად, განხილულ შემთხვევაში დადგინდა სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის დარღვევა და მას პასუხისმგებლობა დაეკისრა 50-ე მუხლის საფუძველზე.

- **სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ მონაცემების გამჟღავნება**

მონაცემთა დამუშავებისთვის, მათ შორის, გამჟღავნებისთვის, უნდა არსებობდეს მონაცემთა დამუშავების ერთი ან რამდენიმე საფუძველი. აღნიშნული მოთხოვნის უგულებელყოფა კი ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევის და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გამოვლინდა სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მხრიდან შესაბამისი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების, კერძოდ, გამჟღავნების ფაქტი.

განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებლებსა და ერთ-ერთ კომერციულ ბანკს შორის მიმდინარე დავის ფარგლებში მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ მიმდინარეობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების პროცესი.

მასთან მიმართებით კი ინფორმირებული იყო ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის მიმართვით და აღსრულების ეროვნული ბიუროს წერილით. თავის მხრივ, ეროვნულმა ბანკმა თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუგზავნა წერილი და მიაწოდა ინფორმაცია განმცხადებლების მიმართ მიმდინარე საქმისწარმოების დეტალებისა და დავის პრეცედენტულობის თაობაზე. წერილში სრულად აისახა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღსასრულებელი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, მათ შორის, განმცხადებლების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და, ასევე, განმცხადებლების საბანკო ანგარიშების რეკვიზიტები. ეროვნული ბანკის შეფასებით, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია არ გამჟღავნებულა, რამდენადაც მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო განჩინების არსებობის პირობებში, ხოლო სადავო წერილის შინაარსი მიემართებოდა ლეგიტიმურ მიზანს, მიეწოდებინა ზოგადი ინფორმაცია „კრიპტოვალუტით“ ვაჭრობის ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების თაობაზე სასამართლო სისტემაში შემავალი ყველა უწყებისთვის, სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის გათვალისწინებით.

შესწავლისას გამოირკვა, რომ წერილის გაგზავნის გზით მონაცემთა დამუშავების მიზნის ძირითადი ასპექტი იყო სამართლებრივ/თეორიულ საკითხებზე დავის განმხილველი სასამართლოსთვის კვალიფიციური მოსაზრებების მიწოდება „კრიპტოვალუტით“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას მნიშვნელოვან სამართლებრივ ნიუანსებზე ყურადღების გასამახვილებლად. ეროვნული ბანკის მითითებული ინტერესისა და ქმედების განმაპირობებელ ფაქტორს კი მისი საზედამხედველო ფუნქცია-მოვალეობები წარმოადგენდა. სამსახურის შეფასებით, განმცხადებელთა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა და საქმის რეკვიზიტების ასახვის გარეშე წერილი დავის განმხილველ მოსამართლესთან შესაძლოა ვერ მოხვედრილიყო, ხოლო მასში ასახული მონაცემები თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებისთვის უკვე ხელმისაწვდომი იყო, რადგან ისინი სარჩელის წარდგენისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განჩინების გასაჩივრების მომენტიდან ფლობდნენ კორესპონდენციაში მითითებულ პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის, იცოდნენ სააღსრულებო ფურცლის გაცემის და განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფაქტობრივი მოცემულობის თაობაზე. ამასთან, ორივე სასამართლოსთვის

საქმე მიმდინარე განხილვის რეჟიმში იყო და ამ თვალსაზრისით, დასახელებული უწყებებისთვის ეროვნული ბანკის წერილი განმცხადებელთა შესახებ ახალ მონაცემებს არ შეიცავდა.

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ზემოხსენებული წერილის ასლის გაგზავნის საკითხს, განხილვის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები და დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის განხილვა და შესაბამისი განჩინების გამოტანა, რომელიც შემდგომ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მონაცემთა დამმუშავებლებად ავტომატურად ვერ აქცევს. ამასთან, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ინსტანციურობა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოთი შემოიფარგლება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში კონკრეტული საქმე იქამდე ვერ მოხვდება, სანამ დავა, სულ მცირე, სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპს არ მიაღწევს, რის ფარგლებშიც შესაძლებელია საკასაციო ინსტანციას გადაეცეს საჩივრის/კერძო საჩივრის ან/და საკასაციო საჩივრის განსახილველად. რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იგი საერთო სასამართლოთა სისტემისგან განყენებულ უწყებას წარმოადგენს და კანონით განსაზღვრული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არის მონაცემთა დამოუკიდებელი დამმუშავებელი. შესაბამისად, სამსახურმა არ გაზიარა ეროვნული ბანკის მიერ მონაცემების დამუშავების კანონიერების საფუძვლად მითითებული არგუმენტაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლო სისტემის ერთიანობის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მსგავსად, უკვე ფლობდნენ წერილში კონკრეტული სასამართლო დავის შესახებ ასახულ ინფორმაციას.

კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზანთან დაკავშირებით კი, რომელზეც ასევე მიუთითებდა სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“, სამსახურმა აღნიშნა, რომ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების მიღება უდავოდ საყურადღებო საჯარო ინტერესია, თუმცა, დასახელებული საფუძვლით მონაცემების

დამუშავება იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, თუკი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაში ჩარევა საჯარო ინტერესის მიღწევის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა. მოცემულ შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებლის მხრიდან მნიშვნელოვან საჯარო ინტერესზე მარტოოდენ მითითება ვერ იქნა მიჩნეული საკმარისად განმცხადებელთა პერსონალური მონაცემების იმ სახელმწიფო დაწესებულებებისთვის გამჟღავნების კანონიერებისთვის, რომლებიც, კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით, კონკრეტული სასამართლო დავის განხილვასა და გადაწყვეტაში არ მონაწილეობდნენ. მეტიც, თეორიულად შესაძლებელია (მით უფრო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემთხვევაში), რომ განმცხადებლების მონაწილეობით „კრიპტოვალუტით“ ვაჭრობასთან დაკავშირებული დავის განხილვა მათ უფლებამოსილებას არასდროს დაექვემდებაროს. თავის მხრივ, სპეციფიკურ თეორიულ/სამართლებრივ გარემოებებზე სასამართლო ხელისუფლების ინფორმირება შესაძლოა ემსახურებოდეს კვალიფიციური და ყოველმხრივ გაანალიზებული გადაწყვეტილებებით მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს, თუმცა, მიჩნეულ იქნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მითითებული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო განმცხადებლების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გზით მათ უფლებაში ჩარევის გარეშე. შესაბამისად, დადგინდა, რომ ეროვნულმა ბანკმა მონაცემები საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუმჟღავნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის გარეშე, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 43-ე მუხლით განსაზღვრულ სამართალდარღვევას.

- **დასაქმებული პირების ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული საქმე**

მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულების მიზნებისთვის დამსაქმებლების მიერ თანამშრომლების შემოწმება და მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება. სამსახურმა შეისწავლა სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ მიმართ წარმოდგენილი თანამშრომლების მიმართვა. ისინი სადავოდ ხდიდნენ ცენტრის კონტროლის დეპარტამენტის მიერ განმცხადებლების ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის პროცესში აღნიშნული შემოწმების თაობაზე მონაცემების სხვა დასაქმებულებისთვის გამჟღავნებას.

შესწავლის ფარგლებში, ყველა პოტენციური მოწმის გამოკითხვის და ვიდეომასალის დათვალიერების მიუხედავად, მონაცემების გამჟღავნების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება ვერ იქნა მოპოვებული, თუმცა, დადგინდა, რომ ცენტრის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების ნორმებით, აგრეთვე, სხვა რაიმე შიდაორგანიზაციული დოკუმენტებით ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების მოთხოვნისა და შემოწმებაზე გადაყვანის კონკრეტული პროცედურა დადგენილი არ იყო. ხოლო დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ცენტრის მიერ თანამშრომლის ნარკოლოგიური შემოწმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კონტროლის დეპარტამენტის შესაბამისი პირები ცხადდებოდნენ დასაქმებულის სამუშაო ადგილზე, მოძრაობდნენ, ყოვნდებოდნენ ეზოში და დამსაქმებლის გადაწყვეტილებას მას პირადად, ზეპირი ფორმით გადასცემდნენ. ამასთან, თანამშრომლების მიერ დასაქმებულისთვის ნარკოლოგიური შემოწმების აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, კონკრეტულ დასაქმებულს განცალკევებით სასაუბროდ გაიხმობდნენ, ხოლო შემდგომ სამუშაო ადგილიდან გაჰყავდათ, რაც თვალსაჩინო იყო სხვა თანამშრომელთათვის. სამსახურის შეფასებით, ინფორმაციის ზემოაღნიშნული ფორმით მიწოდებით არ ხდებოდა პროცესის იმგვარად ორგანიზება, რომ მონაცემები ჯეროვნად ყოფილიყო დაცული შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უშუალოდ კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლებსა და დასაქმებულს შორის შემდგარი საუბრის შინაარსი მესამე პირთათვის პირდაპირი გზით არ გამჟღავნდებოდა. ნარკოლოგიური შემოწმების ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის მეტად პრივატული ხასიათის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცენტრის მიერ დასაქმებულთათვის შემოწმების საჭიროების შესახებ ინფორმაციის გადაცემისა და მათი შემოწმების უზრუნველყოფის პროცედურის იმგვარად მოწესრიგება, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული მონაცემების მესამე პირთათვის გამჟღავნების ზემოაღნიშნული რისკები. მაგალითად, აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა არა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამუშაო ადგილზე ვიზიტისა და პროცესის სხვა თანამშრომლების თანდასწრებით წარმართვის გზით, არამედ, ინფორმაციის მისაღებად კონკრეტული დასაქმებულის დაბარებით მისი უშუალო სამუშაო ადგილიდან მოშორებით, სამედიცინო დაწესებულებაში, წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე. ამასთან, შესაძლო ბუნდოვანებისა და განსხვავებული ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად, სამსახურის შეფასებით, საჭიროა, ნარკოლოგიური შემოწმების უზრუნველყოფის პროცედურა, დასაქმებულებთან კომუნიკაციის მეთოდი, მათთვის განსამარტი უფლებების შინაარსი და სხვა

კონკრეტული წესები ცენტრმა წერილობით მოაწესრიგოს და აღნიშნული დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს.

- **საკონსულო დაწესებულებების შემოწმება**

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი დაცვა მოიაზრებს საკონსულო დაწესებულების მიერ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მნიშვნელოვანი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების სხვადასხვა ფორმით დამუშავებასთან (მაგალითად, მოპოვებასთან, შენახვასთან, გადაცემასთან). აღნიშნულის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცულობის მნიშვნელობიდან და სამართლებრივი დახმარების ფარგლებში დამუშავებული მონაცემების სენსიტიურობიდან გამომდინარე, სამსახურმა განახორციელა ქ. სტამბოლსა და ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სამინისტრო, მისი სტრუქტურული ერთეულების – ქ. სტამბოლსა და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოების – მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივი დაცვის ღონისძიებების ფარგლებში როგორც პორტალის მეშვეობით განაცხადის მიღების, ისე შემდგომი დამუშავებისას, აგროვებს, იყენებს და ინახავს შემდეგ პერსონალურ მონაცემებს: სახელი, გვარი, მამის სახელი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, პასპორტის/ბინადრობის მოწმობის ნომერი, პირადობის/ბინადრობის მოწმობის ნომერი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა/სტატუსი, ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლის თარიღი, ადგილსამყოფელ ქვეყანაში შესვლის მიზეზი, ადგილსამყოფელი ქვეყანა, ადგილსამყოფელი ქალაქი, მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, „Skype“, ფოტოსურათი, ინფორმაცია წარმომადგენლის შესახებ (ასეთის არსებობისას), კერძოდ: კავშირი განმცხადებელთან, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა/სტატუსი, პირადი ნომერი, პასპორტის/ბინადრობის მოწმობის ნომერი, საჭიროების შემთხვევაში პირის დევნილის სტატუსის შესახებ ინფორმაცია, განაცხადთან ერთად წარდგენილი ჯანმრთელობის ცნობები, პირის დაკავების შესახებ ინფორმაცია და სხვა. როგორც შესწავლით გამოვლინდა, პორტალზე

განაცხადის წარდგენის პროცესი მოწყობილია იმგვარად, რომ განაცხადის ავტორი თავდაპირველად ასახავს საკუთარ პერსონალურ მონაცემებს და შემდგომ ირჩევს საკონსულო მომსახურების სახეს. იმავდროულად, პორტალზე განაცხადის წარდგენის მიზნით, პერსონალური მონაცემების შევსების პროცესში თვალსაჩინოდ არ არის მითითებული, რა სახის მონაცემებია საჭირო თითოეული საკონსულო მომსახურების მისაღებად.

პორტალის მეშვეობით განაცხადის წარდგენის, ისევე, როგორც საკონსულოებში მომსახურების მიღების პროცესში, მონაცემთა სუბიექტი აცხადებს თანხმობას თავისი მონაცემების დამუშავების თაობაზე, თუმცა პორტალზე განთავსებული თანხმობა საკონსულოების მიერ განსახორციელებელი ყველა მომსახურებისთვის არის ერთგვაროვანი. შემოწმების ფარგლებში გამოკვლეული მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ტექსტის შესაბამისად, ნებისმიერი სახის მომსახურებაზე განაცხადის წარდგენისას ფიზიკური პირი აცხადებს თანხმობას ბიომეტრიული მონაცემების, მათ შორის, თითის ანაბეჭდის დამუშავებაზე, მაშინაც კი, როდესაც მის მიერ მოთხოვნილი მომსახურების სახე (მაგალითად, სხვადასხვა ცნობის მიღება) მსგავსი სახის მონაცემების დამუშავებას არ საჭიროებს. ამასთან, პორტალის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ განაცხადის წარდგენისას გარკვეული პერსონალური მონაცემების შეგროვების და შემდგომი დამუშავების კანონიერი მიზანი და საჭიროება არ არსებობს. აღნიშნული მონაცემები კი აისახება პირის მიერ წარდგენილ განაცხადში და ინახება პორტალის მონაცემთა ბაზაში. განცხადების დამუშავების პროცესში, თუ კონკრეტული მომსახურება მოითხოვს დამატებით მონაცემებს, რომლებიც განაცხადში არ არის მითითებული, საკონსულო თანამდებობის პირი დამატებით გამოითხოვს აღნიშნულ ინფორმაციას.

შემოწმებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ ვინაიდან პორტალი დაკავშირებულია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზასთან, საქართველოს მოქალაქეების პირადი ნომრით ძებნის შემდგომ პორტალში ავტომატურად გადმოდის პირის დაბადების ადგილი და ამავე ბაზაში არსებული ბოლო ფოტოსურათი, მათ შორის, ანალოგიური პროცესია ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემასთან დაკავშირებული განცხადების დამუშავების დროსაც. ამასთან, საკონსულო თანამდებობის პირი პორტალში ხელით უთითებს განმცხადებლის სახელს და გვარს ლათინურად და ასევე, ავსებს/ასწორებს დანარჩენ ველებს, რის შემდეგაც, მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით, საკონსულო თანამდებობის პირი პორტალში შლის გადმოტანილ ფოტოსურათს. აღსანიშნავია, რომ ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს განმარტებით, მათ ფოტოები

ესაჭიროებათ მხოლოდ პირთა იდენტიფიცირების მიზნით, ხოლო შემდგომ ისინი კარგავენ აქტუალობას, ფოტოსურათები არ გამოიყენება საკონსულოს მიერ გასაცემად მომზადებულ ცნობებსა თუ დოკუმენტებში. შესაბამისად, იმ მომსახურების პროცესში, სადაც ფოტოსურათი არ არის სავალდებულო რეკვიზიტი (მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ვიზის, პასპორტის, დასაბრუნებელი მოწმობის გაცემისას, ფოტოსურათის დამუშავება სავალდებულოა, რადგან იგი აისახება გასაცემ დოკუმენტებში), საკონსულო პორტალში მექანიკურად შლის ფოტოსურათებს. ამ კუთხით, კონკრეტული ფაქტების გადამოწმებისას ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს ადგილზე შემოწმების პროცესში ძველი განაცხადების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ რიგი ცნობების გაცემასთან დაკავშირებულ წარმოებებში ფოტოსურათები წაშლილი იყო, თუმცა გამოვლინდა შემთხვევებიც, როდესაც ფოტოსურათები არ იყო წაშლილი – აღნიშნული შეეხებოდა ნასამართლობის ცნობის გაცემის მომსახურების გაწევას.

ამავე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პორტალს, როგორც საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონულ სისტემას, იყენებენ საკონსულო ფუნქციების შემსრულებელი პირები ან საკონსულო მოსამსახურეები, ასევე, სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირები მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამატებით, საკონსულო დაწესებულებაში არსებულ მონაცემებზე წვდომა გააჩნია სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების 20 (ოცი) თანამშრომელს ადმინისტრატორის სრული ფუნქციებით და აქვთ შეუზღუდავი უფლებები. შემოწმების ფარგლებში ასევე გამოირკვა, რომ პორტალის საშუალებით მონაცემების მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედების (ე.წ. „ლოგ“ ჩანაწერების) აღრიცხვა არ მიმდინარეობს და აღირიცხება მხოლოდ საქმის შექმნასთან დაკავშირებული მოქმედებები (ვის მიერ განხორციელდა საქმის რეგისტრაცია, ვის მიერ მომზადდა/აიტვირთა შემდგომში საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და ა.შ.). სისტემაში არ აღირიცხება მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლა/გასვლა, მონაცემების მოძიება, მონაცემების დათვალიერება და მონაცემების გადაწერა.

ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ დასრულებული საქმეების ბაინდერები ინახებოდა ორ ოთახში, ღია კარადებში, რომლებიც არ იკეტებოდა შესაბამისი საკეტით. ორივე ოთახში ხვდებოდნენ მხოლოდ საკონსულოში დასაქმებული პირები, თუმცა, ყველა მათგანი, დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების გათვალისწინებით, არ იყო უფლებამოსილი წვდომა ჰქონოდა დასრულებულ საქმეებზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასახელებული ფორმით საკონსულო დაწესებულებაში

ინახება 2017-2022 წლების დასრულებული საქმეები, სამსახურის შეფასებით, წარმოიშობა პერსონალურ მონაცემთა უკანონო/შემთხვევითი დამუშავების რისკები. გარდა ამისა, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს შემოწმებით გამოიკვეთა, რომ გენერალური კონსულის, ვიცე კონსულის და უფროსი მრჩევლის (უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) სამუშაო ოთახებში განთავსებულ მონიტორებზე პირდაპირ რეჟიმში ფიქსირდებოდა საკონსულოს შენობაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული გამოსახულებები და აღნიშნული ხილვადი იყო ამავე ოთახებში მოხვედრილი სხვა პირებისთვისაც, რომლებსაც არ ჰქონდათ ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლება. მითითებული გარემოება შეფასდა პერსონალურ მონაცემთა უკანონო/შემთხვევითი დამუშავების რისკად, ვინაიდან ე.წ. „ლაივ“ გამოსახულების ჩაწერის (მაგალითად, მობილური ტელეფონით, ფოტოაპარატით და ა.შ.) და გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება პროცესის გაკონტროლება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კი, დადგინდა, რომ პორტალში გათვალისწინებულ მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის მეთოდი არ შეესაბამებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან სამინისტრო ვერ უზრუნველყოფდა ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვას და მონაცემთა დაცვას მათი უკანონო დამუშავებისგან. აღნიშნულის საფუძველზე სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად.

- **სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ზედმეტი მოცულობის მონაცემების მოპოვება**

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მოქალაქის მომართვის საფუძველზე შეისწავლა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე – www.napr.gov.ge – უძრავი ქონების შეზღუდვებთან/აკრძალვებთან დაკავშირებით რეგისტრირებულ განცხადებებში ერთ-ერთი ბანკის წარმომადგენლის რეგისტრაციის მისამართის გამოქვეყნების გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბანკის წარმომადგენელი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, უძრავ ქონებაზე შეზღუდვის/აკრძალვის

რეგისტრაციის მიზნით, ფოსტის საშუალებით პერიოდულად გზავნიდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ განცხადებებს, რომელთაც, როგორც წესი, თან ერთვოდა სასამართლოს განჩინება, მინდობილობა და ბანკის შესახებ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. მოქალაქის მიერ გაგზავნილ განცხადებებში მის მისამართად დაფიქსირებული იყო დამსაქმებლის მისამართი და ასახული იყო მკაფიო სურვილი ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებებში მონაცემთა სუბიექტის მისამართად ბანკის და არა განმცხადებლის პირადი მისამართი გამოქვეყნებულიყო. მოპოვებული მტკიცებულებებით გამოვლინდა, რომ განმცხადებლის დასახელებული თხოვნა, უმეტესწილად, მონაცემთა დამმუშავებლის მხრიდან არ იყო გათვალისწინებული და რეგისტრაციის პროცესში ხდებოდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზიდან მონაცემთა სუბიექტის რეგისტრაციის მისამართის მოპოვება და განცხადებაში ასახვა.

განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ემსახურებოდა მის ინტერესს, დაცული ყოფილიყო იმ მისამართის კონფიდენციალურობა, სადაც იგი ცხოვრობდა მშობლებთან და არასრულწლოვნებთან ერთად და არ სურდა აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო საზოგადოებისთვის (მათ შორის, ბანკის მოვალეებისთვის).

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ“ მიუთითა, რომ განმცხადებლის რეგისტრაციის მისამართის გამოქვეყნების გზით დამუშავება საფუძვლიანი იყო, ვინაიდან სააგენტოში არსებული მონაცემები კანონის მიხედვით საჯაროა, საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად. სამსახურის შეფასებით, სააგენტოში სარეგისტრაციოდ ფოსტის მეშვეობით გაგზავნილ განცხადებაში სავალდებულო რეკვიზიტად მისამართის მონაცემის ასახვა ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებში, თუმცა, კანონის მე-4 მუხლი ჩამოთვლის რა მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, ადგენს, რომ მონაცემთა დამმუშავებელს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა ევალება მონაცემების დამუშავებისას კანონიერი მიზნის დასაბუთებისა და მონაცემების იმ პროპორციული მოცულობის შესარჩევად, რომლითაც თავისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას შეძლებს. სამსახურმა მიიჩნია, რომ განმცხადებელს/მის წარმომადგენელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, მის მიერ წარდგენილ განცხადებაში, საკონტაქტო რეკვიზიტად

განსაზღვრის მიზნით, მიუთითოს სამუშაო ადგილის თუ საცხოვრებელი ადგილის მისამართი. მისი აღნიშნული არჩევანი კი დამაკმაყოფილებელია იმისთვის, რომ განცხადება შესაბამისობაში იყოს როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ისე საჯარო რეესტრის შესახებ კანონმდებლობასთან. სამსახურმა ვერ გაიზიარა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ პოზიცია და დაადგინა, რომ წარმომადგენლის პირადი მისამართი ვერ იქნება მიჩნეული რაიმე სახით იმაზე უფრო გამოსადეგ საკონტაქტო ინფორმაციად, ვიდრე მისი სამუშაო ადგილის მისამართია, ვინაიდან საქმე დამსაქმებელთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მისი სახელით მოქმედებას ეხება, მასთან შემხებლობის მქონე თითოეულ კორესპონდენციაზე კი დამსაქმებლის იურიდიულ მისამართზე შესაძლებელი იქნება თანამშრომლის მოძიება და კომუნიკაცია. გამომდინარე აქედან, განხილვის ფარგლებში დადგინდა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევის ფაქტი და მონაცემთა დამმუშავებელს დაეკისრა პასუხისმგებლობა აღნიშნული კანონის 44-ე მუხლის საფუძველზე.

- **მონაცემების გამოთხოვა და მოპოვება სასამართლოში გამოყენების მიზნით**

რიგ შემთხვევებში სამსახურში წარმოდგენილი მომართვები უკავშირდება განმცხადებლის პერსონალური მონაცემების რამდენიმე დაწესებულების მიერ პარალელურად დამუშავების ფაქტს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მოქალაქის განცხადების საფუძველზე შეისწავლა მსგავსი შემთხვევა შპს „საქართველოს მელიორაციისა“ და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოქალაქის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებასთან მიმართებით.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე სასამართლო დავაში შპს „საქართველოს მელიორაცია“ არის მოსარჩელე მხარე, ხოლო მონაცემთა სუბიექტი კი – ერთ-ერთი მოპასუხე. სასამართლო წარმოების ფარგლებში მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის მიზნით, კომპანიამ წერილებით მიმართა მერს და ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს აცნობა, რომ კომპანიის, როგორც მოსარჩელე მხარის, პოზიცია დამყარებული იყო მოპასუხეთა ნათესაური/ახლობლური ურთიერთობის გათვალისწინებით, მათ შორის, სადავო ქონების გასხვისების შესახებ დადებული გარიგებების მოჩვენებით ხასიათზე და გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ახლო ნათესაურ ან სხვაგვარ

ახლობლურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან მოპასუხეები. კომპანიამ ზემოაღნიშნულ წერილში ასახა მთელი რიგი გარემოებები, მათ შორის: მისი მონაწილეობით წარმართული (დასრულებული და მიმდინარე) სასამართლო საქმეების ნომრები, განმცხადებლის და მისი თანამოპასუხეების ვინაობა და პირადი ნომრები, სადავო ქონების შესახებ დეტალები და მისი გასხვისების ფაქტები და ადრესატებს მიუთითა საჯარო ინტერესსა და გამოთხოვილი ინფორმაციის დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობაზე. საპასუხო კორესპონდენცია, მერის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათზე დაყრდნობით, მოამზადა მერიამ და მიმართვის ავტორს დაუდასტურა განმცხადებლის კონკრეტული ნათესაური კავშირის შესახებ ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

განხილვის ფარგლებში სამსახურმა გაიზიარა კომპანიის პოზიცია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, მას ჰქონდა აღმატებული კანონიერი ინტერესი განმცხადებლის შესახებ გამოეთხოვა/მოეპოვებინა სასარჩელო დავის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუმცა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი მონაცემთა დაცვის გარანტიას ქმნის მხოლოდ ამავე კანონის მე-4 მუხლით დადგენილ მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან ერთობლიობაში, ამ უკანასკნელის „გ“ ქვეპუნქტი კი მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპს ითვალისწინებს. სამსახურმა მიიჩნია, რომ სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის ეფექტიანი რეალიზებისთვის ინფორმაციის მოპოვების აღმატებული კანონიერი ინტერესის მიუხედავად, სამოქალაქო დავის მხარე ვალდებულია, მონაცემების გამოთხოვის, მოპოვებისა და გამოყენების პროცესი ისე დაგეგმოს, რომ თავიდან აიცილოს ზედმეტი ინფორმაციის არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნება ან/და არასაჭირო ინფორმაციის მიღება. კანონის მე-17 მუხლზე (მონაცემთა უსაფრთხოება) დაყრდნობით სამსახურმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ინფორმაციის გამოთხოვისას მნიშვნელოვანია კითხვების იმგვარად ფორმულირება, რომ არაზუსტი, არასაჭირო ინფორმაციის მიღების რისკები მინიმუმამდე შემცირდეს, ამასთან პირმა/დაწესებულებამ შეიძლება მიმართოს მას, ვისთანაც მოთხოვნილი ინფორმაციის ფლობის დასაბუთებული ვარაუდი აქვს, მონაცემების მოპოვების მიზნით ინფორმაციის გაზიარებისას კი აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა და კორესპონდენციაში ფიზიკური პირის შესახებ მხოლოდ იმ მოცულობის ინფორმაციის ასახვა, რაც საშუალო სტატისტიკურ პირს დაარწმუნებდა ფლობის შემთხვევაში ინფორმაციის ლეგიტიმურად გამჟღავნების აუცილებლობაში. თავად იმ პირმა, რომელიც მიმართავს დაწესებულებას

კონკრეტული პირის პერსონალური მონაცემების გამოთხოვის მიზნით, უნდა შეაფასოს საჭირო მონაცემების მოპოვებისადმი არსებული ინტერესი, კანონიერი, კონკრეტული, მკაფიო მიზნები და დაუსაბუთოს ეს ყოველივე დაწესებულებას.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანია მოქმედებდა კანონიერი მიზნით და კონკრეტული საჭიროების ფარგლებში, თუმცა ინფორმაციის გამოთხოვის წერილებში ასახულ იქნა მონაცემების გამოთხოვის მიზანთან შეუსაბამო მოცულობის ინფორმაცია. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სამსახურმა აღნიშნა, რომ მოპასუხეთა შორის ახლობლური კავშირის შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად საკმარისი იქნებოდა, რომ კომპანიას აღეწერა მხოლოდ მიმდინარე სასამართლო დავის ზოგადი ფაბულა, დაესახელებინა მოპასუხე მხარეების ვინაობა, ასევე, საიდენტიფიკაციო მონაცემები და დეტალიზაციის გარეშე მიეთითებინა მონაცემთა გამოთხოვის შემხებლობაზე დავის საგანთან. განხილულ შემთხვევაში გამოვლინდა კომპანიის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის (მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი) დარღვევის ფაქტი და მონაცემთა დამმუშავებელს დაეკისრა პასუხისმგებლობა აღნიშნული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის.

რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, სამსახურმა კანონის მე-17 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ პირთა შესახებ ინფორმაციის გაცემისას, მნიშვნელოვანია ისეთი ფორმულირების შერჩევა, რომელიც არაზუსტი ინტერპრეტაციის რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს. მერიის საპასუხო კორესპონდენცია მიწოდებული ინფორმაციის სანდოობაში მისი მიმღების ანდა სასამართლოს გასარკვევად არ შეიცავდა არავითარ მითითებას, მეტიც, განმცხადებლის ნათესაურ კავშირებზე მონაცემებს მტკიცებითი შინაარსი ჰქონდა, მაშინ, როდესაც იგი ეფუძნებოდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერ განმარტებებს. თავის მხრივ, მოცემულ შემთხვევაში სამსახურის მიერ მოპოვებულ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადასტურდა გამჟღავნებული მონაცემების არსებითი სისწორე, თუმცა დადგინდა, რომ ამგვარი ხარისხის მტკიცებულებას მერია არ ფლობდა და ინფორმაციის გაცემისას მხოლოდ ზეპირსიტყვიერ მოსაზრებას ეყრდნობოდა. შესაბამისად, განიმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მათი კანონიერად გამჟღავნებისას დაინტერესებულ პირს მიეწოდოს გადამოწმებული, ფაქტებით და დოკუმენტურად გამყარებული ინფორმაცია.

- **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სიზუსტე**

სამსახურმა განიხილა მოქალაქის მომართვა, რომელიც მიუთითებდა, რომ რეგისტრირებული იყო „C“ ჰეპატიტის სკრინინგმოდულში, თუმცა, თავად სკრინინგტესტი არ ჩაუტარებია.

განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ელექტრონული მოდულის მეშვეობით, ინახავდა განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს, ასაკს, სკრინინგის განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელებას, სკრინინგის დადებით შედეგს, რაც ნიშნავდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა ანტისხეულები „C“ ჰეპატიტზე, შესაბამისად, ვირუსი ოდესღაც იყო მის ორგანიზმში, სკრინინგის 2017 წელს ჩატარების შესახებ მონაცემს, კონფირმაციული კვლევის[1] ჩატარების ფაქტს, შედეგის გარეშე და სხვა. ამასთან, განმცხადებელმა წარმოადგინა კონფირმაციული კვლევის უარყოფითი შედეგი. განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კვლევის შედეგი, ერთი მხრივ, არ არის ხელმისაწვდომი „C“ ჰეპატიტის სკრინინგმოდულში და, მეორე მხრივ, არ აბათილებს სკრინინგის შედეგებს, ვინაიდან კონფირმაციული კვლევა მხოლოდ მიუთითებს, რომ პირს აქტიური ვირუსი არ აქვს, თუმცა არ გამორიცხავს მის სისხლში „C“ ჰეპატიტზე ანტისხეულების არსებობის ფაქტს. ამასთან, გამოირკვა, რომ მოდული არ იძლევა საშუალებას, პირველად შედეგებთან ერთად აისახოს განმეორებითი ანტისხეულების ტესტის შედეგები იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი ჩაიტარებს უფრო მაღალი სანდოობის ლაბორატორიულ კვლევას.

ამდენად, განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ „C“ ჰეპატიტის სკრინინგმოდული არ იძლევა სკრინინგის ობიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ქრონოლოგიურად და თანმიმდევრულად ასახვის შესაძლებლობას, მაშინაც კი, როდესაც მომდევნო მონაცემი წინას ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ყველა ის პირი, რომელსაც მითითებულ მოდულზე აქვს წვდომა, მასში ასახული მონაცემის სუბიექტთა შესახებ შესაძლოა ეცნობოდეს მხოლოდ პირველად ინფორმაციას, ხოლო თავად ინდივიდს ეზღუდება შესაძლებლობა, იზრუნოს ბაზაში მის შესახებ კონკრეტული ფაქტის თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის ასახვაზე. გამომდინარე

[1] კონფირმაციული კვლევა ადგენს უფიქსირდება თუ არა პირს კონკრეტულ დროს აქტიური ვირუსი. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგი არ გამორიცხავს პირის მიერ წარსულში „C“ ჰეპატიტით ინფიცირების ფაქტს.

იქიდან, რომ მონაცემების მიმართ მსგავსი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს მონაცემების სიზუსტის, მოძველებული ინფორმაციის განახლების პრინციპის სათანადო რეალიზებას, ცენტრს დაევალა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება მასზედ, რომ „C“ ჰეპატიტის სკრინინგმოდული ინდივიდის მიერ შესაბამისი მაღალი სანდოობის კვლევის შედეგების წარმოდგენის შემთხვევაში იძლეოდეს პირის მიერ ვირუსზე ანტისხეულების სკრინინგის შედეგის შესახებ თავდაპირველად რეგისტრირებულისგან განსხვავებული მონაცემების დამატებით ასახვის შესაძლებლობას.

- **აივ ინფექცია/შიდსის კონსულტირებისა და ტესტირების პროცესში მონაცემების დამუშავება**

სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვისას მნიშვნელოვანია, რომ პაციენტს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, ჰქონდეს პრივატულობისა და დაცულობის განცდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის თავისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას ექიმს ან/და დაწესებულებების სხვა წარმომადგენელს უზიარებს. ამასთან, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა განაპირობებს პაციენტის ნდობის ჩამოყალიბებას კონკრეტული დაწესებულების მიმართ და არსებითად განსაზღვრავს გაწეული მომსახურების ხარისხს. ერთ-ერთი განცხადების საფუძველზე, სამსახურმა შეამოწმა სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“. შემოწმება მოიცავდა ცენტრის მიერ აივ ინფექციის/შიდსის მართვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა (ტესტის წინა და ტესტის შემდგომი) და ტესტირების მომსახურების მოსარგებლეების (მათ შორის, ლგბტ+ პირების) პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ აივ ინფექცია/შიდსის კონსულტირებისა და ტესტირების პროცესი ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა. ამასთან, წინარე კონსულტაციის პროცესში, ხორციელდება მხოლოდ პირის გამოკითხვა და მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ელექტრონულად ან/და მატერიალურად არ აღირიცხება. თავის მხრივ, ეპიდემიოლოგს შეეძლო უბის წიგნაკში გარკვეული ინფორმაციის, მაგალითად, პირის ტელეფონის ნომრის ჩანიშვნა, რომელსაც მომავალში გამოიყენებდა მისი კონსულტირების მიზნებისთვის. ტესტირების შემდგომ მონაცემები მუშავდება, მათ

შორის, ელექტრონულ სისტემებში. ამ უკანასკნელთა დათვალიერებით კი გამოვლინდა, რომ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებულია არასაკმარისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, კერძოდ, ერთ-ერთ მონაცემთა ბაზას საერთოდ არ გააჩნია მონაცემთა მიმართ განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგ“ ჩანაწერები), ასევე, ბაზაზე წვდომა არ ხორციელდება ინდივიდუალური პაროლის და მომხმარებლის მეშვეობით, ბაზას გააჩნია სამი ინტერფეისი (რეგისტრატორებისათვის, ეპიდემიოლოგებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრომლისთვის), თითოეულ ინტერფეისს კი აქვს საერთო პაროლი (მაგალითად, ეპიდემიოლოგები ბაზაზე წვდომას ახორციელებენ ერთი ინტერფეისით და საერთო პაროლით). სხვა მონაცემთა ბაზაში კი არ აღირიცხება მონაცემების დათვალიერების, წაშლის ან/და გადმოწერის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან მონაცემთა უსაფრთხოების ზემოხსენებული ზომები არსებითად განსაზღვრავს სერვისით მოსარგებლეების მონაცემების კონფიდენციალობის რისკებს, გამოვლინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი და ცენტრს დაეკისრა პასუხისმგებლობა კანონის 46-ე მუხლით დადგენილი სამართალდარღვევისთვის.

შემოწმების ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ ტესტირების შედეგების მესამე პირზე გაცემის სურვილის შემთხვევაში სერვისით მოსარგებლე პირი გასცემდა წერილობით თანხმობას, რომელიც ინახება ეპიდემიოლოგთან დალუქულ უჯრაში, თუმცა მისი შენახვის ვადა მხოლოდ პრაქტიკით იყო განსაზღვრული. გადაწყვეტილების თანახმად, როდესაც ორგანიზაციაში არ არის შემუშავებული მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების განადგურების ვადები და პროცედურები, კონკრეტული დოკუმენტის უსაფრთხოების და მიზნის პროპორციული ვადით დამუშავების უზრუნველყოფა დამოკიდებულია კონკრეტული თანამშრომლის კეთილსინდისიერებასა და წინდახედულობაზე, რაც ქმნის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის საფრთხეს, ვინაიდან კონკრეტული წესის და ინსტრუქციის გარეშე მეტია რისკი იმისა, რომ თანამშრომელს გამორჩეს დოკუმენტის განადგურება ან არასათანადო ფორმით დაამუშაოს ის (მაგალითად, ჩააგდოს ნაგვის ურნაში). მითითებულის გათვალისწინებით, ცენტრს დაევალა აივ ინფექცია/შიდსზე ტესტირების წინა და შემდგომი კონსულტაციის, ასევე, ტესტირების პროცესში მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (თანხმობის ფორმები, უბის წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერები) განადგურების ვადებსა და ფორმებზე წერილობითი დოკუმენტის შემუშავება და ცენტრის მასშტაბით დანერგვა.

ამასთან, შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ კონსულტაციის გაწევისას ცენტრის ეპიდემიოლოგები სარგებლობენ ეპიდემიოლოგების სამუშაო ოთახით, სადაც, როგორც წესი, ერთდროულად განთავსებულია ორი ეპიდემიოლოგის სამუშაო სივრცე. სამსახურის შეფასებით, რამდენიმე სამუშაო პირის სივრცეში აივ ინფექცია/შიდსზე კონსულტაციის გაწევისას არსებობს მესამე პირებისთვის მონაცემების გამჟღავნების რისკები (მაგალითად, შესაძლოა პაციენტისთვის ცნობილი გახდეს ოთახიდან გასული ექიმის მაგიდაზე დარჩენილი ჩანაწერების შინაარსი, ან ეპიდემიოლოგმა, საქმეების გათვალისწინებით, ოთახიდან გასვლა ვერ შეძლოს), რაც მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი დამუშავებული მონაცემების მოცულობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიიჩნია, რომ აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მართვის ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლეების მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ცენტრმა უნდა განახორციელოს საკონსულტაციო სივრცეების მოდიფიკაცია.

1.3. დავალებები და რეკომენდაციები

სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაცემული დავალებები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

— იმ პროცესებში, სადაც მონაცემების არაკანონიერი დამუშავების რისკებს ერთგვაროვანი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს და უწყებების თანამშრომლები დამკვიდრებულ მიდგომებს განსხვავებულად განმარტავდნენ, დაწესებულებებს მიეცათ წერილობითი წესების, ინსტრუქციების შემუშავების და თანამშრომლებისთვის გაცნობის დავალებები. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, საკითხის ზეპირ რეგულირებას და მის საფუძველზე დამკვიდრებულ პრაქტიკას, წერილობითი შიდაორგანიზაციული დოკუმენტებისგან (დებულება, ინსტრუქცია, წესი და სხვა) განსხვავებით, შესაძლოა ნაკლებად მბოჭავი ეფექტი ჰქონდეს მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პირებისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია წერილობით მოწესრიგდეს მონაცემთა დამუშავების პროცესების თანმიმდევრობა, განისაზღვროს დასამუშავებელი მონაცემების კონკრეტული მოცულობა, ვადა, გაანალიზდეს მონაცემების კატეგორიები და მათი დამუშავების საფუძვლები, ასევე, ის ორგანიზაციული ზომები, რომლებიც მონაცემების უსაფრთხო დამუშავებას უზრუნველყოფს;

— მონაცემების უკანონო გასაჯაროების ფაქტების გამოვლენის შემთხვევებში გაიცა გამოქვეყნებული, სოციალური ქსელების ჯგუფებში განთავსებული ინფორმაციის წაშლის დავალებები;
— გაცემული დავალებები მიემართება იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილი ფიზიკური პირები ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე წვდომებს შეძლებენ მხოლოდ სათანადო პაროლით დაცული განპიროვნებული მომხმარებლების ანგარიშებით;
— დაწესებულებებს დაევალათ ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ელექტრონულ სისტემებში, ასევე მონაცემთა ბაზებზე პირდაპირი წვდომების შემთხვევაში მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების, მათ შორის, დათვალიერების განმახორციელებელი პირების ვინაობის აღრიცხვას;
— მონაცემთა სუბიექტებისთვის მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საქმეებში გაცემული დავალებები მოიცავს კონკრეტული დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის ფიზიკური პირებისთვის გაგზავნის დავალებებს, ასევე, ხშირია მასალების მონაცემთა სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სხვა პირთა მონაცემების დაფარვის, აუდიოჩანაწერების დამუშავების და ამგვარი გზით ნაწილობრივ დეპერსონალიზებული მასალების გაცემის დავალებები;
— გაიცა ელექტრონული სისტემების იმგვარად მოდიფიცირების დავალებები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფიზიკური პირების სურვილის და სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, მათ შესახებ განახლებული, მეტად უტყუარი ინფორმაციის ასახვის შესაძლებლობა;
— მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით, გაიცა ელექტრონულ სისტემებს შორის ინფორმაციის დაშიფრული მეთოდით გადაცემის/მიმოცვლის დავალება;
— ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას დაევალა სამედიცინო სივრცის მოდიფიცირება პაციენტების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად;
— საანგარიშო პერიოდში გაიცა ვიდეოთვალთვალის კანონიერად წარმართვის მიზნით იმგვარი დავალებები, როგორიცაა გამაფრთხილებელი ნიშნის ცვლილება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება, ვიდეოჩამწერი მოწყობილობის ფიზიკურად და ადამიანისგან დაცულ ადგილას (მაგალითად ჩაკეტილ უჯრაში) განთავსება, ელექტრონული სისტემის მომხმარებლების პაროლებით დაცვის, ასევე, ვიდეოჩამწერ სისტემებში მონაცემების მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედების აღრიცხვის დავალებები.

2. მონაცემთა დამუშავება კერძო სექტორში

კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის მიზნით, როგორც საკუთარი ინიციატივით – არაგეგმური ინსპექტირებების, ასევე დაინტერესებული პირების შეტყობინებებისა და განცხადებების საფუძველზე, შეისწავლა კერძო ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერ მონაცემთა დამუშავების არაერთი კანონიერების ფაქტი. ამასთან, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კონსულტაცია გაუწია შესაბამის პირებს/ორგანიზაციებს.

გამოიკვეთა მონაცემთა დამუშავების კანონიერების ცალკეული აქტუალური საკითხები, როგორიცაა:

- ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა საკუთარ მონაცემებზე;
- არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა;
- შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვა:
- ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება;
- ფინანსურ სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება.

2.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები

- **ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა საკუთარ მონაცემებზე**

საკუთარ მონაცემებზე ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია და წარმოადგენს ადამიანის არაერთი უფლების რეალიზაციის წინაპირობას. მონაცემთა სუბიექტის უფლება წვდომა ჰქონდეს საკუთარ მონაცემებზე, ერთი მხრივ, ემსახურება მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას მის შესახებ მონაცემების დამუშავების თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, აქვს დამხმარე ფუნქცია კანონით განსაზღვრული სხვა უფლებების რეალიზებისთვის. მონაცემებზე წვდომის უფლება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მონაცემთა სუბიექტს მიეცეს მონაცემების წაშლის, დაბლოკვისა და კორექტირების საშუალება. პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაში გამორჩეული როლი აქვს თითოეულ ინდივიდს. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა, ასევე, ფიზიკური პირის ინფორმირებასთან დაკავშირებული ქმედითი მექანიზმების დანერგვა და

მათი ეფექტიანი გამოყენება საანგარიშო პერიოდში სამსახურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა.

ფიზიკური პირის მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფის პროცესში გამოიკვეთა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაკლოვანი შესრულების ფაქტები:

— მონაცემთა სუბიექტებისთვის მათი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მიუწოდებლობის ან არაგონივრულ ვადებში გადაცემის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტულ ვადას, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს მონაცემთა დამმუშავებლების მხრიდან შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად გამოყენებისა და მონაცემთა სუბიექტის საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამმუშავებლებმა ფიზიკურ პირს მოთხოვნილი დოკუმენტაცია მიაწოდონ იმ გონივრულ ვადაში, რომელიც, მოთხოვნილი მასალის ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, საჭიროა დოკუმენტაციის მოსამზადებლად და მონაცემთა სუბიექტისთვის გადასაცემად;
— შესწავლილი პროცესების საფუძველზე გამოიკვეთა ფიზიკური პირის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, კანონმდებლობით დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით ინფორმირების ფაქტები. ცალკეულ შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებლები მიუთითებდნენ იმ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ფიზიკური პირისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადის ათვლასთან დაკავშირებით, აღნიშნული ვადა კი აღემატებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილ მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადას. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა შეაფასონ განცხადების/მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შინაარსი და ფიზიკური პირის მიერ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, იხელმძღვანელონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმირების 10-დღიანი ვადით, რომელიც წარმოადგენს, მათ შორის, დიდი მოცულობის მონაცემების შეგროვებისა და მონაცემთა სუბიექტისთვის გადაცემის გონივრულ და ობიექტურ დროს. გარდა ამისა, ვადის დასაცავად მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებლებმა უზრუნველყონ დასაქმებულ პირებზე უფლებამოსილებების იმგვარი დელეგირება, რომ ადამიანური რესურსის ნაკლებობა არ გახდეს მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის 10-დღიანი ვადის დარღვევით მიწოდების საფუძველი. მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა დანერგონ ისეთი პროცესი,

რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზების ქმედით შესაძლებლობას;

- ცალკეულ შემთხვევებში, გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების გარეშე მისი უფლების შეზღუდვის შემთხვევები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი, მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მისი უფლების შეზღუდვის საფუძვლის შესახებ იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს თავად შეზღუდვის ინტერესს;
- ზოგიერთ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნაზე, მონაცემთა დამმუშავებლები უარს აცხადებდნენ იმ საფუძვლით, რომ ფიზიკური პირისთვის უკვე მიწოდებული ჰქონდათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზების მიზნით, მონაცემთა დამმუშავებლებმა შეაფასონ დოკუმენტაციის ბოლო მიწოდების დრო, მიწოდებიდან ხელმეორედ მოთხოვნის პერიოდში შეცვლილი გარემოებები და სწორედ აღნიშნულის შემდგომ მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება;
- გამოვლინდა ფიზიკური პირისგან მონაცემების შეგროვებისას მისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევები. კანონი მონაცემთა დამმუშავებელს იმპერატიულად უწესებს ვალდებულებას, უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ინფორმაციის მოპოვების პროცესში, მათ შორის, ვებგვერდზე რეგისტრაციისას, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. ეს ვალდებულება მონაცემთა დამმუშავებლებმა პროაქტიულად უნდა შეასრულონ, მიუხედავად იმისა, მონაცემთა სუბიექტი გამოავლენს თუ არა ინტერესს ამ ინფორმაციის მიმართ. ამასთან, კანონით დადგენილი მონაცემთა დამუშავების სტანდარტებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების ეფექტური რეალიზებისთვის, რამდენადაც, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს თავისი მონაცემების მიწოდების/გაცემის საჭიროება და ასევე, მოიპოვოს ინფორმაცია მომავალში საკუთარი უფლებების დაცვის გზების შესახებ.

- **არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა**

არასრულწლოვნების მონაცემთა დაცვის უფლება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს, რადგან ისინი ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უარყოფითი შედეგების თაობაზე და საკუთარი უფლებების დასაცავად, ხშირად არ შეუძლიათ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამოუკიდებლად გამოყენება. მონაცემთა დაცვის უფლების დარღვევამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკასა და განვითარებას, შესაბამისად, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებშიც თავს იყრის არასრულწლოვნების შესახებ დიდი მოცულობისა და სენსიტიური კატეგორიის მონაცემები.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა პირთა მომართვის საფუძველზე, შეისწავლა კერძო დაწესებულებების და ფიზიკური პირების მიერ სამეწარმეო/პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების სხვადასხვა შემთხვევა და გაატარა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ამასთან, გამოიკვეთა კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაკლოვანი შესრულების შემდეგი ფაქტები:

— საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დამუშავების ფაქტები. პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება, შესაძლოა, განსაკუთრებით საზიანო იყოს არასრულწლოვანთა შემთხვევაში, მათი მოწყვლადობის გათვალისწინებით, ამასთან, არასრულწლოვნები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების უარყოფით შედეგებზე. ამდენად, მონაცემთა დამმუშავებლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას და მონაცემები დაამუშაონ მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
— გამოვლინდა შემთხვევები, როცა მონაცემთა დამმუშავებლებს არ ჰქონდათ მიღებული ადეკვატური და ეფექტური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. მაგალითად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით არასრულწლოვნების ელექტრონული ფორმით არსებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მონაცემთა დამმუშავებლის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს ჰქონდათ საერთო მომხმარებლის ანგარიშის მეშვეობით. საერთო ანგარიშით სარგებლობის გათვალისწინებით კი შეუძლებელია

იდენტიფიცირება, ვის, როდის, რა მიზნითა და რა მოცულობით ჰქონდა წვდომა არასრულწლოვანთა მონაცემებზე. აღნიშნული ზრდის მონაცემთა უკანონო დამუშავების რისკებს. ამდენად, მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა შექმნან ადეკვატური და ქმედითი უსაფრთხოების სისტემები, რომლებიც გამორიცხავს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების უკანონო ან/და შემთხვევით დამუშავებას.

- **შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვა**

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მუშავდება დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები, რაც განპირობებულია იმით, რომ იგი მოიცავს როგორც სახელშეკრულებო, ასევე, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომ ურთიერთობებს. შრომითი ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე დამსაქმებლის მიერ ხდება დასაქმების მსურველი პირების, მოქმედი და ყოფილი დასაქმებულების პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვადასხვა მიზნით, როგორიცაა, მათ შორის, კვალიფიციური კადრების შერჩევა, შრომითი ხელშეკრულების დადება, კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და სხვა.

დამსაქმებლების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხშირად ხდება სხვადასხვა ელექტრონული სისტემის საშუალებით. ამასთან, დამსაქმებლის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობის გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების პროცესში, როგორც წესი, ჩართულია არაერთი პირი, შესაბამისად, ელექტრონულ სისტემებზე დაშვება, შესაძლოა ჰქონდეს არაერთ მათგანს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემთა კონფიდენციალობის დასაცავად ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო დამუშავების მომეტებული საფრთხე. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შრომით ურთიერთობებში მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დაცვა კვლავ დარჩა სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტად და აღნიშნულისთვის 2023 წელს განხორციელდა არაერთი ღონისძიება, რომელიც დასაქმებულების პერსონალური მონაცემების დამუშავების საკანონმდებლო მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაკლოვანი შესრულების შემდეგი ფაქტები:

— საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ვიდეომონიტორინგის ფარგლებში თანამშრომელთა მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის

კანონმდებლობის დარღვევით დამუშავების ფაქტი. კერძოდ, სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას მონაცემთა დამმუშავებლის მიზანი სამსახურმა არ მიიჩნია კანონით მოთხოვნილ საგამონაკლისო შემთხვევად. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისა და შესაბამისად, თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, მონაცემთა დამმუშავებლებმა შეაფასონ დაცული იქნება თუ არა სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მონაცემთა დაცვის უფლებას შორის. ამასთან, განსაზღვრონ, არსებობს თუ არა სამუშაო სივრცეში ვიდეოთვალთვალის განხორციელების საგამონაკლისო შემთხვევა;

— შესწავლილი პროცესების საფუძველზე გამოიკვეთა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში თანამშრომლის პერსონალური მონაცემის, მათ შორის, თანამშრომლის უარყოფითი შეფასების, მესამე პირებისთვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე გამჟღავნების ფაქტი. გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირებისთვის თანამშრომლის უარყოფითი შეფასების გამჟღავნება, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს პირის სამომავლო პროფესიულ განვითარებაზე და ამასთან, გამოიწვიოს პირის რეპუტაციის, მისი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა. მონაცემთა დამმუშავებლებმა დასაქმებულთა მონაცემების გამჟღავნებისას უნდა დაიცვან სამართლიანი ბალანსი დამსაქმებლის კანონიერ ინტერესებსა და დასაქმებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის;

— შრომით ურთიერთობებში დასაქმებულთა მონაცემების დამუშავებისას გამოიკვეთა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას თანამშრომელთა ინფორმირების კანონით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტები. მაგალითად, სამუშაო სივრცეში ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობასთან დაკავშირებით შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი იყო ზოგადი ხასიათის და სუბიექტისთვის არ იყო აღქმადი ინფორმაცია უშუალოდ მისი სამუშაო ადგილის ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომლების წერილობითი ინფორმირება უშუალოდ მის სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ, ყოველგვარი ბუნდოვანების გარეშე, რათა დაცული იყოს სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მონაცემთა დაცვის უფლებას შორის.

- ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება

ფიზიკური პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, მისი სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, დაცვის მაღალ სტანდარტს ექვემდებარება. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები შეიცავს მეტად ინტიმურ დეტალებს ინდივიდის ცხოვრების სტილის, ჩვევების, ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. მათი უკანონო გამჟღავნება შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იყოს პიროვნების პირადი და ოჯახური ცხოვრების, ასევე, დასაქმებისა და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაკლოვანი შესრულების შემდეგი ფაქტები:

— საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ მონაცემთა დამმუშავებლებს მონაცემთა დამუშავების საწყის ეტაპზე, სამედიცინო პერსონალის მიმართ არ ჰქონდათ განსაზღვრულ მონაცემებზე დიფერენცირებული წვდომის საკითხი. მაგალითად, სამედიცინო დაწესებულების ერთი პროფილის ექიმს (რომელიც არ იყო ჩართული ამ პაციენტის მკურნალობის პროცესში) დაშვება ჰქონდა სხვა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებლებმა მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც მაქსიმალურად შეზღუდავს მონაცემებზე არაუფლებამოსილი პირების წვდომის შესაძლებლობას;
— გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც, მონაცემთა დამმუშავებლებს არ ჰქონდათ მიღებული ადეკვატური და ეფექტური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. მაგალითად, როდესაც სამედიცინო დაწესებულებაში მონაცემების მიმოცვლა კომპიუტერსა და პროგრამის სერვერს შორის ხორციელდებოდა დაშიფვრის გარეშე, რაც ქმნიდა მესამე პირების მხრიდან მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო დამუშავების რისკებს. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისთვის კი არსებითად მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებლებმა მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები და დაშიფრონ მონაცემები კომპიუტერული ქსელით მიმოცვლის დროს;
— ხაზგასასმელია, რომ კვლავ აქტუალურია ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვის პრობლემა. მაგალითად, პროგრამაში შეიძლება აღირიცხებოდეს ავტორიზაცია, მონაცემთა მიმართ განხორციელებული ცვლილებები (დამატება/რედაქტირება/წაშლა), მაგრამ არ აღირიცხებოდეს პაციენტის ძებნა და პროგრამაში არადოკუმენტური სახით დაცული მონაცემების

დათვალიერება. ასევე, პრობლემურია მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვის საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით კი აუცილებელია ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა;

— პრობლემურია სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის მატერიალური სახით დაცული სამედიცინო დოკუმენტაციის უსაფრთხოების დაცვა, რათა არ შეიქმნას ამ დოკუმენტაციის მესამე პირებზე შემთხვევით გამჟღავნების რისკი. დამმუშავებელი ორგანიზაცია ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები და უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის სათანადო დაცვა.

- **საფინანსო სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება**

მონაცემთა ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დამმუშავებელს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, რომელიც აერთიანებს, მათ შორის, კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემ სუბიექტებს, პრობლემური აქტივების მართვის კომპანიებს. აღნიშნულ სექტორში შემავალი კომპანიების მიერ მუშავდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, აგრეთვე, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტების მისამართების, სამუშაო ადგილის, ფინანსური ვალდებულებების, ფინანსური ტრანზაქციების, ნათესაური კავშირის შესახებ.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საფინანსო სექტორში ყოველწლიურად იზრდება მათი მეშვეობით მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნისა და მათი სხვადასხვა მიზნისთვის გამოყენების ფაქტები. ავტომატური გზით მონაცემთა დამუშავების პროცესში კი თავისთავად იზრდება ხარვეზებისა და დარღვევების რისკები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის საფინანსო სექტორში პერსონალური მონაცემების დაცვა მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, რა მიზნითაც, წინა წლის მსგავსად, სამსახურმა განაგრძო აღნიშნულ სექტორში მონაცემთა დამუშავების შემთხვევების შესწავლა და, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, განახორციელა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაკლოვანი შესრულების შემდეგი ფაქტები:

— შესწავლილი პროცესების საფუძველზე გამოიკვეთა საფინანსო სექტორის მიერ მსესხებლის მოძიების მიზნით მესამე პირებთან დაკავშირების ფაქტები. ამ

ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ საფინანსო სექტორმა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელოს მსგავსი ქმედებები, ვინაიდან მესამე პირ(ებ)თან დაკავშირება და მისთვის/მათთვის იმ ინფორმაციის მიწოდებაც, თუ რა მიზნით (მაგალითად: მსესხებლის მოძიების მიზანი) უკავშირდებიან, თავისთავად გულისხმობს მსესხებლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებას. შესაბამისად, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებმა უპირატესად მათთვის ცნობილ მსესხებლის საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით უნდა სცადონ ამ უკანასკნელთან დაკავშირება და მხოლოდ ამ მეთოდით შესაბამისი მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, მსესხებლის მოძიების მიზნით, დაუკავშირდნენ მესამე პირ(ებ)ს;

— საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა საფინანსო სექტორის მიერ მსესხებლების მოძიების მიზნით, მესამე პირებთან მათი მოთხოვნის მიუხედავად, კვლავ დაკავშირების ფაქტებიც. იმ პირობებში კი, როდესაც საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, კონკრეტული პირის მოძიების მიზნით, მესამე პირთან ამყარებს კომუნიკაციას, ხოლო ეს უკანასკნელი უარს აცხადებს კომუნიკაციაზე და ითხოვს მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტას, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, შეწყვიტოს და აღარ დაამუშაოს მითითებული მიზნით მესამე პირის მონაცემი;

— ელექტრონულ სისტემებსა და მონაცემთა ბაზებში დაცული მონაცემების მოცულობისა და მათი მარტივად მოძიების შესაძლებლობიდან გამომდინარე, ორგანიზაციაში არსებული მონაცემების უსაფრთხოებისთვის, მნიშვნელოვანია ასეთ სისტემებში დაცულ მონაცემებზე წვდომის სისტემური მონიტორინგი;

— ელექტრონულ სისტემებსა და მონაცემთა ბაზებში დაცული მონაცემების მოცულობისა და მათი მარტივად მოძიების შესაძლებლობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში დაცული მონაცემების უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთ სისტემებში დაცულ მონაცემების უსაფრთხოებისთვის შესაბამისი ტექნიკური ზომების მიღება. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი საფინანსო სექტორის წარმომადგენელი მომხმარებლებს სთავაზობდა მის აპლიკაციაში სატელეფონო ნომრის მითითების შემთხვევაში თანხის გადარიცხვის შესაძლებლობას იმგვარად, რომ პროცესში დასახელებული ნომრის მფლობელის სახელი და გვარი გადარიცხვის ინიციატორისთვის ხდებოდა ცნობილი. მოცემულ შემთხვევებში საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ იქმნებოდა პერსონალურ მონაცემთა უკანონო გამჟღავნების რისკი. კერძოდ, დაინტერესებულ პირს არა თანხის გადარიცხვის, არამედ სატელეფონო ნომრის მფლობელის ვინაობის მოძიების/დადგენის მიზნით შეეძლო ესარგებლა აპლიკაციით. შესაბამისად,

საფინანსო სექტორის წარმომადგენლებმა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად სატელეფონო ნომრის მეშვეობით თანხის გადარიცხვის შემთხვევებში, მნიშვნელოვანია უზრუნველყონ თანხის მიმღები პირის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენას არაპროპორციულად დიდი ძალისხმევა, ხარჯები და დრო დასჭირდეს.

2.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

- **ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა საკუთარ მონაცემებზე**

სამსახურმა განცხადების საფუძველზე შეისწავლა ერთ-ერთი ბანკის მიერ განმცხადებლის, როგორც მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევის საკითხი

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ განმცხადებელმა წერილობით მიმართა ბანკს და მისი საბანკო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ და მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოითხოვა. ბანკმა, განმცხადებელს მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდა მოთხოვნიდან მე-11 დღეს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების მაქსიმალური 10-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბანკმა განმარტა, რომ განმცხადებლის წერილი, თავისი შინაარსით, წარმოადგენდა პრეტენზიას, რომლის განხილვისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 09 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ 13.3 მუხლის თანახმად, განსაზღვრული იყო ერთი თვე. ამასთან, წერილის კანონის 21-ე მუხლის ჭრილში განხილვის შემთხვევაშიც, ვადების გამოთვლის მიზნებისთვის გასათვალისწინებელი იყო სხვა საკანონმდებლო აქტები, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-15 მუხლი, რომლის თანახმად, ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლებოდა, ხოლო განმცხადებლის წერილის მიღების შემდგომ გარკვეული პერიოდი, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, წარმოადგენდა უქმე დღეს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ ვინაიდან, საბანკო ანგარიშები წარმოადგენდა განმცხადებლის პერსონალურ მონაცემ(ებ)ს, განმცხადებლის მოთხოვნა სწორედ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლიდან გამომდინარეობდა. ამასთან, ვადების გამოთვლის საკითხთან დაკავშირებით, ბანკის პოზიცია სამსახურის მიერ ვერ იქნა გაზიარებული იმდენად, რამდენადაც, სამსახურზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (გარდა III თავისა (ინფორმაციის თავისუფლება)) არ ვრცელდება. შესაბამისად, ვადების გამოთვლისას არც საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესები გამოიყენებოდა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი კი იმპერატიულად ადგენს მონაცემთა სუბიექტისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ვადებს და მონაცემთა დამმუშავებელს, ინფორმაციის გაცემისთვის მაქსიმუმ 10-დღიან პერიოდს უწესებს.

ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ ბანკის მიერ დარღვეულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

სამსახურმა განცხადების საფუძველზე შეისწავლა ერთ-ერთი ბანკის მიერ განმცხადებლის, როგორც მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევის საკითხი

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ფიზიკურმა პირმა, როგორც განმცხადებლის წარმომადგენელმა, მიმართა ბანკს და მოითხოვა ინფორმაცია განმცხადებლის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ. ბანკის თანამშრომელმა განმცხადებლის წარმომადგენელს მომსახურების გასაწევად შესთავაზა ბანკის კლიენტად რეგისტრაცია, ხოლო აღნიშნულისა და მინდობილობის, როგორც დედანი დოკუმენტის, დატოვებაზე უარის მიღების შემდგომ არ მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია. მინდობილობით განმცხადებელს წარმომადგენლისთვის მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება მისი სახელით ეწარმოებინა ნებისმიერი საქმიანობა, კერძოდ, წარედგინა, გამოეთხოვა და მიეღო განმცხადებლის სახელზე დაცული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ამდენად, განმცხადებლის წარმომადგენელი უფლებამოსილი იყო ბანკისგან გამოეთხოვა განმცხადებლის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია.

განცხადების განხილვის ფარგლებში ბანკმა განმარტა, რომ მინდობილი პირის მიერ მინდობილობის საფუძველზე ბანკში შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირების შემთხვევაში ბანკსა და შესაბამის პირს შორის მყარდებოდა საქმიანი ურთიერთობა, რა დროსაც ბანკი მოქმედებდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ბანკს, როგორც ანგარიშვალდებულ პირს, დასახელებული კანონის მიხედვით, ეკისრებოდა კლიენტის სახელით მოქმედი პირის იდენტიფიკაცია და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით, მისი ვერიფიკაცია. აგრეთვე, ბანკს უნდა მოეპოვებინა და შეენახა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდა ამისა, ბანკში არსებული სტანდარტული პროცედურის შესაბამისად, მინდობილობის საფუძველზე მარწმუნებლის შესახებ ინფორმაციის გაცემა რწმუნებულ პირზე შესაძლებელი იყო სწორედ დედანი მინდობილობის წარდგენისა და ბანკის ბაზაში სათანადო წესით რეგისტრაციის შემდგომ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ ბანკისთვის ცნობილი იყო მინდობილობის შინაარსი და ფაქტი, რომ რწმუნებული წარმოადგენდა განმცხადებელს. ამდენად, იგი, განმცხადებლის შესახებ ბანკისგან ინფორმაციის გამოთხოვისას იყო განმცხადებლის ნების გამტარებელი. შესაბამისად, თუნდაც კანონმდებლობით თუ ბანკის შიდა პროცედურის გათვალისწინებით, ბანკს არ ჰქონდა შესაძლებლობა უშუალოდ რწმუნებულისთვის მიეწოდებინა მოთხოვნილი ინფორმაცია, განმცხადებლის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ბანკს უნდა გაეტარებინა რაიმე ქმედითი ღონისძიება, მაგალითად, უშუალო კომუნიკაცია დაემყარებინა თავად განმცხადებელთან, მით უფრო იმ პირობებში, როცა იგი წარმოადგენდა ბანკის კლიენტს და სწორედ მონაცემთა სუბიექტისთვის მიეწოდებინა მისი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ამდენად, ბანკმა დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა, რაც წარმოადგენს ამავე კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

- **არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა**

ერთ-ერთი პირის განცხადება

სამსახურს განცხადებით მომართა ერთ-ერთმა პირმა და მოითხოვა მისი და მისი არასრულწლოვანი შვილის პერსონალური მონაცემების, კერძოდ, სატელეფონო ნომრის, სახელის და გვარის, ერთ-ერთი მობილური ნომრების აპლიკაციის მეშვეობით დამუშავების კანონიერების შესწავლა. აპლიკაციაში სატელეფონო ნომრის მოძიების შემთხვევაში, აპლიკაცია იძლეოდა შესაძლებლობას დადგენილიყო ნომრის სავარაუდო მფლობელის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლის სახელი და გვარი, ხოლო მისი არასრულწლოვანი შვილის – მხოლოდ სახელი.

სამსახურის მიერ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები და მოძიებულ იქნა მონაცემთა დამმუშავებელი. მონაცემთა დამმუშავებელმა განმარტა, რომ აპლიკაციის მეშვეობით მას შემოსავალი არ მიუღია, შესაბამისად, მის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე არ უნდა გავრცელებულიყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა თავად შექმნა აპლიკაცია, რომელიც ერთი წლის მანძილზე განთავსებული ჰქონდა „Google“-ის აპლიკაციების მართვის ვებგვერდზე, რაშიც ერთჯერადად გადაიხადა შესაბამისი საფასური, ასევე აპლიკაციის მეშვეობით ამუშავებდა სხვა პირთა მონაცემებს ცალსახად მიუთითებდა მის მიზანზე – განეხორციელებინა სამეწარმეო საქმიანობა.

სამსახურის გადაწყვეტილებით, განიმარტა ისიც, რომ ამ ტიპის აპლიკაციები იქმნება იმ მიზნით, რომ ბევრმა მომხმარებელმა გადმოწეროს აპლიკაცია, გაუზიაროს მის მოწყობილობაში არსებული საკონტაქტო ინფორმაცია და ამ გზით მოხდეს აპლიკაციის პოპულარიზაცია, რა დროსაც შესაძლებელია აპლიკაციაში რეკლამების განთავსება და შემოსავლის მიღება. შესაბამისად, აპლიკაციის მეშვეობით მონაცემების დამუშავება მიჩნეულ იქნა დაკავშირებულად მის სამეწარმეო მიზნებთან, რის გამოც, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განმცხადებლის და მისი არასრულწლოვანი შვილის მონაცემების დამუშავებაზე გავრცელდა კანონის მოქმედება.

მონაცემთა დამმუშავებლის მიერ აპლიკაციის მეშვეობით განმცხადებლის და მისი არასრულწლოვანი შვილის მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულ იქნა მონაცემთა სუბიექტთა თანხმობა, თუმცა მან ვერ შეძლო სამსახურისთვის შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა, ვინაიდან, მოცემული

მომენტისთვის აპლიკაცია და მასში არსებული მონაცემები იყო წაშლილი. გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მითითებით, აპლიკაციის მიერ განმცხადებლის და მისი არასრულწლოვანი შვილის მონაცემების დამუშავება ხდებოდა მათი თანხმობის გარეშე.

კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი.

ვინაიდან, მონაცემთა დამმუშავებელმა ვერ წარმოადგინა განმცხადებლის და მისი არასრულწლოვანი შვილის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე მათ მიერ გაცხადებული თანხმობის მტკიცებულება, ამასთან, განცხადების განხილვის ფარგლებში არ გამოიკვეთა კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობა, სამსახურმა დაადგინა, რომ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ადგილი ჰქონდა კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა ერთ-ერთ კერძო კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო ადგილზე მიმდინარე ვიდეოთვალთვალის კანონიერება. შეტყობინების ავტორის ინფორმაციით, კომპანიის მიერ თანამშრომელთა გასაკონტროლებლად სამუშაო ადგილზე (ოთახებში) მიმდინარეობდა ვიდეომონიტორინგი, ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომა ჰქონდა კომპანიის არაერთი თანამშრომელი და ხდებოდა ვიდეოჩანაწერების კომპანიის მომსახურებით მოსარგებლე არასრულწლოვანთა მშობლების მიმართ უკანონოდ გამჟღავნების ფაქტები.

კომპანიას მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და მიეცა სავალდებულოდ შესასრულებელი დავალება, რათა მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები შესაბამისობაში ყოფილიყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

- **შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვა**

კერძო კომპანია

ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა კერძო კომპანიის ერთ-ერთ დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო ადგილზე მიმდინარე ვიდეოთვალთვალის კანონიერება. შეტყობინების თანახმად, დეპარტამენტის თანამშრომლებს არ ჰქონდათ კომუნიკაცია მომხმარებლებთან და არ განკარგავდნენ ფინანსებს. შეტყობინების ავტორმა მიიჩნია, რომ კომპანიის დეპარტამენტში სავარაუდოდ კანონდარღვევით მიმდინარეობდა ვიდეოთვალთვალი.

სამსახურმა მიიჩნია, რომ კომპანიის მიერ დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას, დაცული არ იყო სამართლიანი ბალანსი მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებას შორის, რის გამოც არ არსებობდა სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელებისათვის კანონით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევა. შესაბამისად, კომპანიის მიერ დარღვეული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები, რის საფუძველზეც, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, კომპანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და მიეცა სავალდებულოდ შესასრულებელი დავალებები.

- **ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება**

ერთ-ერთი კერძო კლინიკა

მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა კერძო კლინიკის მიერ პაციენტის პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების სავარაუდო ფაქტი. განცხადების თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, განმცხადებელი იმყოფებოდა კლინიკაში, რა დროსაც კლინიკის თანამშრომელმა შეავსო მისი, როგორც სტაციონარული პაციენტის, სამედიცინო ბარათი. სამსახურში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალითა (ე.წ. „სქრინშოთით“) და მისივე განმარტებით გამოიკვეთა, რომ განმცხადებელმა სოციალურ ქსელში მისთვის უცნობი პირისაგან მიიღო შეტყობინება თავისი „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ ფოტოსურათთან ერთად. განმცხადებლისათვის სოციალური ქსელის საშუალებით გაგზავნილი მისი „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის“ პირველი გვერდი (გარეკანი)

შეიცავდა განმცხადებლის შემდეგ მონაცემებს: ბარათის ნომერს, პირად ნომერს, სახელს და გვარს, სამედიცინო დაწესებულების დასახელებას, კლინიკაში შემოსვლის თარიღს, სატელეფონო ნომერს, სადაზღვევო კომპანიისა და სტუდენტის სტატუსის შესახებ ინფორმაციას.

კლინიკას მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის, ხოლო მონაცემთა დამმუშავებელი ფიზიკური პირის მიერ გამოვლინდა განმცხადებლის მონაცემების აშკარა პირადი მიზნით დამუშავება, რაზეც კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდება კანონის მოქმედება, რადგან სცდება სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებს.

შეტყობინების საფუძველზე დაწყებული შემოწმება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეტყობინების საფუძველზე ერთ-ერთი კლინიკის მიერ კლინიკის პაციენტის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერება შეისწავლა.

შეტყობინების თანახმად, კლინიკის ექიმებმა პრესკონფერენციის ფარგლებში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით გაამჟღავნეს პაციენტის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ პრესკონფერენციისას კლინიკის ექიმებმა გაამჟღავნეს პაციენტის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, ისაუბრეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. კლინიკის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენილი განმარტების თანახმად, პრესკონფერენციის მიმდინარეობისას, კლინიკის სახელით მოქმედებდნენ ის ექიმები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პაციენტის მკურნალობის პროცესში. პაციენტის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, კლინიკა მიუთითებდა საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებასა და კლინიკის/კლინიკის ექიმების ინტერესების დაცვაზე. კერძოდ, კლინიკის განმარტებით, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებიდან/სოციალური ქსელებიდან ჟღერდებოდა ისეთი ინფორმაცია, რაც, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და კლინიკაზე ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაცია. გარდა ამისა, საზოგადოებას სურდა ექიმებისგან მოესმინა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ის განმარტებები, რაც მანამდე სხვადასხვა ინტერპრეტაციით ჟღერდებოდა. ამასთან,

კლინიკის მიმართ არსებულმა ცრუ ბრალდებებმა კლინიკის პერსონალზე უარყოფითად იმოქმედა. სწორედ ამიტომ პრესკონფერენციის ჩატარება წარმოადგენდა ექიმების უფლებების დაცვისთვის გადადგმულ იძულებით ნაბიჯს. გარდა ამისა, კლინიკის განმარტებით, პრესკონფერენციაზე გამჟღავნდა პაციენტის შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მანამდე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა თავად პაციენტის ადვოკატისგან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ პრესკონფერენციაზე ექიმებმა გაამჟღავნეს პაციენტის შესახებ ისეთი ინფორმაცია, რაც, მანამდე პაციენტის ადვოკატის მიერ არ გაჟღერებულა. ამასთან, კლინიკა წარმოადგენდა იმ დაწესებულებას, რომელიც ფლობდა უახლეს ინფორმაციას პაციენტის შესახებ. შესაბამისად, პრესკონფერენციისას ექიმებმა საჯარო გახადეს მათ ხელთ არსებული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ბოლო მონაცემები. ამდენად, კლინიკის არგუმენტი, რომ ექიმების მხრიდან გამჟღავნდა პაციენტის შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მანამდე საზოგადოებისთვის თავად პაციენტის ადვოკატისგან იყო ცნობილი, სამსახურის მიერ ვერ იქნა გაზიარებული. შემოწმების ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ პაციენტის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას კლინიკა არ მოქმედებდა პაციენტის თანხმობის საფუძველზე, ხოლო, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, მე-2 პუნქტის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ პრესკონფერენციის ფარგლებში კლინიკამ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები გაამჟღავნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით. შესაბამისად, კლინიკას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა ამავე კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის.

- **ფინანსურ სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება**

შეტყობინების საფუძველზე დაწყებული შემოწმება

ერთ-ერთი პირის მომართვის საფუძველზე დაწყებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ერთ-ერთი ბანკი მომხმარებლებს სთავაზობდა ინტერნეტბანკში

სატელეფონო ნომრის მეშვეობით თანხის გადარიცხვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ თანხის მიმღები პირი წარმოადგენდა ბანკის მომხმარებელს (მიუხედავად იმისა, გააჩნდა თუ არა მას აქტიური ანგარიში ამავე ბანკში).

კერძოდ, ინტერნეტბანკში სატელეფონო ნომრის მეშვეობით თანხის მესამე პირისთვის გადარიცხვის პროცესში თანხის მიმღები პირის სატელეფონო ნომრის მითითების შემთხვევაში თავდაპირველად ხელმისაწვდომი ხდებოდა თანხის მიმღები პირის სახელი და გვარი სრულად, ხოლო ბანკში განხორციელებული ცვლილების შემდგომ ამავე პროცესში ხელმისაწვდომი ხდებოდა თანხის მიმღები პირის მხოლოდ სახელი სრულად და გვარის პირველი ასოს ინიციალი. ინტერნეტბანკში სატელეფონო ნომრით გადარიცხვის პროცესში თანხის მიმღები პირის მონაცემების ბანკის მიერ გადარიცხვის მსურველი პირისთვის გამჟღავნების მიზანს ბანკისთვის, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის, წარმოადგენდა თანხის მიმღების იდენტიფიცირება და გადახდის ოპერაციის სწორად/წარმატებით შესრულება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თანხის მიმღები პირის იდენტიფიცირების გარეშე სატელეფონო ნომრის არასწორად შეყვანის შემთხვევაში არსებობდა თანხის არასწორ პირთან გადარიცხვის რისკი. ამასთან, როგორც შემოწმების ფარგლებში დადგინდა, თანხის მიმღები პირის იდენტიფიცირებისთვის საკმარისი იყო თანხის გადარიცხვის მხოლოდ ინიცირება და აუცილებელი არ იყო გადარიცხვის შესრულება.

სამსახურის გადაწყვეტილებით შეფასდა, რომ თანხის გადარიცხვისას ბანკს ჰქონდა ლეგიტიმური ინტერესი, ინტერნეტბანკში თანხის გადამრიცხავი პირისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია თანხის მიმღები პირის სახელისა და გვარის, ხოლო ცვლილების განხორციელების შემდეგ – სახელის სრულად და გვარის პირველი ასოს ინიციალის შესახებ და ამ გზით მოეხდინა მისი იდენტიფიცირება. თუმცა, აღნიშნული პროცესი დაკავშირებული არ იყო მხოლოდ თანხის გადარიცხვასთან – პირს შეეძლო ეს ქმედება სხვა მიზნითაც გამოეყენებინა, კერძოდ: მიეღო ინფორმაცია სატელეფონო ნომრის ბანკში რეგისტრირებული მფლობელის ვინაობის შესახებ ან/და გაეგო, არის თუ არა კონკრეტული პირი ბანკის მომხმარებელი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სახელის და გვარის გამჟღავნების შემთხვევაში პირის იდენტიფიცირების რისკი გაცილებით მაღალი იყო, თუმცა, მაგალითისთვის, სახელი სრულად და გვარის პირველი ასოს ინიციალიც იძლეოდა აღნიშნულის შესაძლებლობას.

სამსახურის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ბანკის მიერ ინტერნეტბანკში თანხის სატელეფონო ნომრის მეშვეობით გადარიცხვის ინიცირებისას იქმნებოდა

მომხმარებელთა მონაცემების უკანონო გამჟღავნების რისკი, რის გამოც ბანკი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად და დაევალა ინტერნეტბანკში, ამავე ბანკის მომხმარებლის ანგარიშზე სატელეფონო ნომრის მეშვეობით თანხის გადარიცხვის ინიცირების პროცესში, უზრუნველეყო თანხის მიმღები პირის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენას არაპროპორციულად დიდი ძალისხმევა, ხარჯები და დრო დასჭირვებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამსახურმა არ გაიზიარა ბანკის განმარტება თანხის სატელეფონო ნომრის მეშვეობით გადარიცხვის ინიცირებისას ბანკის ისეთი მომხმარებლის იდენტიფიცირების საჭიროებასთან დაკავშირებით, რომელსაც არ აქვს ბანკში აქტიური ანგარიშები. იდენტიფიცირების საჭიროება, რომელზეც ბანკი მიუთითებდა, განპირობებული იყო გადახდის ოპერაციის სწორად/წარმატებით შესრულების აუცილებლობით და არასწორი ტრანზაქციის შემთხვევაში თანხის დაბრუნების რთული პროცედურით, შესაბამისად, იგი მიბმული იყო იმ რისკებზე, რომლებიც შესაძლოა ბანკს წარმოშობოდა კონკრეტულ პროცესში. ბანკში ანგარიშის მქონე მომხმარებლისთვის თანხის გადარიცხვის პროცესისგან განსხვავებით, როცა პირის იდენტიფიცირება თანხის სწორი ადრესატისთვის გადასარიცხად შესაძლოა ყოფილიყო ლეგიტიმური მიზანი თანხის ანგარიშის არმქონე პირისთვის გადარიცხვის ინიცირების შემთხვევაში აღნიშნული ტრანზაქცია ინიცირებისთანავე მოკლებული იყო განხორციელების შესაძლებლობას. ამდენად, გადარიცხვის ინიციატორისთვის ინფორმაციის მიწოდება მის მიერ მითითებული სატელეფონო ნომრის მფლობელის სახელთან და გვართან ან სახელთან (სრულად) და გვარის პირველი ასოს ინიციალთან დაკავშირებით, რათა იგი დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ ინიცირებული ტრანზაქცია სწორი ადრესატის მიმართ განხორციელდებოდა, ვერ იქნება მიჩნეული კანონიერ მიზნად, რადგან შედეგი, რაც უნდა მოჰყვეს სწორი ადრესატის განსაზღვრას, პრაქტიკულად ვერ მიიღწეოდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურის გადაწყვეტილებით, ბანკი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის.

ერთ-ერთი კომერციული ბანკი

მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო

საინფორმაციო ბიუროს (შემდგომში – კომპანია)[2] მონაცემთა ბაზაში განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. განცხადების თანახმად, ბანკმა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დაამუშავა კომპანიის მონაცემთა ბაზაში არსებული განმცხადებლის საკრედიტო ისტორიის შესახებ ინფორმაცია. განმცხადებლის განმარტებით, ის არ იმყოფებოდა ბანკთან სამართლებრივ ურთიერთობაში და, შესაბამისად, ბანკს არ ჰქონდა მისი თანხმობა მონაცემების დამუშავების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა ბანკის მიერ კომპანიის მონაცემთა ბაზაში მისი მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა და თანხმობის გარეშე დამუშავებული მონაცემების წაშლა.

კომპანიას მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და მიეცა სავალდებულოდ შესასრულებელი დავალება, რათა მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები შესაბამისობაში ყოფილიყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.

2.3. დავალებები და რეკომენდაციები

კერძო სექტორზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით მონაცემთა დამმუშავებლების მიმართ გაიცა 158 (ას ორმოცდათვრამეტი) შესასრულებლად სავალდებულო დავალება და 2 (ორი) რეკომენდაცია.

მონაცემთა დამმუშავებლებს მიეცათ შემდეგი სახის დავალებები:

[2] იხ. „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანებით დამტკიცებული წესი. დასახელებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო არის მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ინახავს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციას და მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციას.

- განმცხადებლისთვის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ასლების გადაცემა;
- სოციალურ ქსელ „Facebook“-ის ანგარიშზე განთავსებული განმცხადებლის მონაცემების შემცველი ტექსტის, ფოტოსურათის და მისი გამოსახულების შემცველი ვიდეოჩანაწერების წაშლა;
- ხელშეკრულების შესაბამისად მსესხებლის იდენტიფიცირებისა და მის მიერ თანხის გადახდის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მსესხებლისათვის მიწოდება კუმულაციურად პირადი ნომრითა და სესხის ნომრის მითითებით;
- მონაცემების უშუალოდ სუბიექტისგან შეგროვებისას, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;
- ვიდეოსათვალთვალო კამერების საშუალებით განხორციელებული ვიდეომონიტორინგის შედეგად შეგროვებული პერსონალური მონაცემების წაშლა;
- ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალების შეცვლა იმგვარად, რომ ვიდეოთვალთვალი განხორციელდეს მის მიერ დასახელებული მიზნის პროპორციული მოცულობით;
- ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობის მომხმარებლითა და პაროლით დაცვა;
- ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა;
- ინტერნეტ ბანკში, ამავე ბანკის მომხმარებლის ანგარიშზე სატელეფონო ნომრის მეშვეობით თანხის გადარიცხვის ინიცირების პროცესში, თანხის მიმღების მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს;
- ვიდეოჩამწერი მოწყობილობის გარეშე პირთა წვდომისაგან დაცულ და უსაფრთხო ადგილას განთავსება;
- პროგრამაში ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემებზე წვდომის საჭიროების მქონე პირების განსაზღვრა და მონაცემებზე წვდომის მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებზე მინიჭება;
- ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირებისთვის ინდივიდუალური მომხმარებლის შექმნა;
- შემთხვევითი ან უკანონო დამუშავების აღკვეთის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტ(ებ)ისთვის ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობის შესახებ.

ამასთან, მონიტორინგის გაწევა უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე.;

- მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, რომ მას უფლება აქვს მონაცემთა დამმუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა და აღნიშნული უფლების რეალიზების ადეკვატური და ხელმისაწვდომი მექანიზმის შექმნა;
- სატელეფონო ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა;
- მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებისას ყოველ ჯერზე მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის მექანიზმის შესახებ;
- საცხოვრებელი სახლის აივანზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის მეშვეობით აუდიომონიტორინგის შეწყვეტა;
- პაციენტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგების სერვერზე მაქსიმალურად მცირე დროით განთავსების.

3. მონაცემთა დამუშავება სამართალდამცავი ორგანოების მიერ

3.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები

სამართალდამცავი ორგანოები პერსონალური მონაცემებს ამუშავებენ საპოლიციო და პრევენციული ღონისძიებების ჩატარების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვისა და პრევენციის მიზნით. სისხლისა თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მონაცემთა დამუშავებასა და დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, მათ ხელი მიუწვდებათ ფიზიკურ პირთა საკმაოდ ფართო და სენსიტიური პერსონალური მონაცემების შემცველ არაერთ საინფორმაციო ბაზაზე.

სამართალწარმოების მიმდინარეობისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული აქტივობების კონტროლი სამსახურს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს ამ სფეროში არსებული ტენდენციები და გამოწვევები.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის, როგორც სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის, განხორციელებისას, სამსახური ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40[16] მუხლით. ასეთი აქტივობებისა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების კონტროლი სამსახურის მიერ ხორციელდება კონტროლის ელექტრონული და კონტროლის სპეციალური ელექტრონულ სისტემაში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით, ინსპექტირებით.

კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, წლიური გეგმის საკითხების რეგულირების, მონაცემთა დამუშავებისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების გამომწვევი რისკფაქტორებისა და მათი შეფასების საფუძველზე, შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 31 იანვრის №01/20 ბრძანებით დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმის თემატიკა“ და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2023 წლის გეგმა“. კონკრეტულ მიზნობრივ

ჯგუფებსა თუ სფეროზე გავლენის გათვალისწინებით, განისაზღვრა პერსონალური მონაცემების დამუშავების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, რომელთა საჭიროება სამართალდამცავი ორგანოების მისამართით სამსახურში წარმოდგენილი განცხადებებისა თუ შეტყობინებების, საკუთარი ინიციატივითა თუ წინა წლის გეგმური შემოწმებების საერთო ანალიზით, პრაქტიკისა და განზოგადების საფუძველზე წარმოიშვა.

შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებში განსახორციელებელი გეგმური შემოწმებები ორიენტირებული იყო არასრულწლოვნების, ქალთა და სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიზნობრივი ჯგუფების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლაზე. აღნიშნული ინსპექტირებები, ასევე, თანაბრად მოიცავდა თითქმის ყველა სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობას და მიემართებოდა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ელექტრონული კომუნიკაციები, თანამედროვე ტექნოლოგიები, შრომითი ურთიერთობები და ა.შ.

გეგმური ინსპექტირებები ჩატარდა საქართველოს პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში (შემდგომში – „სპეციალური პენიტენციური სამსახური“), სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსა“ და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. ამასთან, 2023 წელს დაწყებული გეგმური შემოწმებები გრძელდება სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში“, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში.

გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებების მიზანი მხოლოდ სამართალდარღვევის გამოვლენა არ გახლავთ. კანონის მოთხოვნათა უპირობო დაცვის მიზნით, მუშავდება ერთიანი პრაქტიკა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის გაიცემა სათანადო რეკომენდაციები თუ დავალებები. სამსახური სხვადასხვა აქტივობით ეხმარება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ცნობიერების ამაღლებაში.

3.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

- **პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება, გამჟღავნება**

სამართალდამცავ ორგანოებს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, უწევთ პერსონალური მონაცემის გასაჯაროება, რასაც საკუთარ ვებგვერდებზე ან სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეისწავლა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ამსახველი პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების 2022 წლის 14 დეკემბერსა და 2023 წლის 15 თებერვალს სოციალური ქსელის „Facebook"-ის ოფიციალურ გვერდზე გასაჯაროების კანონიერება.

შემოწმებითა და საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზით, მიხეილ სააკაშვილის მიმართ, მისი სტატუსიდან გამომდინარე, არსებობდა და არსებობს რა ლეგიტიმური საჯარო ინტერესი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქმედება – საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2022 წლის 4, 6, 7 ოქტომბრის, 12, 17 დეკემბრის და 2023 წლის 1, 8, 9 თებერვლის ვიდეოჩანაწერების გასაჯაროება – მიჩნეულ იქნა ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების პროპორციულ საშუალებად.

რაც შეეხება 2022 წლის დეკემბერში ამავე მიზნით ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებისას 2022 წლის 9 აგვისტოს ჩანაწერს, მსგავსი ფორმით საზოგადოების ინფორმირება არ იქნა მიჩნეული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ და ადეკვატურ საშუალებად და მონაცემთა დამმუშავებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად პერსონალური მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების გამო.

მონაცემთა დამმუშავებელს დაევალა „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე 2022 წლის 14 დეკემბერს გასაჯაროებული ჩანაწერებიდან წაეშალა 2022 წლის 9 აგვისტოს ვიდეოჩანაწერი.

ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად მონაცემთა დამუშავების პრინციპის, კერძოდ, მონაცემთა სამართლიანად და კანონიერად დამუშავების დარღვევისათვის და დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

მონაცემთა დამმუშავებელს, ასევე, დაევალა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის შესახებ მოეხდინა მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის ინფორმირება. დღეის მდგომარეობით სამსახურის დავალებები შესრულებულია.

საანგარიშო პერიოდში პროპორციულობისა და ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი მოცულობით მონაცემთა დამუშავებისას ანალოგიური დარღვევები დაფიქსირდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაშიც.

2023 წლის 27 ივლისს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, რათა მოქალაქის დაკავებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას და საქმეში არსებულ მასალებს არ მისცემოდა დამახინჯებული ინტერპრეტირება და საზოგადოება შეცდომაში არ შესულიყო, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გაასაჯაროვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ 2023 წლის 20 ივლისს ქ. თბილისში მოქალაქის დაკავების გარემოებების ამსახველი, აუდიო/ვიდეოჩანაწერები, სადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათ მიერ დაკავებული პირის გარდა, ჩანაწერზე იდენტიფიცირებადი ფორმით (გამოსახულების დაფარვის გარეშე) აღბეჭდილნი იყვნენ მესამე პირები – უცხო ადამიანები – და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო სანომრე ნიშნებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო არაგეგმური შემოწმება (ინსპექტირება), რითაც დადგინდა, რომ აუდიო/ვიდეოჩანაწერები მოიცავდა შემთხვევასა და ფაქტთან კავშირში არმყოფი უცხო პირების პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირთა სატრანსპორტო საშუალებათა სახელმწიფო სანომრე ნიშნების გამოსახულებას, მათ შორის, უცხო მოქალაქეთა ვიზუალური გამოსახულებით იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ამ ნაწილში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მონაცემთა დამუშავების მიზანი არ გააჩნდა და მათი პერსონალური მონაცემები გამოძიების ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდა. მათ მიერ დამუშავებული მონაცემების მოცულობა იწვევდა არათანაზომიერ ჩარევას იმ პირთა უფლებებში, რომლებიც იდენტიფიცირებადი ფორმით იყვნენ აღბეჭდილნი გასაჯაროებულ ჩანაწერებში. მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებული პერსონალური ინფორმაციის – მესამე პირების თუ სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით გავრცელებით შესაძლებელი იქნებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, რაც მინიმუმამდე დაიყვანდა სხვათა უფლებაში ჩარევის ინტენსივობას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებადი მესამე პირების პერსონალური მონაცემების კანონიერი მიზნის შეუსაბამოდ არაპროპორციული მოცულობით დამუშავების ფაქტზე და დაეკისრა ჯარიმა.

მასვე დაევალა, გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველეყო შემოწმების ფარგლებში განხილული, პერსონალური მონაცემების შემცველი აუდიო/ვიდეოჩანაწერების სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდიდან წაშლა ან მათი განთავსება პირის დაკავებასთან კავშირში არმყოფი მესამე პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. დავალება დღეის მდგომარეობით შესრულებულია.

სამსახურმა შეისწავლა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის (შემდგომში – საგამოძიებო სამსახური) მიერ ვებგვერდზე[3] – www.is.ge – 2014 წლის კონკრეტულ თარიღებში[4] განთავსებული მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების გზით დამუშავების კანონიერების საკითხი.

ვებგვერდზე განთავსებულ მასალაში სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების შესახებ პრესრელიზები არა მხოლოდ კონკრეტული პირების, არამედ კონკრეტულ ფაქტსა და შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებითაც იძლეოდა ინფორმაციას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ 2014-2017 წლებში კონკრეტული პირების პერსონალური მონაცემები იდენტიფიცირებული სახით იყო ხელმისაწვდომი საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე, რომლის საჭიროება, მიზანი და შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და მონაცემთა დამმუშავებელს დასახული მიზნის მიღწევა – საზოგადოების ინფორმირება – შეეძლო იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით რელიზების განთავსების შემთხვევაშიც.

საგამოძიებო სამსახურს, ასევე, არ ჰქონდა მიღებული სათანადო ზომები – ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის რედაქტირებისა ან წაშლისთანავე არ იყო უზრუნველყოფილი „Google“-ის საძიებო პლატფორმაზე სინქრონიზება.

ინფორმაციის აღნიშნული ფორმით დამუშავება შეფასდა სამართალდარღვევად, საგამოძიებო სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემების დამუშავების ფაქტზე და დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მიეცა გაფრთხილება). ამასთან, დაევალა, 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველეყო, ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულო პრესრელიზების გასაჯაროების მიზნებიდან გამომდინარე, ინფორმაციების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობს ინფორმაციის ასახვას პრესრელიზებში

---

[3] <http://is.ge/ka-ge/სიახლეები/ახალი-ამბები/ყალბი-დოკუმენტების-დამზადება-გასაღების-ფაქტზე თბილისის-მერიის-კუთვნილი-შპს-ს-ყოფილი-თანამშრომელი-დააკავეს; http://is.ge/ka-ge/სიახლეები/ახალი-ამბები/დაკავება-ყალბი-საგადასახადო-დოკუმენტის-დამზადება-გასაღების-ბრალდებით>; <http://is.ge/ka-ge/სიახლეები/ახალი-ამბები/იმპორტის-გადასახადებისგან-თავის-არიდების-გამო-ორი-პირი-დააკავეს>.

[4] 2014 წლის 1 აგვისტო, 2014 წლის 6 სექტემბერი და 2014 წლის 18 სექტემბერი.

დეპერსონალიზებული ფორმით ან პერსონალური მონაცემების წაშლა, მათ შორის, ვიდეოჩანაწერების ფარგლებში; დაევალა, შეემუშავებინა ისეთი ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს „Google-“ის საძიებო სისტემიდან პრესრელიზებში მოხსენიებულ სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის, სახელებისა და გვარების წაშლას და მონაცემების რედაქტირების ან წაშლის შემთხვევაში ინფორმაციის სწრაფ ასახვას „Google“-ის საძიებო სისტემაში.

- **ვიდეოთვალთვალი**

თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში ვიდეოთვალთვალის სისტემები დიდი მოცულობით და სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემების დამუშავების (მოპოვების, ჩაწერის, შენახვის) შესაძლებლობას იძლევა.

სამართალდამცავი ორგანოები, რომელთა ფუნქციებია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა, დანაშაულის/სხვა სამართალდარღვევის თავიდან აცილება, გამოვლენა, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა და ა.შ., საქმიანობის განსახორციელებლად ამონტაჟებენ ვიდეოსათვალთვალო კამერებს და სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნისთვის იყენებენ მას. ცხადია, ამ დროს ამუშავებენ ფართო მოცულობის მონაცემებს.

ვიდეოსათვალთვალო კამერების უმეტესობას აქვს პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, აუდიოჩაწერის, ღამის ხედვის, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მათი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების საშუალება. მათი მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი, რაც პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი გამოყენებისას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას.

წარმოდგენილი შეტყობინების საფუძველზე სამსახურის მიერ შესწავლილი ერთ-ერთი საქმე უკავშირდებოდა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, აღმაშენებლის ხეივანზე, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მდებარე საფეხმავლო ხიდზე დამონტაჟებული 7 (შვიდი) ვიდეოკამერით, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელსა (დავით აღმაშენებლის ხეივანი №66-ის და №66ა-ს მიმდებარედ) და სასამართლოს მოპირდაპირედ – ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩაზე არსებულ განათების ბოძებზე დამონტაჟებული 5 (ხუთი) ვიდეოსათვალთვალო კამერით მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხს.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის“, როგორც უფლებამოსილი პირის, საშუალებით, ვიდეოთვალთვალის გზით ამუშავებდა მონაცემებს ზემოხსენებულ ტერიტორიაზე.

შესწავლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით გამოვლინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელთან და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩაზე ვიდეოკამერები დამონტაჟდა 2022 წლის აპრილსა და მაისში, თუმცა გამაფრთხილებელი ნიშნები მხოლოდ შემოწმების მიმდინარეობის პროცესში, 2023 წლის აგვისტოში, განთავსდა. შესაბამისად, სამინისტრო, ზემოხსენებულ ტერიტორიაზე, 2022 წლის აპრილიდან/მაისიდან 2023 წლის აგვისტომდე პერიოდში ვიდეოთვალთვალის გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე განხორციელებისათვის ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის საფუძველზე.

ვიდეოთვალთვალის განხორციელება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი ფორმაა. ვიდეოთვალთვალის სისტემა წარმოადგენს ელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით სივრცის, მოვლენის, საქმიანობის ან პირის ვიზუალურ/აუდიო მონიტორინგს. ვიდეოთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერი პერსონალურ მონაცემად ითვლება, როდესაც შესაძლებელია მასზე აღბეჭდილი ადამიანის სახის გამოსახულების გარჩევა (პირდაპირი იდენტიფიკაცია) ან სისტემის მიერ დაფიქსირებული ნივთები ან ადამიანის ქცევის მახასიათებლებით პირის არაპირდაპირი იდენტიფიკაცია.

საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობის ვიდეოთვალთვალის წესებს განსაზღვრავს კანონის მე-12 მუხლი, რომლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ზემოხსენებულ დაწესებულებებს, შესაბამისი მონიტორინგის მიზნით, შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვისა და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის. ნებადართულია კონკრეტული სივრცეების ვიდეოთვალთვალი, თუ აღნიშნული ემსახურება კანონით გათვალისწინებულ მკაფიო, მკვეთრად გამოხატულ მიზანს.

მონაცემთა დამმუშავებელი, კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ვალდებულია, თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც, თავისი ფორმით, წარწერითა თუ შესაბამისი გამოსახულებით, ნიშნის განთავსების ადგილთან ერთად, აღქმადი უნდა იყოს

ვიდეომეთვალყურეობის სივრცეში მოხვედრილი ნებისმიერი პირისთვის. მონაცემთა სუბიექტი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა მისი მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად.

ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შემთხვევაში გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ვიდეოთვალთვალის ქვეშ ექცევიან ან შესაძლოა მოექცნენ სხვადასხვა პირები. ასეთ დროს მონაცემთა დამუშავება არ არის დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის ნებაზე და სწორედ ამიტომ, კანონი მკაცრად განსაზღვრავს გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ვალდებულებას, რათა ამგვარი ინფორმაციის გზით უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა და დაცვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ერთ-ერთი მოქალაქის პერსონალური მონაცემების ფოტოგადაღების გზით სავარაუდო დამუშავების ფაქტთან დაკავშირებით შემოწმების მიმდინარეობისას ადგილზე დათვალიერებით აღმოაჩინა, რომ პოლიციის შენობის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო ვიდეოსათვალთვალო კამერა, თუმცა გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის თაობაზე არსად იყო განთავსებული, რაც წარმოადგენს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას და მონაცემთა დამმუშავებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და მიეცა გაფრთხილება.

ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, გეგმური შემოწმების საფუძველზე სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №42) კანონით დადგენილ რეჟიმს დაქვემდებარებულ პირთა გამოცხადების სივრცეში ვიდეოთვალთვალის განხორციელების გზით მონაცემთა დამუშავების კანონიერება იქნა შესწავლილი.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სივრცეში მუდმივად ხორციელდება პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა გამოცხადება და დაქტილოსკოპიური გზით რეგისტრაცია. შესაბამისად, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, მონაცემთა დამმუშავებლის მატერიალური რესურსის დაცვის მიზნით ხორციელდება ვიდეოთვალთვალი.

შესწავლის ფარგლებში გამოიკვეთა ვიდეოთვალთვალის თაობაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევები. დადგინდა, რომ არსებული გამაფრთხილებელი ნიშნები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა

სუბიექტთა ინფორმირებას, კანონით დადგენილ რეჟიმს დაქვემდებარებულ პირთა გამოცხადების სივრცეში დასაქმებული პირები არ იყვნენ სათანადო წერილობითი ფორმით ინფორმირებულნი ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით, ვიდეოთვალთვალის გზით დამუშავებული მონაცემები ინახებოდა ჩამწერი მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლების შენახვის ვადით და განსაზღვრული არ იყო მონაცემთა შენახვის ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი კონკრეტული ვადა. სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის საშუალებით ხორციელდებოდა ისეთი ტერიტორიის მონიტორინგსაც, რომელსაც საერთოდ არ აქვს შემხებლობა მასთან და ამ გზით საჭიროების გარეშე და შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის შეუსაბამო მოცულობით ამუშავებდა მონაცემებს.

შემოწმების ფარგლებში გარკვეული ხარვეზები გამოიკვეთა, აგრეთვე, ვიდეოთვალთვალის გზით დამუშავებული მონაცემების უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. დადგინდა, რომ სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოში“ შემუშავებული არ იყო ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესი, განსაზღვრული არ იყო ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების პირობები, ამასთან, ჩამწერ მოწყობილობებში მომხმარებელთა ინდივიდუალური/განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით ავტორიზაცია არ იყო უზრუნველყოფილი. განსაზღვრული არ იყო ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები მათი უფლებამოსილებები და ქსელურ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში შესაბამისი მომხმარებლები, უზრუნველყოფილი არ იყო ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა სისტემაში ავტორიზაცია ინდივიდუალური/განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით, ქსელურ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში არსებული დეაქტივირებული/გაუქმებული მომხმარებლები ისევ ფიქსირდებოდა.

ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით, 46-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის, გამოცხადების სივრცეში დასაქმებული პირების კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით ინფორმირების, სააგენტოს გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერით, სააგენტოს მიზნებისათვის არასაჭირო ტერიტორიის – საავტომობილო გზის სავალი

ნაწილისა და საცხოვრებელი კორპუსის ეზოს შესასვლელის – ვიდეომონიტორინგის გზით შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის შეუსაბამო მოცულობით მონაცემების დამუშავების, ასევე, ვიდეოთვალთვალის გზით დამუშავებული მონაცემების მიზნის შეუსაბამო ვადით შენახვისა და აღნიშნულ მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე და დაეკისრა ჯარიმა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვიდეოთვალთვალის გზით მონაცემთა დამუშავებისათვის მიეცა დავალებები, რომელთა ნაწილი შესრულდა, ნაწილი კი, გადაწყვეტილებით დათქმული ვადის მიხედვით, შესრულების პროცესშია.

გეგმური შემოწმებით შესწავლილი იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში ვიდეოთვალთვალის განხორციელების გზით მონაცემთა დამუშავების კანონიერებაც. დადგინდა, რომ უსაფრთხოების სამსახურის მიერ იზოლატორში ვიდეოთვალთვალის განხორციელება შეესაბამება კანონის მე-12 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, მონაცემთა სუბიექტები ინფორმირებულები არიან ვიდეოთვალთვალის თაობაზე და მონაცემთა დამმუშავებლის მიერ დაცულია მონაცემთა უსაფრთხოების წესები.

- **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების — ჯანმრთელობისა და ნასამართლობის შესახებ მონაცემთა დამუშავება**

სამართალდამცავი ორგანოები გამოძიების მიმდინარეობისა თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობათა შესრულებისას, ასევე, აქტიურად ამუშავებენ განსაკუთრებული კატეგორიის, მათ შორის, ჯანმრთელობისა და ნასამართლობის შესახებ მონაცემებს.

გეგმური შემოწმების წესით შესწავლილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ, მისი საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში, გამოძიების ჩატარებისას მოწმეების/დაზარალებულების/ბრალდებულების სამედიცინო ჩანაწერების გამოთხოვის გზით ამ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს გენერალური ინსპექციის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ამ უწყების საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ, მათ შორის, სპეციალური პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების ჩატარება, რომლის ფარგლებშიც მოიპოვებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

შემოწმებით დადგინდა, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ჩატარებული და მიმდინარე გამოძიებების პროცესში თითოეული სისხლის სამართლის საქმეში, მოწმეების, დაზარალებულებისა და ბრალდებულების სამედიცინო ჩანაწერები მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სასამართლოს განჩინების ან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, სამინისტროს მიერ სამედიცინო ჩანაწერების მოპოვების ნაწილში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი არ გამოვლინდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე სამედიცინო ჩანაწერების მოპოვების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ნაკლოვანება. შემოწმებით დადგინდა, რომ თანხმობის ფორმა, რომელიც წარმოადგენდა წინასწარ შემუშავებულ სტანდარტულ დოკუმენტს, იყო ზოგადი შინაარსის და არ შეესაბამებოდა თანხმობის მოპოვების მთავარ კრიტერიუმს - მკაფიოდ გამოხატავდეს მონაცემთა სუბიექტის ნებას, თუ რა მოცულობითა და რომელი დაწესებულებიდან უნდა იყოს გამოთხოვილი მის შესახებ სამედიცინო დოკუმენტაცია. აღნიშნული ქმნის სამინისტროს მიერ არაპროპორციული მოცულობით მონაცემების დამუშავების რისკებს. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემი წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, ასევე, გამოძიების პროცესში — მტკიცებულებას, იცვლება მხარეებს შორის და სხვა პირებსაც შესაძლოა, ჰქონდეთ წვდომა ამ ტიპის ინფორმაციაზე. აღნიშნულის გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია, რათა მათი დამუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელდეს.

მონაცემთა სუბიექტების ინტერესების დასაცავად და ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელს დაევალა გამოძიების მიმდინარეობისას მოწმეების/დაზარალებულების/ბრალდებულების პერსონალური მონაცემების, სამედიცინო ჩანაწერების დამუშავება განეხორციელებინა კონკრეტულ მიზანზე, პერიოდსა და მოცულობაზე ორიენტირებული წერილობითი თანხმობის ფორმის საფუძველზე. დავალება შესრულებულია.

- **მონაცემების ხელმისაწვდომობა**

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება და განსაზღვრულია 10 (ათი)-დღიანი ვადა. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება. საგულისხმოა, რომ კანონით გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის შესახებ უწყებაში არსებული დოკუმენტაციის ასლებზე ხელმისაწვდომობაც, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრული არ არის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის მონაცემთა სუბიექტისათვის გადაცემის კონკრეტული ვადა, თუმცა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ აღნიშნული ვალდებულება ასევე უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში.

შესწავლილმა საქმეებმა ცხადყო, რომ გამოწვევას წარმოადგენს კანონით დადგენილ ვადაში და ფორმით მონაცემთა სუბიექტებისათვის ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია როგორც დადგენილ ვადაში მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასევე სრულყოფილი მონაცემების გადაცემა, გარდა კანონის 24-ე მუხლით დადგენილი შემზღუდველი გარემოებებისა. მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ პირობებში, როდესაც იგი დაკავშირებულია პირის მიერ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებების რეალიზებასთან, მათ შორის, არასწორი მონაცემების წაშლის, გასწორებისა თუ გასაჩივრების უფლების გამოყენებასთან.

საანგარიშო პერიოდში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების კუთხით, კონკრეტული შემთხვევების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

— ჩატარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გეგმური შემოწმება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სამოქალაქო ოფისი) მიერ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების კანონიერების საკითხს. შემოწმების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაცემთა სუბიექტთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით, მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაციის მათთვის მიწოდებას უზრუნველყოფდა პირველივე შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, განცხადებაზე რეაგირება არ მოითხოვდა დიდი მოცულობის დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას ან/და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფიდან ინფორმაციის გამოთხოვას. თუმცა შესწავლის პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურმა განმარტა და ასევე, დაავალა მონაცემთა დამმუშავებელს, რომ მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვისას, იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნილი

ინფორმაცია/დოკუმენტაციის დამუშავება საჭიროებს დამატებით დროს, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს განმცხადებლის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე, რათა მონაცემთა სუბიექტი უსასრულოდ არ ელოდოს დაწესებულების მიერ მის განცხადებაზე რეაგირებას და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს საზედამხედველო ორგანოს უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღნიშნული შემოწმების ფარგლებში სამსახურმა ასევე განმარტა, რომ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებათა შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა/არარსებობის საკითხი უნდა შეფასდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში და სწორედ აღნიშნულ კანონზე მითითებით ეცნობოს განმცხადებელს მისი უფლების შეზღუდვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს, რის თაობაზეც ასევე გაიცა შესასრულებლად სავალდებულო დავალება;

— საანგარიშო პერიოდში გეგმური შემოწმება ჩატარდა საქართველოს პროკურატურაში, რაც ასევე მოიცავდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ, მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების კანონიერების შესწავლას დროის კონკრეტულ მონაკვეთში.[5] ხაზგასასმელია, რომ ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო ინფორმაციისა და დოკუმენტის მიწოდება მონაცემთა სუბიექტებისათვის. რიგ შემთხვევებში საპასუხო კორესპონდენცია გაგზავნილი იყო ფოსტის მეშვეობით, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში განმცხადებლებს ხელზე ჰქონდათ გადაცემული წერილები. შესაბამისად, შესწავლის შედეგად საქართველოს პროკურატურის მიერ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების პროცესში როგორც ინფორმაციის, ასევე დოკუმენტაციის მიწოდების ნაწილში არ გამოიკვეთა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი.

- **მონაცემთა უსაფრთხოება**

სამართალდამცავი ორგანოები პერსონალურ მონაცემებს ყოველდღიურად ამუშავებენ სხვადასხვა ფორმით. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მონაცემების დაცულობის ხარისხი. კერძოდ, მონაცემებზე არამიზნობრივი წვდომისა თუ გამოყენების პრევენციის მიზნით აღნიშნული უწყებების მიერ მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომების კონტროლი.

[5] 2023 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით.

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის სტანდარტები დადგენილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით. მონაცემთა დამმუშავებლებმა მაქსიმალურად უნდა შეამცირონ მონაცემზე არაკანონიერი წვდომისა თუ გამჟღავნების რისკები და ამ მიზნით მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები უნდა იყოს აღნიშნული რისკების ადეკვატური. თავის მხრივ, რისკების არასათანადო შეფასებამ ან შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიუღებლობამ შესაძლოა, შექმნას მონაცემების უკანონო დამუშავების საფრთხე და ზიანი მიაყენოს მოქალაქეების ინტერესებს.

მონაცემთა დამმუშავებლებმა მნიშვნელოვანია, პერიოდულად მიაწოდონ დასაქმებულებს ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების წესებისა და მათი დარღვევის თანმდევი შედეგების შესახებ მონაცემთა პირადი მიზნებით დამუშავების შემთხვევების პრევენციისათვის.

საანგარიშო პერიოდში, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების წესების დარღვევის კუთხით კონკრეტული შემთხვევების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ასევე განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმური შემოწმება, რომელიც მოიცავდა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი სამედიცინო ჩანაწერების შენახვის კანონიერების საკითხის შესწავლას. სამინისტროს კანონმდებლობით განსაზღვრული ჰქონდა სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის ვადები, თუმცა შესწავლის პროცესმა გამოავლინა კონკრეტული ნაკლოვანება. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული სამედიცინო მუშაკების სამუშაო სივრცეში არსებული კომპიუტერზე 8 (რვა) პირს წვდომა ჰქონდა საერთო მომხმარებლის სახელითა და პაროლით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად კი მონაცემთა დამმუშავებელს დაევალა ინდივიდუალური დაშვების მექანიზმის შექმნა უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად. დავალება შესრულების ეტაპზეა. მნიშვნელოვანია უწყებებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მონაცემთა უსაფრთხოების ისეთ საკითხებს, რითაც არაუფლებამოსილ პირთა ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად გამოირიცხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველ დოკუმენტაციაზე;
- ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების არაგეგმურმა შემოწმებებმაც გამოავლინა ხარვეზები მონაცემთა უსაფრთხოების მიმართულებით. სამსახურმა შეისწავლა როგორც შპს „სელფი მობაილის“, ასევე, სს „სილქნეტის“ მიერ სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში აღრიცხვის მიზნით სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსათვის“ მონაცემების გადაცემის პროპორციულობის საკითხი;

— შპს „სელფი მობაილის“ შემოწმებამ ცხადყო, რომ კომპანია არ აღრიცხავდა სააგენტოსათვის მონაცემების გადაცემის მიზნით გამოყოფილ სერვერზე განხორციელებულ მოქმედებებს, რა ნაწილშიც დადგინდა სამართალდარღვევის ფაქტი და დაევალა კომპანიას, აღერიცხა სააგენტოსათვის მონაცემების გადაცემის მიზნით გამოყოფილ სერვერზე ელექტრონული მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებები. მონაცემთა დამმუშავებელმა საანგარიშო პერიოდში წარმოადგინა ინფორმაცია დავალებების შესრულების თაობაზე;

— რაც შეეხება სს „სილქნეტის“ შემოწმებას, დაფიქსირდა ინციდენტი, რომლის ფარგლებშიც კომპანიის მხრიდან სააგენტოს 2023 წელს რამდენჯერმე მიეწოდა იმ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც კომპანიასთან 4 (ოთხი) წელზე მეტია შეწყვეტილი ჰქონდათ მომსახურების ხელშეკრულება, რაც, მონაცემთა დამმუშავებლის განმარტებით, წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად მონაცემთა უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, ვინაიდან ვერ აირიდა ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია სააგენტოსთვის ძველი მონაცემების გადაცემა. კომპანიას, ასევე, დაევალა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფდა სააგენტოსათვის კანონით დადგენილი მონაცემების მიწოდებას და გამორიცხავდა შეუსაბამო მონაცემების გამჟღავნებას. დავალებების შესრულების ვადა მოცემული მომენტისთვის გასული არ არის;

— გეგმური შემოწმების ფარგლებში შესწავლილი ერთ-ერთი საქმე უკავშირდებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავშესაფრის მაძიებელთა ბიომეტრიული მონაცემების – თითის ანაბეჭდების – დამუშავების კანონიერების საკითხს. შესწავლის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია/დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სამინისტროში მოქმედებს რიგი სამართლებრივი აქტები თავშესაფრის მაძიებელთა ბიომეტრიული მონაცემების (თითის ანაბეჭდები) უსაფრთხოებისათვის, თუმცა „თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მონაცემთა ბაზაში (ვებაპლიკაცია)“ არ აღირიცხებოდა მომხმარებელთა ავტორიზაციისა და მონაცემთა ბაზაში არსებული თავშესაფრის მაძიებლის მონაცემების მოძიების/დათვალიერების მოქმედებები (ლოგჩანაწერები), რის გამოც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სამინისტროს დაევალა აღნიშნულის უზრუნველყოფა, რაც შესრულებულია;

— უსაფრთხოების კუთხით, ანალოგიური და სხვა დარღვევები გამოიკვეთა გეგმური შემოწმების ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში, კანონით

დადგენილ რეჟიმს დაქვემდებარებულ პირთა გამოცხადების სივრცეში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების გზით მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხის შესწავლისას;[6]

— სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გეგმური შემოწმების ფარგლებში, რომელიც მოიცავდა აღნიშნული სამსახურის მიერ მათთან დასაქმებული პირების კორპორაციულ ქსელში ჩართულ ტელეფონების ნომრებზე, შემავალი და გამავალი ზარებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების შესახებ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და შენახვის კანონიერების საკითხის შესწავლას, დადგინდა, რომ სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ამ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ აღირიცხებოდა; მათ შორის, არ აღირიცხებოდა კომპანიებიდან მიღებული ინფორმაციის ადრესატისათვის გადაცემის, ხოლო შემდგომ – მისი წაშლის/განადგურების ფაქტები, რაც შეუძლებელს ხდიდა, კონკრეტულად განსაზღვრულიყო ამა თუ იმ საანგარიშო პერიოდისათვის ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ფაქტების რაოდენობა. ასევე, შეუძლებელი იყო შემდგომ ამ ინფორმაციის მიმართ შესრულებული მოქმედებების კანონიერების შეფასება, რაც თავისთავად ზრდიდა აღნიშნულ მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო დამუშავების რისკებს. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში მონაცემთა დამმუშავებელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

- **შრომითი ურთიერთობები**

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დამსაქმებლები აგროვებენ დასაქმებულთა სხვადასხვა კატეგორიისა და მოცულობის პერსონალურ მონაცემებს. პირადი ცხოვრება დაცულია არამართლზომიერი ჩარევისაგან, მათ შორის, დამსაქმებლის მხრიდან. შრომითი ურთიერთობის არსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, დამსაქმებლები ამუშავებენ კანდიდატების სენსიტიურ (ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლობის, დისციპლინური ქცევის/გადაცდომის, უნარ-ჩვევების შესახებ) მონაცემებს შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და კანდიდატის შერჩევის ეტაპზე. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა მინიმიზებისა და მათი პროპორციული მოცულობით დამუშავების პრინციპების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოები აღჭურვილნი არიან საჯარო ფუნქციებით და ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს სამართლებრივი აქტებით

[6] იხ. წინამდებარე თავში ვიდეოთვალთვალის შესახებ.

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. ხშირ შემთხვევაში სწორედ კანონმდებლობით არის დადგენილი ის მოთხოვნები და კრიტერიუმები, რომლებსაც ამ სისტემაში დასაქმების მიზნებისათვის უნდა აკმაყოფილებდნენ კანდიდატები. შესაბამისად, ისინი ამუშავებენ საკმაოდ მოცულობით მონაცემებს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს შესაბამისი კანდიდატის შესარჩევად.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანი ბალანსი იყოს დაცული დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და დამსაქმებლის კანონიერ ინტერესებს შორის. დამსაქმებლებმა პატივი უნდა სცენ დასაქმებულების პირად ცხოვრებას, რომლის უზრუნველყოფის მიზნითაც უნდა განხორციელდეს მათი წინასწარ ინფორმირება, მათ მიმართ განხორციელებული მონიტორინგის ფორმის თაობაზე.

შესწავლილი პროცესები:

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების მასშტაბისა და, ამავდროულად, მათი დაცვის მაღალი სტანდარტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა გეგმური შემოწმებები.

— საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გეგმური შემოწმება, აღნიშნული უწყების მიერ სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კანდიდატების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხის შესწავლის მიზნით. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენის ვალდებულება კანდიდატს მას შემდეგ წარმოეშობა, რაც უკვე შერჩეული იქნება კონკრეტულ თანამდებობაზე დასანიშნად. დამსაქმებელი კანდიდატებს ავალდებულებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ისეთი ცნობის წარდგენას, რომელშიც, სხვა მონაცემებთან ერთად, მითითებული იქნება ინფორმაცია სისხლის ჯგუფის შესახებ. მოცემული საკითხის შეფასებისას სამსახურმა გაიზიარა სამინისტროს ფუნქციები და საჭიროებები, მათ შორის, ის რისკები, რომლის წინაშეც შეიძლება, აღმოჩნდნენ დასაქმებული პირები. ასევე ის გარემოება, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თანამშრომლებიც გადადიან მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე. შემოწმებისას ასევე დადგინდა, რომ თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული კანდიდატისათვის სავალდებულოდ წარსადგენ ჯანმრთელობის შესახებ ცნობაში (ფორმა 100), სამინისტროს მოთხოვნით, აუცილებელია, სიმაღლის, წონის, თვალის ფერისა და თმის ფერის შესახებ ინფორმაციის მითითებაც. სამინისტროს განმარტებით, ამ მონაცემების დამუშავების მიზანს სამოქალაქო ოფისში დასაქმებული მოსამსახურეების ფუნქციათა და ამოცანათა ეფექტური

შესრულებისათვის წინასწარი მზადყოფნა წარმოადგენს. სამსახურმა არ გაიზიარა სამინისტროს მიერ სიმაღლის, წონის, თვალისა ფერისა და თმის ფერის შესახებ მონაცემთა დამუშავების საჭიროებისათვის მითითებული მიზნები, რადგან მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ბუნდოვანი იყო დასაბუთება, სამოქალაქო პირებთან დაკავშირებით მსგავსი გარემოება საერთოდ დადგებოდა თუ არა, ასეთ შემთხვევაშიც, აღნიშნული მონაცემების შეგროვება, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს სირთულეს და შესაძლებელია მათი დამუშავება კანონის შესაბამისად განხორციელდეს ყოველი კონკრეტული საჭიროების დადგომის დროს ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით. ამიტომ, თავდაცვის სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით მონაცემების დამუშავების გამო და დაევალა ისეთი ორგანიზაციული ზომების მიღება, რაც გამორიცხავს კანდიდატების აღნიშნული მონაცემების დამუშავებას. დავალება დღეის მდგომარეობით შესრულებულია;

— საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გეგმური შემოწმება მოიცავდა აღნიშნული სამსახურის მიერ მათთან დასაქმებული პირების კორპორაციულ ქსელში ჩართულ ტელეფონების ნომრებზე, შემავალი და გამავალი ზარებისა და მოკლეტექსტური შეტყობინებების შესახებ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და შენახვის კანონიერების საკითხის შესწავლას. შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მათთან დასაქმებული პირების კორპორაციულ ქსელში ჩართულ სატელეფონო ნომრებზე პერიოდულად ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან გამოითხოვდა და ინახავდა შემავალი და გამავალი ზარების, მოკლეტექსტური შეტყობინებებისა და ანძების დეტალური ამონაწერის შესახებ ინფორმაციას. ამასთან, ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლებოდა, განხორციელებულიყო უშუალოდ ნომრით მოსარგებლე თანამშრომლის ან გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ საავადმყოფო ფურცელზე მყოფი თანამშრომლების მონიტორინგის მიზნებისთვის მათი ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების დამუშავება ხორციელდებოდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ამასთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში არ იყო შემუშავებული კორპორაციულ ქსელში ჩართულ სააბონენტო ნომერზე შემავალი და გამავალი ზარების, მოკლეტექსტური შეტყობინებებისა და კომუნიკაციის მომსახურე ანძების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის, მიღებული ინფორმაციის ადრესატისათვის მიწოდების, ხოლო საჭირო ვადის გასვლისთანავე, მისი

შენახვის/წაშლის წესი/ინსტრუქცია, რაზეც მონაცემთა დამმუშავებელს მიეცა შესაბამისი დავალება. შემოწმების ფარგლებში სამსახურმა შეაფასა, აგრეთვე, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შენახვის კანონიერების საკითხიც, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური ელექტრონულ ფოსტაზე (ასევე, იმავე მომხმარებლის სახელზე არსებულ პლატფორმებზე – „Google Drive“ და “Google Sheet”) ინახავდა 2019 წლით დათარიღებულ ინფორმაციას კონკრეტული ნომრების დეტალური ამონაწერის თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა ვერ მიუთითა მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რაც წარმოაჩენდა აღნიშნულ მონაცემთა შენახვის საჭიროებას, რის გამოც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე დაეკისრა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მონაცემთა დამმუშავებელს მიეცა როგორც რეკომენდაციები, ასევე შესასრულებლად სავალდებულო დავალებები მონაცემთა დამუშავების პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შესრულებულია.

დასაქმებულთა მონიტორინგის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგი, რაც წარმოადგენს ადამიანის პირად ცხოვრებაში პირდაპირ და უშუალო ჩარევას და საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას. დამუშავების მსგავსი ფორმების კანონიერების შეფასებისას მნიშვნელოვანია როგორც მონიტორინგის განხორციელების ტექნიკური საშუალებების, ინტენსივობის, პროპორციულობის პრინციპისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, არსებითად მნიშვნელოვანია თავად მონაცემთა სუბიექტების, დასაქმებულების წერილობითი ფორმით ინფორმირება.

- **მოწყვლადი ჯგუფები**

მონაცემთა დამმუშავებლებმა განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ მოწყვლადი ჯგუფების მონაცემების დამუშავებისას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მუშავდება მათი სენსიტიური, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც. ამ მიმართებით მონაცემთა უსაფრთხოების წესების დაცვა საჭიროებს რისკების ადეკვატურად შეფასებას.

პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს პატიმრობაში მყოფი ქალებისა და არასრულწლოვნებისთვის შემთხვევაში მათი მოწყვლადობის გათვალისწინებით. შესაბამისად, მათი მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. ხოლო, თანხმობის საფუძველზე მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებული თანხმობა.

შესწავლილი პროცესები:

- საანგარიშო პერიოდში გეგმურად შემოწმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური №5 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა – ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, კერძოდ, ქალთა და არასრულწლოვანთა მკურნალობის პროცესში მათი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის, მათ შორის, სხვა სამედიცინო დაწესებულებისათვის გადაცემის კანონიერების საკითხის შესწავლის მიზნით. შემოწმებათა ფარგლებში გამოვლინდა, რომ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სამედიცინო დოკუმენტაციის მესამე პირებისათვის, მათ შორის, სხვა სამედიცინო დაწესებულებებს გადაეცემოდათ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის, სასამართლოს განჩინების/გადაწყვეტილების საფუძველზე ან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაცემთა სუბიექტთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათთვის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით. თუმცა, შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ მონაცემთა სუბიექტისაგან აღებული წერილობითი თანხმობის ფორმაში არ მიეთითებოდა ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, როგორც სპეციალურ სამართლებრივ აქტზე, რომლითაც მოწესრიგებულია, მათ შორის, პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელს დაევალა წერილობითი თანხმობის ფორმის იმგვარად მოდიფიცირება, რომ მონაცემთა სუბიექტებს ინფორმაცია მიეწოდოთ კანონით გარანტირებულ უფლებაზე ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადონ მათ მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვონ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. გარდა ამისა, შესწავლის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოცულობითი ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, შეუძლებელია ყოველ კონკრეტულ ვითარებაში დადგინდეს სამედიცინო ბარათიდან რა მასალების, რა მოცულობის მონაცემები გამჟღავნდა. შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა მესამე პირთათვის გადაცემული დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვაც. დავალებების შესრულების ვადა, მოცემული დროისთვის, არ არის დამდგარი.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შემოწმება, რომელიც მოიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მიღებულ

შეტყობინებებსა და განცხადებებზე (რომლებზეც დაწყებული არ ყოფილა გამოძიება) რეაგირების ფარგლებში თავისუფლებააღკვეთილი პირების შესახებ მოპოვებული მასალების, კერძოდ, დისტანციური გასაუბრების ჩანაწერების შენახვის გზით, პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.

3.3. დავალებები და რეკომენდაციები

სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების, გამოვლენილი ტენდენციებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მიზნის – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების განუხრელად დაცვის მიზნით, სამართალდამცავმა ორგანოებმა, ზემოთ მითითებულ სფეროთა მიხედვით უნდა გაითვალისწინონ:

- მონაცემების დამუშავების, განსაკუთრებით კი, გასაჯაროების კანონიერებაზე მსჯელობისას მხედველობაში მიიღონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებები: საკითხის მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი, მონაცემთა სუბიექტის ვინაობა და სტატუსი, მონაცემთა სუბიექტის წინარე ქმედებები, მონაცემთა დამმუშავებელი უწყება, მონაცემების მოპოვების მეთოდი და მათი სიზუსტე, გასაჯაროებული მონაცემების შინაარსი და ფორმა, მონაცემების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შედეგები, ამ შედეგების განჭვრეტადობა და ა. შ.;
- მომეტებული რისკების გათვალისწინებით, დაცული მონაცემების სამართალდამცავი ორგანოების მიერ თუნდაც ლეგიტიმურად განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას გასაჯაროებით მონაცემები საზოგადოებისათვის განუსაზღვრელი ვადით ხდება რა ხელმისაწვდომი, მათი შემდგომი გავრცელების საშიშროებასა თუ თავიდან არიდებაზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია კონტროლი; პროაქტიულად უნდა განსაზღვრონ გასაჯაროების შედეგები, დაიცვან ბალანსი საჯარო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის, მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა დამმუშავებლების ინტერესებს შორის; ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეაფასონ, არსებობს თუ არა გასაჯაროების საფუძველი და რა მოცულობის ინფორმაციაა საკმარისი მათი მიზნის მისაღწევად;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა ვიდეოთვალთვალი უნდა განახორციელონ კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად, შესაბამისი საფუძვლის არსებობით;
- უზრუნველყონ ვიდეოკამერების იმ რაკურსით განთავსება, რაც უზრუნველყოფს ლეგიტიმური მიზნების პროპორციული მოცულობით ვიდეომონიტორინგის განხორციელებას;

— თვალსაჩინო ადგილზე განათავსონ კანონში მითითებული აღწერილობითა და სრულყოფილი მონაცემების დატანით გამაფრთხილებელი ნიშნები იქ, სადაც ხორციელდება ვიდეომონიტორინგი;
— შეიმუშაონ ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების მარეგულირებელი წერილობითი დოკუმენტი, განსაზღვრონ ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირების წესი და პირობები, მათ შორის, ვიდეოსათვალთვალო სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი პირი;
— უზრუნველყონ ვიდეოთვალთვალის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება;
— ჩანაწერებზე წვდომა მიანიჭონ პირთა შეზღუდულ წრეს, მათი ფუნქციებისა და სამსახურებრივი საჭიროების მხედველობაში მიღებით;
— სისტემაზე წვდომა წარმოებდეს მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით;
— აღრიცხონ ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ვინ და როდის დაათვალიერა, გადაახვია, გადმოწერა, წაშალა და ა. შ. ვიდეოჩანაწერი);
— ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემისას იხელმძღვანელონ შესაბამისი კანონის მოთხოვნების დაცვით, კანონითვე მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში;
— საჯარო ინტერესის ლეგიტიმური მიზნით მონაცემთა გასაჯაროების დროს გაითვალისწინონ პროპორციულობის პრინციპი და უზრუნველყონ მესამე პირთა მონაცემების გაუმჟღავნებლობა;
— აღრიცხონ ვიდეოჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემის ყველა შემთხვევა;
— უზრუნველყონ მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება – ვიდეოჩანაწერის ასლის მიღების, ვიდეოჩანაწერის წაშლის, დაბლოკვის და გასწორების მოთხოვნის, ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის, ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღებისა თუ ვიდეოჩანაწერის სხვისთვის გადაცემის (საფუძვლის, მიზნის) შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
— უზრუნველყოს ქსელურ ვიდეოჩამწერ მოწყობილობებში არსებული დეაქტივირებული/გაუქმებული მომხმარებლების წაშლა;
— განისაზღვროს ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის შენახვის დიფერენცირებული ვადები, რომელიც თანხვედრაში იქნება მონაცემების დამუშავების მიზანთან და გამორიცხავს მონაცემთა უვადოდ შენახვას. ამავდროულად, უნდა განისაზღვროს მსგავსი მონაცემების დაარქივების, გაცემისა და მასზე ხელმისაწვდომობის პირობები;

— მკაცრად უნდა იქნეს დაცული მონაცემთა დამუშავების პრინციპები და შესაბამისი მიზნ(ებ)ის მიღწევის შემდგომ ისინი უნდა წაიშალოს/განადგურდეს ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შეინახოს;
— სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტების წერილობითი თანხმობის საფუძველზე, თანხმობის ფორმით ნათლად უნდა დგინდებოდეს, კონკრეტულად რა მიზნით, პერიოდითა და მოცულობით დამუშავებაზე აცხადებს თანხმობას მონაცემთა სუბიექტი. ამასთან, მონაცემთა სუბიექტებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ უფლებაზე, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადონ მათ მიერვე გაცხადებულ თანხმობაზე და მოითხოვონ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება;
— სამართალდამცავი ორგანოები ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოეკიდონ მონაცემთა სუბიექტების ინფორმირების მნიშვნელობას. თავიანთი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებთან კონტექსტში სწორად შეაფასონ და კანონით დათქმულ, გონივრულ ვადებში უზრუნველყონ მონაცემთა სუბიექტის უფლების სამართლიანი რეალიზება, ვინაიდან ინფორმაციისა თუ დოკუმენტაციის არა თუ მიუწოდებლობამ, მიწოდების გაჭიანურებამაც კი, შესაძლოა, სუბიექტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ან ვადის გასვლის შემდეგ ინფორმაციამ დაკარგოს ღირებულება და აღარ წარმოადგენდეს განმცხადებლის ინტერესს;
— უნდა გაამლიერონ ძალისხმევა ისეთი ღონისძიებების გასატარებლად თუ მექანიზმების შესაქმნელად, რომლითაც თავიდან აიცილებენ მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნების რეალიზების გაჭიანურების რისკებს;
— მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის სამართლებრივ საფუძველზე მითითებით, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია უფლების იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს;
— გამოძიების მიმდინარეობისას თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას იხელმძღვანელონ იმპერატიულ კანონებთან შეჯერებით, რათა, მაგალითად, ინფორმაციის გადაცემის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ, ნორმებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შორის დაცულ იყოს სამართლიანი ბალანსი;
— სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ ყველა საჭირო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლითაც უზრუნველყოფენ პერსონალური

მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისაგან, მოპოვებისგან ან/და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან;

— აღრიცხონ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, რათა შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება;

— უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა სხვადასხვა სისტემებზე დაშვება/ავტორიზაცია ინდივიდუალური/განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და პაროლით;

— დასაქმების მიზნით, მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა შეაგროვონ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია კანდიდატის შესარჩევად და მისი კომპეტენციის დასადგენად. ამასთან, კანდიდატის მონაცემების შეგროვებისას, მხედველობაშია მისაღები სამუშაოს ტიპი და მის შესრულებასთან დაკავშირებული რეალური საჭიროებები;

— დამსაქმებელმა უნდა შეაფასოს, რა ვადით არის საჭირო და აუცილებელი დასაქმების მსურველი პირების მონაცემების შენახვა და აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ უზრუნველყოს მონაცემების წაშლა, განადგურება ან იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა;

— დასაქმებულთა ქცევის მონიტორინგის ლეგიტიმური ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი დაცულ იქნეს დასაქმებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და წინასწარ მიეწოდოს მათ ინფორმაცია ვიდეო/აუდიომონიტორინგის ფორმასა და მასშტაბზე, დაიცვან კანონის მოთხოვნა მათი წერილობითი გაფრთხილების ვალდებულების შესახებ;

— თანხმობის საფუძველზე მონაცემთა დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ უფლებაზე, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადონ მათ მიერვე გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვონ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება;

— არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა დამუშავების პროცესში მნიშვნელოვანია დაცული იყოს მათი საუკეთესო ინტერესები.

4. მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებები

4.1. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების ერთ-ერთი ფორმაა გეგმური შემოწმება (ინსპექტირება), რომელიც ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული შემოწმებების წლიური გეგმის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო სექტორში, ასევე ფიზიკური პირების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების (ინსპექტირება), ასევე შემოწმებების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისა და სამსახურის უფროსისთვის წარდგენის ვალდებულება გააჩნია გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტს, რომელიც შეიქმნა 2023 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ შემოწმებების წლიური გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაცემთა დამუშავების პროცესების მრავალფეროვნების, დინამიკურობისა და კომპლექსურობის პირობებში სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობისა და თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა. წლიური გეგმა დგება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლის გზით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პრიორიტეტული და მაღალრისკიანი სფეროების/მონაცემთა დამუშავების პროცესების გამოკვეთისა და ამ პროცესებისთვის დამახასიათებელი რისკების ანალიზის შედეგების საფუძველზე, რაც ემსახურება სამსახურის რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. აქვე საყურადღებოა, რომ შემოწმებების გეგმის არარსებობა ან მისი არასათანადოდ შედგენა ქმნის პერსონალურ მონაცემთა დარღვევის მიმართულებით მაღალრისკიანი სფეროების/პროცესების ყურადღების მიღმა დარჩენის საფრთხეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გეგმის შედგენა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ და კარგად გააზრებულ კრიტერიუმებსა და ეტაპებს, რათა არსებული რესურსის ფარგლებში ოპტიმალურად შეირჩეს პრიორიტეტული და რისკის შემცველი მონაცემთა დამუშავების სფეროები/პროცესები. სწორედ აღნიშნული მიზნით სამსახურმა საანგარიშო პერიოდში შეიმუშავა მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით საჯარო და კერძო სექტორში საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების შერჩევის პროცედურასა და კრიტერიუმებს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრული კრიტერიუმების (რისკფაქტორების) საშუალებით ვლინდება ის სფეროები, სადაც

მაღალია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ალბათობა. ასეთ კრიტერიუმებს განეკუთვნება დიდი მოცულობით მონაცემების დამუშავება; პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციაში დასაქმებულთა დიდი რაოდენობა; ორგანიზაციის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ბიომეტრიული მონაცემებისა და მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის, შშმ პირების, არასრულწლოვნების, ქალების, სოციალურად დაუცველი პირების და ა.შ.) პერსონალური მონაცემების დამუშავება; პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება; შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავება; ისეთი მონაცემების დამუშავება, რომლებიც საჯაროვდება და სხვა. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით დაიდენტიფიცირდა საანგარიშო პერიოდში შესამოწმებელი ის საჯარო და კერძო ორგანიზაციები, სადაც მაღალი იყო პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დარღვევის ალბათობა. შედეგად კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 იანვრის №01/20 ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2023 წლის გეგმა.

საანგარიშო პერიოდში მონაცემთა დამუშავების გეგმურად შესწავლილმა პროცესებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები როგორც სხვადასხვა სფეროში, ისე მოწყვლადი ჯგუფების პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით. კერძოდ:

- **შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავება**

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას და აღნიშნულ პროცესში ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ დასაქმებულებისა და დასაქმების მსურველ პირთა ინტერესების გათვალისწინებით. სამსახურის მიერ გეგმურად შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციის მიერ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავების პროცესში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები:

— ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზაციები დასაქმების მსურველი პირების პერსონალურ მონაცემებს ინახავენ უვადოდ, რათა მომავალში სხვადასხვა ვაკანსიისთვის განიხილონ მათი რეზიუმეები. აღსანიშნავია, რომ დასაქმების მსურველი პირების მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა ვერ მიიჩნევა

კანონიერად, ვინაიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ამა თუ იმ პირის შესახებ რეზიუმეში/ანკეტაში/აპლიკაციაში მოცემული მონაცემები შესაძლოა მოძველდეს ან შეიცვალოს, ან პირი აღარ იყოს დაინტერესებული კონკრეტულ ორგანიზაციაში დასაქმებით. ახალი ვაკანსიის ფარგლებში კანდიდატის დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კი ორგანიზაციას დასჭირდება პირის შესახებ განახლებული ინფორმაცია;

— რიგ შემთხვევებში არ ხდება დასაქმების მსურველი პირების ჯეროვანი ინფორმირება მათი მონაცემების დამუშავების თაობაზე. გამოიკვეთა ფაქტები, როცა მონაცემების შეგროვების პროცესში მონაცემთა დამმუშავებლების მიერ დასაქმების მსურველ პირებს არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია დამუშავების პროცესში ჩართული უფლებამოსილი პირის ვინაობისა და მისი რეგისტრირებული მისამართის, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებების თაობაზე, რაც არღვევს სუბიექტის ინფორმირების წესებს;

— გამოვლინდა შემთხვევა, როცა ორგანიზაცია, დასაქმების მსურველი პირების მონაცემებს, სამსახურის ნებართვის გარეშე, ხელმისაწვდომს ხდიდა სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული და საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიისთვის, რაც მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის წესების დარღვევას წარმოადგენს;

— ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს მიღებული ადეკვატური და ეფექტური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. რიგ შემთხვევაში ორგანიზაციების ნაწილი არ აღრიცხავდა, ნაწილი კი არასრულად აღრიცხავდა მონაცემთა მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს. ამასთან, ორგანიზაციის თანამშრომლებს საერთო მომხმარებლის სახელითა და პაროლით გააჩნდათ წვდომა ელექტრონულ სისტემებში არსებულ მონაცემებზე. გამოვლინდა არაუფლებამოსილი პირებისთვის მონაცემების გაზიარების შემთხვევებიც. მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის გარეშე კი ორგანიზაცია ვერ განახორციელებს ჯეროვან მონიტორინგს – ვის, როდის, რა მიზნითა და რა მოცულობით ჰქონდა წვდომა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებზე. ასევე, კონკრეტული შემთხვევის – მაგალითად, პერსონალური მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნების ფაქტის დადგომისას რთულდება ან შეუძლებელი ხდება მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნებაზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა;

— გამოვლინდა შემთხვევები, როცა ორგანიზაციები შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით ამუშავებენ დასაქმებული პირების ბიომეტრიულ მონაცემებს. მართალია, შრომითი ურთიერთობის სპეციფიკა მოითხოვს სამუშაო დროისა და

დასაქმებულთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვას, თუმცა ამ მიზნით ბიომეტრიული მონაცემების გამოყენება არ არის კანონიერი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე აწესრიგებს სამუშაო ადგილზე შესვლა-გასვლის აღრიცხვის საკითხს, ამ მიზნით გამოსაყენებელი მონაცემების მოცულობას და მათი შენახვის მაქსიმალურ ვადას. შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით დამსაქმებლებს შეუძლიათ შეაგროვონ მხოლოდ გარკვეული მონაცემები (სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, დასაქმებულის მისამართი, შენობაში შესვლისა და გასვლის თარიღები, დრო და მიზეზები);

— ორგანიზაციების უმეტესობას არ ჰქონდა შემუშავებული წესი/ინსტრუქცია, რომლითაც დარეგულირდებოდა დასაქმებულთათვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემული საკომუნიკაციო საშუალებების (სატელეფონო ნომრების) შესახებ დეტალური ამონაწერების გამოთხოვისა და მიღების პროცედურა იმ სახით, რომ იგი დამსაქმებლებისთვის არ გამხდარიყო ხელმისაწვდომი. გარკვეულ შემთხვევებში კი ამონაწერების გამოთხოვის საკითხი დარეგულირებული იყო ზეპირად, რაც ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების თანმიმდევრული და განჭვრეტადი პროცესის ჩამოყალიბებას;

— ცალკეულ შემთხვევებში გამოვლინდა გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და, შესაბამისად, დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ფაქტები. გასათვალისწინებელია, რომ, გამოსაცვლელი ოთახი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, წარმოადგენს განსაკუთრებით პრივატულ სივრცეს. შესაბამისად, აღნიშნულ სივრცეში მონაცემთა სუბიექტის მონიტორინგი ნებისმიერი მიზნით გაუმართლებელია.

- **მოწყვლადი ჯგუფების (არასრულწლოვნები, შშმ პირები და ქალები) მონაცემების დამუშავება**

მოწყვლადი ჯგუფების პერსონალური მონაცემების დამუშავება ექვემდებარება უფრო მაღალ სტანდარტებს, საჭიროებს მეტად დაცვას და ორგანიზაციებს აკისრებს მნიშვნელოვან ვალდებულებებს, ვინაიდან მოწყვლადი ჯგუფების მონაცემების უკანონო დამუშავებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მათ ინტერესებს, რეპუტაციას, სამომავლო რეალიზებას და სხვა. სამსახურის მიერ გეგმურად შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციის მიერ მოწყვლადი ჯგუფების მონაცემების დამუშავების პროცესებში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები:

— ერთ-ერთ სკოლაში გამოვლინდა კანონის დარღვევით ვიდეოთვალთვალის ფაქტი, კერძოდ, მონიტორინგი ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში. ზოგიერთ შემთხვევაში კი დადგინდა, რომ საპირფარეშოს შესასვლელი კარის ღიად დატოვების პირობებში დერეფანში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ექცეოდა საპირფარეშო ოთახში არსებული ხელსაბანი სივრცე. მართალია, ჰიგიენისთვის განკუთვნილ სივრცეებს უმეტესად აქვთ კარი, რომლებიც იხურება, თუმცა, ვინაიდან არასრულწლოვნები ნაკლებად აცნობიერებენ თავიანთი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის რისკებს, შესაძლოა, აღნიშნული სივრცით სარგებლობისას ღია დატოვონ შესასვლელი კარი და ჰიგიენისთვის განკუთვნილ სივრცეში განხორციელებული მათი ქმედებები მოხვდეს ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში;

— ცალკეულ შემთხვევაში, ორგანიზაციებს არ აქვთ განსაზღვრული არასრულწლოვანთა მონაცემების შენახვის ვადები და განუსაზღვრელი ვადით ინახავენ პერსონალურ მონაცემებს. გარკვეული მონაცემები დროის გასვლასთან ერთად ძველდება, კარგავს აქტუალობას და აღარ არსებობს მათი შენახვის საჭიროება. ასეთი ინფორმაციის განუსაზღვრელი ვადით შენახვა შეიძლება განსაკუთრებით საზიანო იყოს არასრულწლოვანი პირებისთვის, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე;

— გარკვეულ შემთხვევებში, არ აახლებენ მონაცემთა ბაზებში არასრულწლოვნების შესახებ დაცული ისეთი მონაცემებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ორგანიზაციების აღნიშნული მიდგომა კი წარმოშობს არაზუსტი მონაცემების დამუშავების რისკებს, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს ბავშვისთვის;

— გამოიკვეთა შემთხვევა, როცა მოსწავლეთა აქტიური სტატუსის შეწყვეტის შემდეგ ელექტრონულ სისტემაში სრულად არ არქივდებოდა მათი მონაცემები. საყურადღებოა, რომ მონაცემთა დაარქივება ემსახურება სხვადასხვა პირის მხრიდან იმ მონაცემებზე წვდომის მინიმიზაციას, რომლებზე მათ შესაძლოა არ ესაჭიროებოდეთ დაშვება დაკისრებული უფლებამოსილებების შესრულებისთვის;

— ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციები იმაზე მეტი მოცულობით და ვადით ამუშავებენ და ინახავენ მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მოსწავლეების მონაცემებს, ვიდრე სჭირდებათ კანონიერი მიზნის მისაღწევად. საყურადღებოა, რომ არასაჭირო მონაცემების მოპოვება და შენახვა ქმნის მონაცემთა არაპროპორციული მოცულობით დამუშავების საფრთხეს;

— მოწყვლადი ჯგუფების მონაცემების დამუშავების პროცესებშიც ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს მიღებული სათანადო ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად. მაგალითად, ორგანიზაციები არ აღრიცხავენ ან არასრულად აღრიცხავენ მონაცემთა მიმართ შესრულებულ ყველა მოქმედებას. გამოიკვეთა ინტერნეტის ღია ქსელიდან ორგანიზაციის ელექტრონულ სისტემაზე წვდომის შესაძლებლობის შემთხვევაც. გარკვეულ შემთხვევებში კი პროგრამაში პაროლის სირთულე და სიმბოლოების რაოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და შესაძლებელი იყო ნებისმიერი, მათ შორის, მარტივი პაროლის დაყენება. ამასთან, მაგალითად ძალადობის მსხვერპლი ქალების მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა გააჩნდა ისეთ პირსაც, რომელსაც დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად არ ესაჭიროებოდა მათზე დაშვება.

- **ახალგაზრდების მონაცემების დამუშავება**

სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა ორიენტირებულია სწორედ ახალგაზრდების პერსონალური მონაცემების დაცვაზე. აღნიშნული მიზნით, 2023 წლის გეგმის თანახმად, ინსპექტირების სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ერთად ახალგაზრდებიც დასახელდნენ. სამსახურის მიერ გეგმურად შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციის მიერ ახალგაზრდების მონაცემების დამუშავების პროცესებში ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები:

— გამოიკვეთა შემთხვევები, როცა გარკვეული უნივერსიტეტები სტუდენტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებდნენ შესაბამისი საჭიროების გარეშე და მიზნის არაპროპორციული მოცულობით. ამასთან, გარკვეულ უნივერსიტეტებს არ ჰქონდათ ან ცხადად არ ჰქონდათ განსაზღვრული სასწავლო პორტალების მეშვეობით დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადები, რაც მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევას წარმოადგენს;
— ხშირ შემთხვევაში ორგანიზაციები ახალგაზრდების მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული ელექტრონული ბაზების ადმინისტრირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის იყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციის მომსახურებას (მაგალითად, მონაცემთა სერვერზე განთავსებისა და ვებგვერდის ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით). ასეთი მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას არ არის გათვალისწინებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით

განსაზღვრული მოთხოვნები, რომელიც მოაწესრიგებდა კონტრაქტორი ორგანიზაციის ვალდებულებებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან, მათ შორის, უსაფრთხოების ზომებთან მიმართებით. მონაცემთა დაცვის გარანტიებისა და მათი შესრულების მექანიზმების წერილობით ჩამოყალიბება კი ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია პერსონალურ მონაცემთა კანონიერად დამუშავებისათვის მომსახურების გაწევისას;

— გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სათანადოდ არ იყო დაცული ახალგაზრდების მონაცემთა უსაფრთხოება, რის შედეგადაც არსებობდა აღნიშნული მონაცემების არამართლზომიერი დამუშავების მნიშვნელოვანი რისკები. მაგალითად, ახალგაზრდების მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომის მიზნით მონაცემთა დამმუშავებლის თანამშრომლები სარგებლობდნენ საერთო მომხმარებლითა და პაროლით. ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე კი, ბუნდოვანი იყო თუ რა მიზნით ესაჭიროებოდათ მათ დაშვება ახალგაზრდების სრულ ან/და გარკვეული სახის მონაცემებზე. აღნიშნული გარემოებები კი, მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირების ფართო წრის გათვალისწინებით, ქმნიდა მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავებისა და მათი არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების რისკებს;

— რიგ შემთხვევებში თანამშრომლების პირადი სისტემების (პირადი კომპიუტერისა და ელექტრონული ფოსტის) მეშვეობით მუშავდებოდა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც რისკების შემცველია მონაცემთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. ხსენებულ სისტემებზე კონტროლი არ გააჩნია მონაცემთა დამმუშავებელს და შესაბამისად, არ აქვს ეფექტიანი შესაძლებლობა – მიიღოს მონაცემთა რისკების ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ამ სისტემებით დამუშავებული მონაცემების დაცვის მიზნით, შესაბამის თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში კი არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ამ სისტემებში მონაცემების შენახვა გაგრძელდება და მათზე წვდომის შესაძლებლობა ექნება არაუფლებამოსილ პირს (მონაცემთა დამმუშავებლის ყოფილ თანამშრომელს).

- **სხვა თემატიკის ფარგლებში მონაცემების დამუშავება**

სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემების დამუშავების პროცესებში ასევე ფიქსირდება გარკვეული დარღვევები და ნაკლოვანებები:

— გარკვეულ შემთხვევებში მონაცემთა დამმუშავებლები ახდენდნენ დიდი მოცულობით მონაცემთა ბაზების ფორმირებას და აღნიშნულ პროცესში მონაცემებს მოიპოვებდნენ სუბიექტის თანხმობის გარეშე. ამასთანავე, არ გააჩნდათ მონაცემთა დამუშავების არც სხვა სამართლებრივი საფუძველი, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების კანონიერებისთვის;
— მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა პროცესის შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების ცალკეული შემთხვევები. ამასთან, მონაცემთა დამმუშავებლები ვერ აზუსტებდნენ, თუ რა ვადით ესაჭიროებოდათ მონაცემების შენახვა, რაც მონაცემთა დაცვის პრინციპების დარღვევის რისკებს ქმნის;
— ხშირ შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებების ელექტრონულ პროგრამებში არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რაც დამუშავებულ მონაცემებზე შეზღუდავდა იმ პირთა დაშვებას, რომელთაც მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას არ გააჩნდათ ხსენებულ მონაცემებზე წვდომის საჭიროება. ამასთანავე, ელექტრონული სისტემის საშუალებით მონაცემებზე წვდომა გააჩნდათ არაუფლებამოსილ, მათ შორის, ყოფილ თანამშრომლებსაც;
— გამოიკვეთა მონაცემთა ფიზიკური უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებიც. მაგალითად, ერთ-ერთი საჯარო დაწესებულება მატერიალური ფორმით არსებულ დოკუმენტაციას ინახავდა ისეთ ოთახში არსებულ თაროზე, სადაც, მონაცემებზე წვდომაზე უფლებამოსილი თანამშრომლის გარდა, საქმიანობდნენ სხვა დასაქმებული პირებიც. ერთ-ერთი საჯარო დაწესებულების მიერ კი მატერიალური დოკუმენტაციის დიდი ნაწილი განთავსებული იყო იატაკზე, რაც მონაცემების შემთხვევითი ან/და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო დამუშავების რისკებს ქმნიდა.

4.2. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

- **შრომითი ურთიერთობის ფარგლებში მონაცემების დამუშავება**

ჰიპერმარკეტების ქსელები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმურად შეისწავლა 2 (ორი) ჰიპერმარკეტების ქსელის (შემდგომში – კომპანიები) მიერ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასაქმების მსურველი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

შემოწმებების ფარგლებში დადგინდა, რომ ერთ-ერთი კომპანია წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ამუშავებდა დასაქმების მსურველი პირების შესახებ დიდი მოცულობისა და განსაკუთრებული კატეგორიის ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა, ნასამართლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნულ მონაცემებს კომპანია მოიპოვებდა უშუალოდ დასაქმების მსურველი კანდიდატებისგან სხვადასხვა ელექტრონული არხების (ელექტრონული ფოსტის, ელექტრონული სააპლიკაციო ფორმების, კომპანიის ცხელის ხაზის, სოციალური ქსელების – „Facebook“ და „Instagram“ გვერდების) მეშვეობით. ამასთან, კომპანია ხსენებულ პროცესში მონაცემებს ამუშავებდა როგორც დასაქმების მსურველი პირის არსებულ/სამომავლო ვაკანსიის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე, კომპანიისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. კერძოდ, გარკვეულ პოზიციებზე (როგორიცაა, მზა კვების, ხორცისა და თევზეულის, ასევე საცხობ სექციებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე) დასაქმების მსურველი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების აუცილებლობა გამომდინარეობდა „ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების დანართი №1-იდან. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ამავე დანართის თანახმად, დაუშვებელია პერსონალმა, რომელიც ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათით (მაგალითად, ინფიცირებული ჭრილობა, კანის ინფექცია და სხვა.), მონაწილეობა მიიღოს სურსათის წარმოების/გადამუშავების პროცესში, თუკი არსებობს სურსათის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაბინძურების რისკი. შესაბამისად, ხსენებულ პოზიციებზე დასაქმების მიზნით შერჩეული კანდიდატის

ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება ემსახურება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზანს.

შემოწმების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანია დასაქმების მსურველ პირთა პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით ამუშავებდა კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებული დასაქმების მსურველი პირების პერსონალური მონაცემები კომპანიაში ინახებოდა განუსაზღვრელი ვადით, რა ვადითაც მონაცემების შენახვის საჭიროება კომპანიის მხრიდან ვერ დასაბუთდა. მით უფრო იმ პირობებში, როცა კომპანიას მის მიერ მითითებული მიზნით (სამომავლოდ კანდიდატისთვის ვაკანსიების შესათავაზებლად) მონაცემების დამუშავებისა და დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ესაჭიროება პირის შესახებ განახლებული ინფორმაცია. შემოწმების ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ დასაქმების მსურველი პირების მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებს არ გააჩნდათ მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“), ასევე ცალკეულ შემთხვევებში მონაცემები გაზიარებული იყო მონაცემებთან წვდომაზე არაუფლებამოსილი პირებისთვის, რაც წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დარღვევას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიის მხრიდან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დასაქმების მსურველი პირების პერსონალური მონაცემების შეგროვების პროცესში მათი ინფორმირება ხდებოდა კანონის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტებს (დასაქმების მსურველ პირებს) არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია უფლებამოსილი პირის ვინაობისა და მისი რეგისტრირებული მისამართის, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებების თაობაზე, რაც არღვევს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესებს.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ დასაქმების მსურველი პირების შესახებ მოპოვებული მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე და შესაბამისად, ამავე სისტემებში დაცულ მონაცემებზე წვდომა სრული ადმინისტრირების უფლებებით გააჩნდა დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია და საქმიანობს ისეთ ქვეყანაში, რომელიც პერსონალურ

მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №03 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხაში არ ექცევა. ამასთან, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიას სამსახურისგან არ ჰქონდა მიღებული ნებართვა მონაცემების საერთაშორისო გადაცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემასთან მიმართებით მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს (EDPB) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს თანახმად, მონაცემთა გადაცემა გულისხმობს მონაცემების რაიმე ფორმით, მათ შორის, დისტანციური წვდომის მინიჭების გზით, ხელმისაწვდომად გახდომას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან კომპანია წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებს წვდომის მინიჭების გზით ხელმისაწვდომს ხდიდა სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული და საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიისთვის (დამფუძნებელი კომპანია) სამსახურის ნებართვის გარეშე, კომპანიის მიერ დარღვეულ იქნა მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის წესები.

სამსახურის გადაწყვეტილება: კომპანიას დაეკისრა პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 46-ე, 50-ე და 52[1]-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის და, იმავდროულად, დაევალა შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დასაქმებულთა მონაცემების დამუშავების კანონიერება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმური ინსპექტირების ფარგლებში შეისწავლა ჯამში 9 (ცხრა) დაწესებულების, მათ შორის, 6 (ექვსი) საჯარო და 3 (სამი) კერძო დაწესებულების მიერ შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დასაქმებულთა მონაცემების დამუშავების კანონიერება. შემოწმებების შედეგად, მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დარღვევები გამოიკვეთა, მათ შორის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ქალაქ თბილისის, ახალციხისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების მერიების, ასევე ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის მიერ მონაცემების დამუშავების ფარგლებში.

შემოწმებების შედეგად გამოვლინდა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ამავე ნორმაში დასახელებულ მონაცემებთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ადმინისტრაციულ შენობებში შესვლისა და გასვლის აღრიცხვის მიზნით მოიპოვებდა, ინახავდა და იყენებდა დასაქმებულთა თითის ანაბეჭდებსაც (ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია ამუშავებდა 31 (ოცდათერთმეტი) თანამშრომლის, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 342 (სამას ორმოცდაორი) თანამშრომლის თითის ანაბეჭდის თაობაზე ინფორმაციას). ამასთან, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო დანაწესის საწინააღმდეგოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას თითის ანაბეჭდით შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის შესაძლებლობა დადგენილი ჰქონდა შინაგანაწესითაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია კი, ხსენებული ნორმით გათვალისწინებულ მონაცემებთან ერთად, ადმინისტრაციულ შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით ამუშავებდა დასაქმებულთა ფოტოსურათებსაც.

შემოწმებების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომელთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის თაობაზე აღრიცხულ მონაცემებს ინახავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით, ასეთი მონაცემების შენახვისთვის დადგენილ მაქსიმალურ ვადაზე (3 (სამი) წელი) უფრო ხანგრძლივად. აქვე აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის თაობაზე სპეციალურ აპლიკაციაში აღრიცხული მონაცემი შემოწმების დროს იშლებოდა მისი შექმნიდან 6 (ექვსი) თვეში, თუმცა არ უქმდებოდა მერიის ყოფილი თანამშრომლების ანგარიშები (ე.წ. პროფილები) – შემოწმების დროისათვის დასახელებულ აპლიკაციაში შენახული 1670 (ათას ექვსას სამოცდაათი) ე.წ. „პროფილიდან“ მხოლოდ 952 (ცხრაას ორმოცდათორმეტი) ეკუთვნოდა მერიის მოქმედ თანამშრომლებს.

შემოწმებების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ შემოწმებული დაწესებულებების ნაწილი არ აღრიცხავდა, ნაწილი კი არასრულად აღრიცხავდა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის თაობაზე ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს. მაგალითად,

ხსენებულ მოქმედებებს არ აღრიცხავდა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სადაზღვევო კომპანია არ აღრიცხავდა მონაცემების დათვალიერების ფაქტებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებულ აპლიკაციაში ამავე მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები არ სარგებლობენ ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და აღრიცხვის განყოფილების 4 (ოთხი) თანამშრომელი მონაცემებზე წვდომისთვის სარგებლობდა საერთო მომხმარებლით, ასევე უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის 45 (ორმოცდახუთი) თანამშრომელი იყენებდა 2 (ორი) საერთო მომხმარებელს.

ზემოხსენებული დაწესებულებებისგან განსხვავებით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის შემოწმების ფარგლებში არ გამოიკვეთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის თაობაზე პერსონალური მონაცემების ავტომატური ან ნახევრად ავტომატური ფორმით დამუშავების შემთხვევა. თუმცა, ამავე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ წარსულში მერიის თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება და სამსახურის დატოვება აღირიცხებოდა მატერიალური ფორმით. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ შემოწმების დროსაც ინახებოდა ჟურნალი, რომელშიც აღრიცხული იყო 2015-2017 წლებში ამავე სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების/სამუშაო ადგილის დატოვების თაობაზე ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, არაავტომატური ფორმით მონაცემთა დამუშავებაზე კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ეს მონაცემები ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, სამსახურმა იმსჯელა, რამდენად წარმოადგენს ზემოხსენებული ჟურნალი ფაილურ სისტემას. აღსანიშნავია, რომ ჟურნალში განსხვავებული კრიტერიუმების (თარიღის, თანამშრომლის სახელის და გვარის, თანამდებობის და სხვა) მიხედვით, მარტივად იყო მოძიებადი სხვადასხვა პერსონალური მონაცემები (მათ შორის, სამუშაო ადგილზე გამოცხადებასთან/სამუშაო ადგილის დატოვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა დაადგინა, რომ ამ სახით მონაცემების სტრუქტურიზაცია ემსახურებოდა ინფორმაციის მარტივად მოძიების მიზანს და ხსენებული ჟურნალი წარმოადგენდა ფაილურ სისტემას, მისი საშუალებით მონაცემთა აღრიცხვის პროცესზე კი ვრცელდებოდა კანონის მოქმედება. ამასთან, ვინაიდან ჟურნალში შენახული იყო 3 (სამი) წელზე დიდი ხნის

წინ მოპოვებული პერსონალური მონაცემები, დადგინდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევა.

სამსახურის გადაწყვეტილება: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას პასუხისმგებლობა დაეკისრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, სადაზღვევო კომპანიას – ამავე კანონის 46-ე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიებს – კანონის 46-ე და 49-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის. ამასთან, დასახელებულ დაწესებულებებს დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

სს „საქართველოს რკინიგზა“, შპს „საქართველოს ფოსტა“ და სხვა კერძო კომპანიები

შრომით ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როცა დამსაქმებლები მათთან დასაქმებულ პირებს სარგებლობაში გადასცემენ დამსაქმებლის სახელზე აღრიცხულ სატელეფონო ნომრებს ან თავად დასაქმებული პირები აცხადებენ თანხმობას მათ საკუთრებაში არსებული სატელეფონო ნომრების დამსაქმებლის სახელზე აღრიცხვასთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებლები (როგორც სატელეფონო ნომრის მფლობელები) ინარჩუნებენ მობილური ოპერატორებისგან მათ მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრების დეტალური ამონაწერების გამოთხოვის უფლებას, რაც მათ აძლევს საშუალებას, შესაბამისი სატელეფონო ნომრებით უშუალოდ მოსარგებლე თანამშრომლების არაერთი პერსონალური მონაცემი დაამუშაონ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა საკუთარი ინიციატივით, მობილური ოპერატორებისგან გამოითხოვა ინფორმაცია ყველა იმ საჯარო და კერძო ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც მითითებული პერიოდის განმავლობაში მობილური ოპერატორებისგან გამოითხოვა თავის სარგებლობაში არსებული კორპორაციულ ქსელში ჩართული სატელეფონო ნომრების შესახებ დეტალური ამონაწერები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი დაიწყო სს „საქართველოს რკინიგზის“, შპს „საქართველოს ფოსტის“ და სხვა კერძო ორგანიზაციების მიერ მათ სარგებლობაში არსებული, კორპორაციულ ქსელში ჩართული სატელეფონო ნომრების შესახებ დეტალური ამონაწერების გამოთხოვის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

შპს „საქართველოს ფოსტის“ შემოწმებების შედეგად გამოიკვეთა, რომ ფოსტამ დასაქმებული პირების (ჯამში ფოსტის 4 (ოთხი) კურიერის) მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრების დეტალური ამონაწერები გამოითხოვა მონიტორინგის ფარგლებში, საფოსტო გზავნილების ჩაბარება/დაბრუნების და დაკარგვის საკითხის შესწავლის პროცესში. კერძოდ, ფოსტამ ზემოხსენებულ საფოსტო გზავნილებთან დაკავშირებით საქმის წარმოება ამავე გზავნილების გამგზავნის/ადრესატის მიერ წარდგენილი განცხადებების საფუძველზე დაიწყო. სატელეფონო ნომრების დეტალური ამონაწერები გამოითხოვა მათი ფაქტობრივად მფლობელი პირების წერილობითი თანხმობით. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან კურიერების დეტალური ამონაწერების მობილური ოპერატორისგან გამოთხოვა ემსახურებოდა ფოსტის მიერ გაწეულ მომსახურებასთან (გზავნილის ჩაბარებასთან) დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების განხილვის მიზნებს და აღნიშნულ პროცესში საჭირო იყო კურიერების მიერ დაკისრებული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების შეფასება, სამსახურის გადაწყვეტილებით, სატელეფონო ნომრებზე ამონაწერების გამოთხოვა და მიღება წარმოადგენდა ფოსტის ლეგიტიმურ მიზანს.

ამასთან, როგორც შპს „საქართველოს ფოსტის“, ისე სს „რკინიგზისა“ და სხვა ორგანიზაციების შემოწმებების შედეგად გამოიკვეთა, რომ დასაქმებულთა მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრების დეტალურ ამონაწერებს დამსაქმებლები ოპერატორებისგან, მათ შორის, ითხოვდნენ თავად დასაქმებულ პირთა მოთხოვნის საფუძველზე და ამავდროულად, მათთვის მისაღები ფორმით. შემოწმებების შედეგად გამოიკვეთა, რომ უშუალოდ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებლები ახდენენ მობილური ოპერატორებისგან ამონაწერის როგორც გამოთხოვას, ისე მიღებას და შემდგომში თავად დასაქმებულთათვის გადაცემას. თუმცა, დამსაქმებლებს, გარდა დასაქმებულთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, სატელეფონო ნომრების ამონაწერების მიღების დამოუკიდებელი მიზანი არ გააჩნდათ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთათვის გადაცემის შემდგომ, ორგანიზაციებს არ გააჩნდათ ამონაწერების შენახვის მიზანი, რიგ შემთხვევებში გამოვლინდა მსგავსი ფაქტებიც, რაც არაპროპორციული ვადით მონაცემების შენახვის რისკებს წარმოშობს.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ დამსაქმებლებს არ ჰქონდათ შემუშავებული რაიმე წესი/ინსტრუქცია, რომლითაც დარეგულირდება დასაქმებულთათვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემული საკომუნიკაციო საშუალებების (სატელეფონო ნომრების) შესახებ დეტალური ამონაწერების გამოთხოვისა და მიღების პროცედურა. საკითხის ზეპირი რეგულირება და მის

საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკით ხელმძღვანელობა კი ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების თანმიმდევრული და განჭვრეტადი პროცესის ჩამოყალიბებას.

სამსახურის გადაწყვეტილება: დამსაქმებლებს დაევალათ მობილური ოპერატორებისგან გამოთხოვილი დეტალური ამონაწერების მათ ხელთ არსებული ასლების წაშლა/განადგურება და კორპორატიულ ქსელში ჩართული და იმავდროულად დასაქმებულთათვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემული სატელეფონო ნომრების შესახებ დეტალური ამონაწერების გამოთხოვის წესის და პროცედურის წერილობითი ფორმით დარეგულირება.

აზარტული თამაშობების მომწყობი კომპანიები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გეგმურად განხორციელდა 5 (ხუთი) შემოწმება, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა კაზინოების მიერ მათ მფლობელობაში არსებულ შენობაში, გამოსაცვლელ ოთახებში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესაძლო ფაქტები.

ერთ-ერთი კაზინოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლებისთვის განკუთვნილ გამოსაცვლელ ოთახებში, შესასვლელი კარის მიმდებარედ, დამონტაჟებული იყო ვიდეოსათვალთვალო კამერები, რომელთა ხედვის არეალში ნაწილობრივ ექცეოდა ამავე ოთახებში შესასვლელი კარები. ამასთან, მამაკაცებისთვის განკუთვნილი გამოსაცვლელი ოთახის კამერის ხედვის არეალში ასევე ხვდებოდა ამავე ოთახის შესასვლელ კართან განთავსებული კარადები იმგვარად, რომ გამოსაცვლელ ოთახში შესვლისას და კარადების სიახლოვეს დგომისას პირი ხვდება კამერის ხედვის არეალში. შესაბამისად, აღნიშნულ არეალებში (მამაკაცების გამოსაცვლელი ოთახის კარებთან და მასთან განთავსებულ კარადებთან, ასევე, ქალებისთვის განკუთვნილი ოთახის კარებთან) თანამშრომლების მიერ ტანსაცმლის გამოცვლის შემთხვევაში, კამერების ხედვის არეალში მოექცეოდა აღნიშნული ფაქტებიც. კომპანიის მიერ აღნიშნულ სივრცეებში მონიტორინგის მიზნად დასახელდა საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ გამოსაცვლელი ოთახი, მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, წარმოადგენს პრივატულ სივრცეს. პირის უფლება, რომ გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს აღნიშნული სივრცით, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზების ერთ-ერთ

მნიშვნელოვან გარანტს. გამოსაცვლელ ოთახში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერა, თუნდაც იმ პირობებში, რომ მისი ხედვის არეალი მოიცავდეს მხოლოდ ოთახის შესასვლელ კარს ან/და შესასვლელის გარკვეულ პერიმეტრს, პირს უკარგავს სივრცის პრივატულობის აღქმას და ვიდეოთვალთვალის არეალში ყოფნის განცდა ზღუდავს მისი ქცევის თავისუფლებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გამოსაცვლელ ოთახებში მონაცემთა სუბიექტის მონიტორინგი გაუმართლებელია, მიუხედავად ასეთი მონიტორინგის მიზნისა.

ამავე კაზინოს შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით მოპოვებული მონაცემების მიმართ არ იყო მიღებული სათანადო უსაფრთხოების ზომები. კერძოდ, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები არ იყენებდნენ ინდივიდუალურ პროგრამულ მომხმარებელსა და პაროლს. ამასთან, ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არ ხდებოდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედების აღრიცხვა, რაც მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავების რისკებს წარმოშობს.

სამსახურის გადაწყვეტილება: კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე და 48-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. ამასთან, კომპანიას დაევალა ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

- **მოწყვლადი ჯგუფების (არასრულწლოვნები, შშმ პირები და ქალები) მონაცემების დამუშავება**

სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმურად შეისწავლა სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ მიერ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით სსიპ „თბილისის კლასიკური გიმნაზიის“ მოსწავლეების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – eSchool) აისახება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული მოსწავლის მნიშვნელოვანი მოცულობის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (მაგ.: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი,

მოქალაქეობა, მისამართი, კლასი, სსსმ მოსწავლის, სოციალურად დაუცველი პირის, შშმ პირის, დევნილის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული, თავშესაფრის მაძიებლის სტატუსები და სხვა.). ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, eSchool-ში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მონაწილეობით და სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ (შემდგომში - საინფორმაციო სისტემა) ტექნიკური მხარდაჭერით, ელექტრონულად მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესები, როგორებიცაა, მაგალითად: საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვა, ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება და აღდგენა, კლასის დაძლევა, მობილობა, საგაკვეთილო ცხრილის შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ „თბილისის კლასიკური გიმნაზია“ (შემდგომში – გიმნაზია) არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (შემოწმების დროისათვის გიმნაზიაში სწავლობდა 2181 (ორი ათას ასოთხმოცდაერთი) მოსწავლე).

შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საინფორმაციო სისტემა eSchool-ში კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევით, მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის არაპროპორციული მოცულობით, სათანადო საჭიროებისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე ამუშავებდა მოსწავლეების ფოტოსურათებს, რომლებიც საინფორმაციო სისტემას გადაეცემოდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზიდან. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №08/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ამომწურავად განსაზღვრავს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ბაზაში დაცულ მონაცემთა იმ ჩამონათვალს, რომელიც eSchool-ში ასახულ ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების/ვერიფიკაციის ან/და მათი მოქალაქეობრივი მდგომარეობის დადგენის/გადამოწმების მიზნით, საინფორმაციო სისტემამ შეიძლება მიიღოს და დაამუშაოს, თუმცა ხსენებულ ჩამონათვალში არ არის შეტანილი ფოტოსურათი.

შემოწმების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ eSchool-ში გიმნაზიის მოსწავლეების სოციალურად დაუცველი პირის, იძულებით ადგილნაცვალი პირის და შშმ პირის სტატუსების შესახებ ინფორმაცია აისახებოდა შემდეგი წესით: არასრულწლოვნის გიმნაზიაში ჩარიცხვის მოთხოვნით მშობლის მიერ განცხადების წარდგენისას, მას განემარტებოდა, რომ სურვილის შემთხვევაში გააჩნდა შესაძლებლობა eSchool-ში ინფორმაციის შეტანის მიზნებისთვის გიმნაზიისთვის წარედგინა ხსენებული სტატუსების დამადასტურებელი დოკუმენტები, რის საფუძველზეც გიმნაზია

არასრულწლოვნის შესაბამის სტატუს(ებ)ს აღრიცხავდა eSchool-ში. ამასთან, მშობლებს ხსენებული მონაცემების წარდგენის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდათ მხოლოდ ზემოთ დასახელებული განცხადების წარდგენისას და შემდეგ მათთან აღარ ხდებოდა კომუნიკაცია იმის დასადგენად, გარკვეული პერიოდის შემდგომ ხომ არ შეიცვალა დასახელებული სტატუსები.

ამასთან, ვინაიდან eSchool-ში სოციალურად დაუცველი პირის, იძულებით ადგილნაცვალი პირის და შშმ პირის თაობაზე ინფორმაცია აღირიცხებოდა მხოლოდ გიმნაზიის იმ მოსწავლეებთან დაკავშირებით, რომელთა მშობლებმაც ნებაყოფლობით წარადგინეს ხსენებული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები, არსებობდა მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ რომელიმე ეს სტატუსი შეიძლება ჰქონოდათ იმ მოსწავლეებსაც, რომელთა eSchool-ის პროფილშიც ხსენებული ველები არ იყო მონიშნული. მეორე მხრივ, გიმნაზიის მოსწავლეების შესაბამისი სტატუსის მონიშვნის შემდგომ არ ხდებოდა იმის დადგენა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხომ არ შეიცვალა დასახელებული სტატუსები და შესაბამისად, არ ხდებოდა მონაცემების განახლება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ქმნის იმის ალბათობას, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც eSchool-ში მონიშნული აქვთ სოციალურად დაუცველი პირის, იძულებით ადგილნაცვალი პირის და შშმ პირის სტატუსის აღმნიშვნელი ველები, არ გააჩნდეთ ხსენებული სტატუსები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გიმნაზიის მოსწავლეების სოციალურად დაუცველი პირის, იძულებით ადგილნაცვალი პირის და შშმ პირის სტატუსის თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვისა და შენახვის ზემოხსენებული მიდგომა არ უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მოსწავლეების სწორი და განახლებული მონაცემების დამუშავებას.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ eSchool-ში აღირიცხება გიმნაზიის მოსწავლეების კომპიუტერულ მოწყობილობებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამოკითხვის შედეგები. საინფორმაციო სისტემის მიერ შემოწმების ფარგლებში წარმოდგენილი განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება ემსახურება დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, თუმცა ვერ იქნა დაზუსტებული, თუ რა მიზნით ხდება მოსწავლის მიერ დისტანციური სწავლების შესაძლებლობასთან დაკავშირებული გამოკითხვის ძველი (წინა წლების) შედეგების შენახვა.

ზემოხსენებულთან ერთად, შემოწმების დროისათვის მოსწავლეების აქტიური სტატუსის შეწყვეტის შემდეგ eSchool-ში მათი მონაცემების სრული დაარქივება (eSchool-ზე დაშვების მქონე პირთა მხრიდან ამ მონაცემებზე წვდომის შეზღუდვა) არ ხდებოდა და საინფორმაციო სისტემის განმარტებით, აღნიშნული ფუნქციონალის გააქტიურება იგეგმებოდა 2026 წლის თებერვლამდე. ხსენებულ პერიოდამდე ასევე იგეგმებოდა საინფორმაციო სისტემის უფროსის იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაც, რომელიც განსაზღვრავდა დაარქივებულ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირებს. ნიშანდობლივია, რომ მონაცემთა დაარქივება ემსახურება სხვადასხვა პირის მხრიდან მონაცემებზე წვდომის მინიმიზაციას, კერძოდ, eSchool-ზე დაშვების მქონე სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომელთა იმ მონაცემებზე წვდომის შეზღუდვას, რომლებზე წვდომაც მათ შესაძლოა არ ესაჭიროებოდეთ დაკისრებული უფლებამოსილებების შესრულებისთვის. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საინფორმაციო სისტემამ გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, შეზღუდულ ვადებში შეაფასოს eSchool-ში დამუშავებული აქტიური სტატუსის არმქონე მოსწავლეთა მონაცემებზე სისტემის სხვადასხვა სუბიექტების თანამშრომელთა მხრიდან წვდომის საჭიროება და იმ თანამშრომლებს, რომლებსაც არ გააჩნიათ აღნიშნული საჭიროება, შეუზღუდოს დასახელებულ მონაცემებზე დაშვება.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ eSchool-ის სისტემის მუშაობისათვის გამოყენებულ მონაცემთა ბაზასთან, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემიდან პირდაპირი წვდომის საშუალებით მონაცემების დამუშავების პროცესში არ აღირიცხებოდა მონაცემების წარმატებული დათვალიერება, რაც არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, გიმნაზიის საქმისმწარმოებლები და საინფორმაციო მენეჯერები eSchool-ში სარგებლობდნენ საერთო მომხმარებლის ანგარიშებით. შემოწმების ფარგლებში კი არ დადასტურდა, გიმნაზიის მიერ საინფორმაციო სისტემისთვის მიმართვა ყველა საქმისმწარმოებლისა და საინფორმაციო მენეჯერისთვის eSchool-ში განპიროვნებული ანგარიშების შექმნის თაობაზე, რაც ასევე კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს.

სამსახურის გადაწყვეტილება: საინფორმაციო სისტემა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. ხოლო, გიმნაზია ცნობილ იქნა

სამართალდამრღვევად ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. იმავდროულად, საინფორმაციო სისტემას და გიმნაზიას დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

მცირე საოჯახო ტიპის სახლები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ერთ-ერთი ქვეპროგრამაა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება. ამავე დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზანია მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განთავსების გზით ოჯახთან მიახლოებულ პირობებში მოვლისა და აღზრდის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პროცესში ორგანიზაცია, რომელიც მართავს მცირე საოჯახო ტიპის სახლს, ამუშავებს არასრულწლოვანი შშმ პირი ბენეფიციარების დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმურად შეისწავლა მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მათ მმართველობაში არსებული მცირე საოჯახო ტიპის სახლების (ჯამში 02 (ორი) მცირე საოჯახო ტიპის სახლი) ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მუშავდება ბენეფიციარების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია, რომლებსაც მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ერთი მხრივ, მოიპოვებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსგან“, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ მომსახურების გაწევის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გზით (მაგალითად, აღმზრდელობითი საქმიანობის განმავლობაში, იმ მკურნალობის ფარგლებში, რომელსაც ორგანიზაცია ზედამხედველობს და სხვა.). ამასთან, შემოწმების ფარგლებში, სააგენტოსა და ორგანიზაციებისგან წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე, ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგინდა, რომ კანონმდებლობა ორგანიზაციას ავალდებულებს მომსახურების პროცესში

აწარმოოს (მოიპოვოს, შექმნას და შეინახოს) ბენეფიციარებთან დაკავშირებით რეგლამენტით გათვალისწინებული ჟურნალები და ე.წ. „პირადი საქმეები“, სადაც დაცული იქნება ინდივიდუალური განვითარების გეგმის ასლები და მომსახურების ინდივიდუალური გეგმები, ინფორმაცია ბენეფიციარის განათლებასთან, ჯანმრთელობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამდენად, შემოწმებების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაცია ბენეფიციარების პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით.

შემოწმებების ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ მატერიალური ფორმით მონაცემების დამუშავების პარალელურად, ორგანიზაცია ბენეფიციარების მონაცემების დამუშავებისთვის იყენებს ტექნიკურ საშუალებებს – პორტატულ კომპიუტერსა (ე.წ. „ლეპტოპი“) და მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირების პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართებს. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერი, რომლის მეშვეობითაც მუშავდებოდა ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები, წარმოადგენდა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ლიდერის პირად პორტატულ კომპიუტერს. ამასთან, ორივე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერები, რომლებიც გამოიყენებოდა მონაცემების დამუშავების მიზნებისთვის, არ იყო დაცული პაროლით, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართის პაროლი დამახსოვრებული იყო პორტატულ კომპიუტერებში. აღნიშნული კი ნებისმიერ პირს, რომელსაც ხელი მიუწვდება კომპიუტერებზე, შესაძლებლობას აძლევს წვდომა განახორციელოს ელექტრონულ ფოსტაში დაცულ ბენეფიციარის პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე. ერთ-ერთი შემოწმების ფარგლებში დამატებით დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერით, რომლის მეშვეობითაც მუშავდება ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები, სარგებლობდა მცირე საოჯახო ტიპის სახლის რამდენიმე თანამშრომელი, თუმცა ისინი კომპიუტერის გამოყენებისთვის არ იყენებდნენ ინდივიდუალურ (განპიროვნებულ) მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ პირადი ელექტრონული ფოსტის საშუალებით პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მიმოცვლა პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ელექტრონული სისტემა მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას დასაქმებულებს აძლევს, მათ შორის, სხვა ელექტრონული მოწყობილობებიდანაც, ხოლო აღნიშნულის გაკონტროლება სრულად ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებზე დამოკიდებული ვერ იქნება. ამასთან, მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა დასაქმებულ პირებს

უნარჩუნდებათ მონაცემთა დამმუშავებელთან სამსახურებრივი (შრომითი) კავშირის შეწყვეტის შემდეგაც. ორგანიზაციის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებაში, ასევე, ორგანიზაციის მიერ შედგენილ ცალკე დოკუმენტში (რომელიც არეგულირებს ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების დაცვას) სამსახურებრივი ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ არსებული ჩანაწერი კი ვერ მიიჩნევა იმ რისკების ადეკვატურ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომად, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ორგანიზაციაში მონაცემთა უსაფრთხოება. აღნიშნული კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციაში თავს იყრის არასრულწლოვნების დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. ამდენად, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ორგანიზაციას არ ჰქონდა მიღებული მონაცემთა უსაფრთხოებისთვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

სამსახურის გადაწყვეტილება: ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა 2-ჯერ (ორჯერ) გეგმურად შეამოწმა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“ (შემდგომში – სააგენტო). კერძოდ, შემოწმდა სააგენტოს მიერ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით ქალაქ თბილისის საქალაქო ცენტრში წარდგენილი განცხადებების განხილვის მიზნით ელექტრონული სისტემების საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხი და თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ბენეფიციარების პირადი საქმეების წარმოების პროცესში მონაცემების დამუშავების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მუშავდება შშმ არასრულწლოვნების დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები), ხოლო ზემოხსენებული თავშესაფრის ბენეფიციარები უმრავლეს შემთხვევაში არიან ქალები

და მათზე დამოკიდებული არასრულწლოვნები, რომელთა იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების გაწევის ფარგლებში სააგენტო ამუშავებს დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ თავშესაფარში მიღების ფორმა ბენეფიციარის თაობაზე სხვა სახის ინფორმაციასთან ერთად შეიცავს მისი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა არ გაიზიარა ტრეფიკინგის სააგენტოს განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ბენეფიციარების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შენახვა საჭიროა სტატისტიკის მიზნებისთვის. სამსახურმა განმარტა, რომ სტატისტიკის წარმოების მიზნით ბენეფიციარების აღნიშნული მონაცემები თავშესაფრის მიერ შესაძლოა დამუშავდეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმითაც, კერძოდ, იმგვარად, რომ არ იყოს იდენტიფიცირებადი კონკრეტული სუბიექტების ვინაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა თავშესაფრის მიერ ბენეფიციარის პირად საქმეში ისეთი დოკუმენტაციის შენახვის ფაქტები, რომელთა შენახვის საჭიროებაც შემოწმების ფარგლებში არ დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების ფარგლებში დამუშავებული მონაცემები ინახება მუდმივად, ხოლო ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარების პირადი საქმეები - 10 (ათი) წლის ვადით, თუმცა ტრეფიკინგის სააგენტომ ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რას ემსახურება ხსენებული ვადებით მონაცემების შენახვა.

რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარების მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამისა და სპეციალური ვებპორტალის ტექნიკურ მხარდაჭერას და ტრეფიკინგის სააგენტოს დავალებების შესაბამისად მომხმარებელთა მართვას ახორციელებს სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო“. აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის სააგენტოს მიერ რამდენიმე ეპიზოდში დაირღვა აღნიშნული სისტემების საშუალებით ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემების დამუშავებისას უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულება, კერძოდ:

— ვებპორტალში აქტიური ანგარიშის მქონე 143 (ას ორმოცდასამი) პირთან დაკავშირებით ტრეფიკინგის სააგენტომ ვერ დააზუსტა, თუ ვინ არიან ისინი და რა უფლებამოსილების ფარგლებში ესაჭიროებათ ქვეპროგრამის ფარგლებში

დამუშავებულ ინფორმაციაზე დაშვება. აქვე აღსანიშნავია, რომ ვებპორტალზე ამ პირების მხრიდან წვდომა შესაძლებელი იყო ინტერნეტის ღია ქსელიდან, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში მათ ჰქონდათ პაროლის აღდგენის შესაძლებლობაც. დასახელებულ პორტალზე დაშვება ასევე გააჩნდათ სააგენტოს ყოფილ თანამშრომლებსაც;

— ვებპორტალში რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდულზე დაშვების მქონე თანამშრომელთა ნაწილს, მათი საქმიანობის ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად არ ესაჭიროებოდა მოდულში დამუშავებულ სრულ ინფორმაციაზე წვდომა;

— საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამისა და ვებპორტალის მონაცემთა ბაზის სერვერებზე პირდაპირი წვდომის შემთხვევაში, ასევე, ვებპორტალში, მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია არასრულად აღირიცხებოდა. ამასთან, ხსენებულ მონაცემთა ბაზაზე წვდომისთვის უფლებამოსილი თანამშრომლები სარგებლობდნენ საერთო მომხმარებლით;

— საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პაროლის სირთულე და სიმბოლოების რაოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და შესაძლებელი იყო ნებისმიერი, მათ შორის, მარტივი პაროლის დაყენება;

— განმცხადებლების ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ასევე, მათთვის ქვეპროგრამაში ჩართვაზე უარის განმარტების მიზნებისთვის, ტრეფიკინგის სააგენტოს თითოეულ ტერიტორიულ ერთეულს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენებით ეგზავნებოდა განმცხადებლების ერთიანი სიები. შედეგად, ხსენებული სიები ხელმისაწვდომი ხდებოდა სააგენტოს, მათ შორის, ისეთი თანამშრომლისთვისაც, რომელსაც არ ჰქონდა მათში მითითებულ სრულ ინფორმაციაზე დაშვების საჭიროება;

— ვებპორტალში მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის შექმნილი სამსახურებრივი ანგარიშები არ იყო განპიროვნებული ამავე ორგანიზაციების თანამშრომლებზე. ტრეფიკინგის სააგენტოს და სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოსთვის“ არ იყო ცნობილი იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებიც იყენებენ ამ სამედიცინო დაწესებულებებისთვის შექმნილ მომხმარებლებს.

რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ტრეფიკინგის სააგენტოს მიერ სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგების სააგენტოს“ ინფორმაცია მიეწოდა რამდენიმე თანამშრომლის გათავისუფლების თაობაზე. აღნიშნული მიმართვებიდან 2 (ორ) შემთხვევაში სპეციალურად იყო მოთხოვნილი თანამშრომლებზე განპიროვნებული

მომხმარებლების ვებპორტალიდან გამორთვაც, თუმცა უფლებამოსილმა პირმა არ შეასრულა ხსენებული მოთხოვნა, რის შედეგადაც შემოწმების დროისათვის ხსენებული მომხმარებლები კვლავ აქტიური იყო.

ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარების პირად საქმეებში დამუშავებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ბენეფიციარების პირადი საქმის პერსონალური მონაცემების შემცველ მასალებზე დაშვება გააჩნდა თავშესაფრის ბუღალტერსაც, თუმცა მას ხსენებულ ინფორმაციაზე დაშვება კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისთვის არ ესაჭიროება. ასევე გამოიკვეთა, რომ ტრეფიკინგის სააგენტო არ აღრიცხავდა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ საზიარო საქაღალდეში რომელმა თანამშრომელმა (თავშესაფრის უფროსი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, იურისტი, ბუღალტერი) დაამუშავა ბენეფიციარების მონაცემები და რა მოქმედებები განახორციელა მან აღნიშნულ მონაცემებთან მიმართებით.

სამსახურის გადაწყვეტილება: რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოწმების ფარგლებში გამოკვეთილი დარღვევებისთვის ტრეფიკინგის სააგენტოს პასუხისმგებლობა დაეკისრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, ხოლო სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს“ – ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციარების მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შემოწმების ფარგლებში გამოკვეთილი დარღვევებისთვის კი ტრეფიკინგის სააგენტოს დაეკისრა პასუხისმგებლობა ხსენებული კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. ამასთან, სააგენტოს დაევალა ხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

- **ახალგაზრდების მონაცემების დამუშავება**

სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ და შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“

შესწავლა განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, ვინაიდან უნივერსიტეტები ამუშავებენ მრავალი ახალგაზრდის შესახებ დიდი მოცულობის პერსონალურ

მონაცემებს. შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა უნივერსიტეტების მიერ სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემების/პორტალების მეშვეობით სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. აღნიშნული პორტალების მეშვეობით უნივერსიტეტები ამუშავებენ 41000-ზე მეტი სტუდენტის მონაცემებს.

უნივერსიტეტებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ ელექტრონული პორტალების მეშვეობით მონაცემების დამუშავებისას უნივერსიტეტები სრულად არ აღრიცხავდნენ სტუდენტების მონაცემების მიმართ შესრულებულ მოქმედებებს. მაგალითად, რიგ შემთხვევებში არ აღირიცხებოდა უნივერსიტეტების ადმინისტრაციული ან აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტების რა მონაცემების დათვალიერება და ექსპორტი ხდებოდა. ამასთან, პორტალების მონაცემთა ბაზებზე პირდაპირი წვდომის შემთხვევაში ასევე არ აღირიცხებოდა ან არასრულად აღირიცხებოდა მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებები. გარკვეულ შემთხვევებში კი უნივერსიტეტების თანამშრომლები პორტალებზე წვდომის მიზნით სარგებლობდნენ საერთო მომხმარებლითა და პაროლით. ამასთან, უნივერსიტეტების ზოგიერთი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, ბუნდოვანი იყო, თუ რა მიზნით ესაჭიროებოდათ მათ დაშვება სტუდენტის სრულ ან/და გარკვეული სახის მონაცემებზე. აღნიშნული გარემოებები კი, მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირების ფართო წრის გათვალისწინებით, ქმნიდა მონაცემთა კანონდარღვევით დამუშავებისა და მათი არასამსახურებრივი მიზნით გამოყენების რისკებს.

შემოწმებების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ გარკვეული უნივერსიტეტები სტუდენტების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებდნენ შესაბამისი საჭიროების გარეშე და მიზნის არაპროპორციული მოცულობით. მაგალითად, სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საჭიროების გარეშე ამუშავებდა სტუდენტის რეზიდენტობის, მამის სახელისა და პირადობის მოწმობის ნომრის შესახებ ინფორმაციას. ამავე შემოწმებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი ელექტრონულ სისტემებში სტუდენტების რეგისტრაციის ეტაპიდანვე ამუშავებდა მათ შესახებ ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, როგორიცაა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია. ხსენებული ინფორმაციის დამუშავების საჭიროებასთან დაკავშირებით კი უნივერსიტეტი მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი კომპანია აზერბაიჯანელი ეროვნების სტუდენტებს უნიშნავდა სტიპენდიას და, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია მუშავდებოდა სტუდენტის მხრიდან

დაფინანსების მოპოვების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სამსახურმა სტუდენტების ეთნიკური ნიშნის წინასწარი დამუშავება არ მიიჩნია მიზნის მიღწევის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებად, ვინაიდან დაფინანსების თაობაზე სხვადასხვა ინიციატივის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტს შეეძლო სტუდენტებისთვის დაფინანსების მოპოვების პირობებისა და წესის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რის საფუძველზეც ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება დამოკიდებული იქნებოდა სტუდენტების შესაბამის ნებაზე.

შემოწმებების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ უნივერსიტეტს არ ჰქონდა ან ცხადად არ ჰქონდა განსაზღვრული პორტალების მეშვეობით დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადები, რაც მონაცემების არაპროპორციული ვადით შენახვის რისკებს ქმნიდა. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოწმების შედეგად კი დამატებით გამოიკვეთა, რომ პორტალის მეშვეობით სტუდენტების მონაცემების დამუშავების პროცესში უნივერსიტეტი იყენებდა უფლებამოსილი პირის მომსახურებას. თუმცა, მასთან დადებული ხელშეკრულება არ შეიცავდა მკაფიო და ნათელ მითითებებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი პირის ვალდებულებებზე.

სამსახურის გადაწყვეტილება: უნივერსიტეტებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის (მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა) და, იმავდროულად, დაევალათ შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა.

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“

სამსახურმა გეგმურად შეამოწმა სააგენტოს მიერ ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეების პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და შენახვის გზით დამუშავების კანონიერება, ვინაიდან ბანაკის ფარგლებში ყოველწლიურად 14-18 წლის ასაკის ჯამში 2400 (ორი ათას ოთხასი) მონაწილის მონაცემები მუშავდება. ამასთან, ბანაკის მონაწილეები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებასთან თანამშრომლობის შედეგად შეირჩევიან და მათი შერჩევისას უპირატესობა ენიჭებათ, მაგალითად, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, იძულებით გადაადგილებული ოჯახების წევრ, ასევე, სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ

ახალგაზრდებს. აღნიშნული ბანაკის ორგანიზების მიზნით კი ახალგაზრდობის სააგენტო ამუშავებს არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვანი მოცულობის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას).

შემოწმების ფარგლებში სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტომ“ განმარტა, რომ ბანაკის მონაწილეების მონაცემების შემცველი მატერიალური დოკუმენტების შენახვის საჭიროება არსებობდა 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. თუმცა, დოკუმენტაციის შენახვის ადგილზე დათვალიერების გზით გამოიკვეთა, რომ შემოწმების დროისათვის, სავარაუდოდ, სააგენტოს მიერ შენახული იყო ბანაკის მონაწილეთა 2014 წელს შეგროვებული მონაცემები (ერთ-ერთ მუყაოს ყუთში წარწერით „2014 წელი – ბავშვების დოკუმენტაცია. ანაკლია“ განთავსებული იყო 2014 წლის მდგომარეობით არასრულწლოვანი პირების დაბადების მოწმობები და ამავე წელს გაცემული ჯანმრთელობის შესახებ ცნობები). სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტომ“ ვერ დააზუსტა, რომელი წლიდან ინახავდა ბანაკის მონაწილეების ინფორმაციის შემცველ მატერიალურ დოკუმენტაციას, ასევე, ვერ დააზუსტა 5 (ხუთი) წელზე უფრო ძველი ინფორმაციის შენახვის საჭიროება და საფუძველი.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ ბანაკის მონაწილეთა მონაცემების დამუშავებისას სრულყოფილად არ იყო დაცული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ბანაკის შემოწმების დროისათვის, მონაწილეების მონაცემების შემცველი ახალგაზრდობის სააგენტოს გარე მყარი დისკი არ იყო დაცული პაროლით. ამასთან, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში წვდომისთვის პაროლის სირთულე და სიმბოლოების რაოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და მომხმარებელს შეეძლო ნებისმიერი მარტივი პაროლის გამოყენება. ბანაკის მონაწილეების მონაცემების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტებს კი პროგრამების მართვის სპეციალისტი ამუშავებდა „Google“-ის ანგარიშის ელექტრონული ფოსტისა და ამავე ანგარიშის მონაცემთა საცავის გამოყენებით, რომლებიც შექმნილი იყო ამავე თანამშრომლის მიერ და არ წარმოადგენდა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილ სისტემას. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ბანაკის საქმისმწარმოებელი მონაწილეთა მონაცემების დამუშავებისთვის იყენებდა პირად პერსონალურ კომპიუტერს და პირად ელექტრონულ ფოსტას. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლის პირადი სისტემების მეშვეობით პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება რისკების შემცველია, ვინაიდან ხსენებულ სისტემებზე კონტროლი არ გააჩნია მონაცემთა დამმუშავებელს და, შესაბამისად, არ აქვს ეფექტიანი შესაძლებლობა – მიიღოს მონაცემთა რისკების ადეკვატური

ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ამ სისტემებით დამუშავებული მონაცემების დაცვის მიზნით, შესაბამის თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში კი არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ამ სისტემებში მონაცემების შენახვა გაგრძელდება და მათზე წვდომის შესაძლებლობა ექნება არაუფლებამოსილ პირს (მონაცემთა დამმუშავებლის ყოფილ თანამშრომელს).

შემოწმების ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ ბანაკის მონაწილეების მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან“. ამასთან, თავის მხრივ, საჯარო რეესტრს აღნიშნული უფლებამოსილება გადაცემული აქვს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოსთვის“. ხელშეკრულების მხარეების ურთიერთგამომრიცხველი განმარტებების პირობებში შემოწმების ფარგლებში ცალსახად არ დადგინდა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ჰქონდა თუ არა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ თანხმობა მონაცემთა დამუშავების უფლების სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოსთვის“ გადაცემასთან დაკავშირებით.

სამსახურის გადაწყვეტილება: სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. ამასთან, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების/ხარვეზების აღმოფხვრა.

- **სხვა თემატიკის ფარგლებში მონაცემების დამუშავება**

მუნიციპალური პროგრამები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა ქვეპროგრამის განხორციელების ფარგლებში მონაცემთა დამუშავების საკითხებთან დაკავშირებით შეამოწმა რამდენიმე მუნიციპალიტეტის მერია. მათ შორის, შემოწმდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბავშვთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების

ქვეპროგრამის (მუშავდება აუტისტური სპექტრის აშლილობის, ადრეული განვითარების შეფერხების, დაუნის სინდრომის მქონე და ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების მონაცემები), გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის ქვეპროგრამის (მუშავდება სოციალურად დაუცველი და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახის წევრების მონაცემები) და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმატებულ სტუდენტთა წახალისების ქვეპროგრამის (მუშავდება ახალგაზრდების დიდი მოცულობის მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის და ქულის, შშმ პირის სტატუსის შესახებ) განხორციელების ფარგლებში ბენეფიციარების მონაცემების დამუშავების კანონიერება.

რიგ შემთხვევებში გამოიკვეთა მერიების მიერ არაპროპორციული მოცულობით მონაცემთა დამუშავების შემთხვევები. კერძოდ, გურჯაანისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მერიების შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ პროგრამაში ბენეფიციარის სხვა მონაცემებთან ერთად აისახება მისი ფოტოსურათიც, თუმცა ხსენებული მონაცემის დამუშავების საჭიროება დასახელებული ქვეპროგრამების ფარგლებში არ არსებობს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია კი ბენეფიციარების სხვა სახის ინფორმაციასთან ერთად ამუშავებდა მისი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაციასაც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა არ გაიზიარა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ბენეფიციარების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შენახვა საჭიროა სტატისტიკის მიზნებისთვის. სამსახურმა განმარტა, რომ სტატისტიკის წარმოების მიზნით ბენეფიციარების აღნიშნული მონაცემები მერიის მიერ შესაძლოა დამუშავდეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმითაც, კერძოდ, იმგვარად, რომ არ იყოს იდენტიფიცირებადი კონკრეტული სუბიექტების ვინაობა.

გურჯაანის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიების შემოწმებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებული მატერიალური დოკუმენტების შენახვა იგეგმება 10 (ათი) წლის ვადით. თუმცა, ხსენებულმა მერიებმა ვერ დააზუსტეს, კონკრეტულად რა საჭიროებით არის განპირობებული შესაბამისი ქვეპროგრამების ფარგლებში დამუშავებული დოკუმენტაციის ხსენებული ვადით შენახვა. აღსანიშნავია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ ასევე ვერ დააზუსტა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში არსებობს ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებული დოკუმენტაციის შენახვის საჭიროება.

შემოწმებების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიების მიერ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამებში არ იყო

გათვალისწინებული შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რაც ქვეპროგრამების ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებზე შეზღუდავდა იმ პირთა დაშვებას, რომელთაც მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას არ გააჩნიათ ხსენებულ მონაცემებზე წვდომის საჭიროება. კერძოდ, დასახელებული სამივე მუნიციპალიტეტის შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებულ ბენეფიციარის მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე) საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის საშუალებით წვდომა გააჩნდათ არაუფლებამოსილ თანამშრომლებს. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის შემოწმების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარების მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებულ ელექტრონულ მოდულში (ე.წ. „MMS მოდული“) და აღნიშნული მოდულის მონაცემთა ბაზაში სრულყოფილად არ აღირიცხებოდა ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შემოწმების შედეგად ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებულ მონაცემებზე არაუფლებამოსილი პირისთვის წვდომის შესაძლებლობის მიცემა გამოვლინდა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის ე.წ. შუალედური პორტალის (www.middle.etreasury.ge) შემთხვევაშიც. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებულ პორტალში მომხმარებლის ანგარიში და მონაცემებზე დაშვების შესაძლებლობა გააჩნდა გურჯაანის ერთ-ერთ ყოფილ მერს. ამასთან, ამავე მერიაში ქვეპროგრამის ბენეფიციარების მონაცემების შემცველი „MS excel“-ის ფორმატის დოკუმენტების შენახვისთვის გამოყენებულ საერთო საზიარო საქაღალდეზე (ე.წ. „ShareFolder“) მერიის შიდა ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან წვდომის განსახორციელებლად საკმარისი იყო აღნიშნული საქაღალდის მხოლოდ მისამართის (ბმული) ან/და სახელის ცოდნა. შესაბამისად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა თანამშრომელს ჰქონდა ხსენებულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებზე სრული უფლებებით წვდომის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს, მათ შორის, საქაღალდეში არსებული დოკუმენტების დათვალიერების, რედაქტირების, წაშლის, ახალი დოკუმენტების დამატების შესაძლებლობას. ამასთან, აღნიშნულ საქაღალდეში არ იყო შესაძლებელი იმის დადგენა, თუ კონკრეტულად მერიის რომელმა თანამშრომელმა დაამუშავა ელექტრონული ფორმით არსებული ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები და რა მოქმედებები განახორციელა აღნიშნულ მონაცემებთან მიმართებით.

შემოწმებების ფარგლებში გამოვლინდა მატერიალური ფორმით არსებული მონაცემების დამუშავების უსაფრთხოების წესების დარღვევაც. კერძოდ, გურჯაანის მერიის ადგილზე შემოწმების დროისათვის, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაციის ნაწილი ინახებოდა მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი

თანამშრომლის დროებით სამუშაო ოთახში, მუყაოს ყუთში და ამავე თანამშრომლის სამუშაო მაგიდის თაროზე. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ ოთახში, გარდა დასახელებული თანამშრომლისა, საქმიანობდნენ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების და გურჯაანის საკრებულოს თანამშრომლებიც. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში კი ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების მიერ მატერიალური ფორმით წარდგენილი დოკუმენტაცია ინახებოდა ღია კარადებში, რომლებიც არ იკეტებოდა საკეტით, ასევე, დოკუმენტაციის ნაწილი განთავსებული იყო იატაკზე.

სამსახურის გადაწყვეტილება: გურჯაანის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიები ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია – ამავე კანონის 44-ე და 46-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში. იმავდროულად, ხსენებულ დაწესებულებებს დაევალათ დარღვევების აღმოფხვრა.

ერთი-ერთი ფიზიკური პირი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმური ინსპექტირების ფარგლებში შეისწავლა ფიზიკური პირის (შემდგომში – მონაცემთა დამმუშავებელი) მიერ მობილური ტელეფონის ნომრების ბაზის აპლიკაციისა (შემდგომში – აპლიკაცია) და ვებგვერდის მეშვეობით პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და შენახვის კანონიერება. შემოწმების დროისთვის ხსენებულ მონაცემთა ბაზაში არსებული ჩანაწერების რაოდენობა დაახლოებით 81 300 000-ს (ოთხმოცდაერთი მილიონ სამასი ათასს) შეადგენდა.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ აპლიკაცია და ვებგვერდი შექმნა/დაარეგისტრირა ფიზიკურმა პირმა, რომელიც წარმოადგენს მათ მფლობელს და თავადვე ახორციელებს ხსენებული სისტემების ადმინისტრირებას. ამასთან, როგორც აპლიკაციის მფლობელი, იღებს გარკვეულ შემოსავალსაც, მონაცემებს ამუშავებს საქართველოს ტერიტორიაზე და, შესაბამისად, მასზე სრულად ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ამავე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ აპლიკაციისა და ვებგვერდზე შექმნილი პროფილის მეშვეობით მობილური ტელეფონის ნომრების მითითებით (შესაბამისი ძიების ფუნქციონალის გამოყენებით) შესაძლებელი იყო

ამავე ნომერთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათ შორის, სატელეფონო ნომრის მფლობელის სახელისა და გვარის, ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, ფოტოსურათის მოძიება და პირთა საქმიანობის იდენტიფიცირება. ამასთანავე, „Android“ (ანდროიდ) ოპერაციული სისტემის მქონე მობილურ მოწყობილობებზე დაყენებული აპლიკაციის მომხმარებლის მიერ შესაბამისი ფუნქციის ჩართვისას, ნომერთან დაკავშირებული ინფორმაცია, ძიების გარეშე, ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდებოდა შემომავალი და გამავალი ზარების შემთხვევაში.

შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ მონაცემთა ბაზა ფორმირდება აპლიკაციის მომხმარებელთა მიერ საკუთარი პროფილის შექმნისა და მათ მიერ საკუთარ მოწყობილობებში დაცული კონტაქტების (შემდგომში – კონტაქტები) შესახებ ინფორმაციის გაზიარების შედეგად. ამდენად, ხსენებულ მონაცემთა ბაზაში ხვდება არა მხოლოდ აპლიკაციის/ვებგვერდის მომხმარებლების მონაცემები, არამედ სხვა მესამე პირების მონაცემები, რომლებსაც შემხებლობა არ აქვთ აღნიშნულ აპლიკაციასთან/ვებგვერდთან. უშუალოდ ის პირები, რომლებიც არიან აპლიკაციის/ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებლები, თავად ქმნიან პროფილს და, შესაბამისად, აპლიკაციისთვის/ვებგვერდისთვის ხელმისაწვდომს ხდიან თავიანთ მონაცემებს. რაც შეეხება აპლიკაციის მომხმარებლების კონტაქტების მონაცემების დამუშავებას, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ აპლიკაციის/ვებგვერდის მომხმარებლები კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე დათანხმების გზით ეთანხმებიან საკუთარ მობილურ ტელეფონებში არსებული კონტაქტების გაზიარებას და აცხადებენ, რომ მათ მობილურ ტელეფონებში არსებული სატელეფონო ნომრები და მათი მფლობელების შესახებ ინფორმაცია მოპოვებული აქვთ კანონიერად, კერძოდ, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა მათთვის და აქვთ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა პერსონალური ინფორმაციის შენახვის, გამოყენების, დამუშავებისა და მესამე პირისთვის გადაცემის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა ვებგვერდის/აპლიკაციის მეშვეობით მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი. თუმცა, სამსახურმა არ გაიზიარა მონაცემთა დამმუშავებლის განმარტება ვებგვერდის/აპლიკაციის მომხმარებელთა მობილურ მოწყობილობაში დაცული კონტაქტების ხსენებული სამართლებრივი საფუძვლით დამუშავებასთან დაკავშირებით, რადგან სატელეფონო ნომრების მფლობელებმა (კონტაქტებმა) მათი მონაცემები (სატელეფონო ნომერი, სახელი და გვარი) ხელმისაწვდომი გახადეს უშუალოდ იმ პირებისთვის, რომელთა მოწყობილობაშიც არის დაცული ეს

მონაცემები და არა მონაცემთა დამმუშავებლისთვის და მისი აპლიკაციისთვის. ამასთან, შემოწმების ფარგლებში არც მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საფუძვლის არსებობა გამოიკვეთა.

შემოწმების ფარგლებში დამატებით დადგინდა, რომ აპლიკაციაში/ვებგვერდზე პროფილის შექმნის პროცესში მონაცემთა დამმუშავებელი პროფილის შექმნის მსურველი პირების მონაცემებს აგროვებდა უშუალოდ მონაცემთა სუბიექტებისგან. აპლიკაციის/ვებგვერდის დათვალიერების შედეგად კი გამოიკვეთა, რომ პროფილის შექმნის მსურველებს არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია მონაცემთა დამმუშავებლისა და მისი რეგისტრირებული მისამართის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა შემოწმების ფარგლებში სამსახურის უფლებამოსილ პირებს არ მისცა მონაცემთა მიმართ მიღებული უსაფრთხოების ზომების გამოკვლევის მიზნით ელექტრონული სისტემების სრულყოფილად დათვალიერების შესაძლებლობა, რითაც შეფერხდა შემოწმების პროცესი და ვერ მოხდა მონაცემთა დამუშავების კანონიერების (მათ შორის, მონაცემთა მიმართ მიღებული უსაფრთხოების ზომების) სრულყოფილად შესწავლა.

სამსახურის გადაწყვეტილება: მონაცემთა დამმუშავებელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. ამასთანავე, მონაცემთა დამმუშავებელს დაევალა ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

4.3. დავალებები და რეკომენდაციები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გეგმურად შესწავლილი საქმეები და განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესში დარღვეულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – კანონი) დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, სამსახურის მიერ შესწავლილი მონაცემთა დამუშავების პროცესების ხსენებულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამსახურმა გასცა არაერთი რეკომენდაცია და სავალდებულოდ შესასრულებელი დავალება. ამდენად, სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და დავალებების ანალიზის გათვალისწინებით, იმ პირებმა,

რომლებიც ჩართულნი არიან მონაცემების დამუშავების პროცესში ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ საკითხებს:

- მნიშვნელოვანია მონაცემთა დამმუშავებლებმა პერსონალური მონაცემები დაამუშაონ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლ(ები)ის არსებობის პირობებში. შესაბამისი მონაცემთა დამუშავების პროცესის ფარგლებში მონაცემთა შენახვის კანონიერი მიზნებისა და საჭიროების გათვალისწინებით კი, წინასწარ განსაზღვრონ პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები და უზრუნველყონ შესაბამის ვადაზე უფრო ძველი მონაცემების დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა. ამასთან, იმისათვის, რომ დაცულ იქნეს კანონით გათვალისწინებული პრინციპები, მათ შორის, შესაბამისი მიზნის მიღწევის შემდგომ დროულად და გარანტირებულად წაიშალოს არასაჭირო მონაცემები, მნიშვნელოვანია, მონაცემთა მექანიკურად (ხელით) წაშლის ნაცვლად, მონაცემთა დამმუშავებელმა დანერგოს წაშლის ავტომატური მექანიზმ(ებ)ი, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მონაცემების უკანონო დამუშავების/წვდომის პრევენციას;
- დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად რა ვადით არის საჭირო და აუცილებელი დასაქმების მსურველი პირების მონაცემების შენახვა და აღნიშნული ვადის გასვლის და მიზნის მიღწევის შემდგომ უზრუნველყონ მათი წაშლა;
- დასაქმებულ პირთა შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემთა დამუშავების პროცესში საჯარო და კერძო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ კანონის მოთხოვნები და შეაგროვონ მხოლოდ ამ მიზნისთვის დაშვებული და პროპორციული მოცულობის მონაცემები;
- დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანია შეიმუშაონ დასაქმებულთა კუთვნილ კორპორატიულ სატელეფონო ნომრებზე ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურა ისე, რომ იგი დამსაქმებლისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს;
- მონაცემთა დამმუშავებლებმა მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე უნდა შეაფასონ, უზრუნველყოფს თუ არა დამუშავების დაგეგმილი პროცესი მონაცემთა ნამდვილობასა და სიზუსტეს (მაგალითად, მონაცემები მოპოვებული იქნება თუ არა სარწმუნო წყაროდან, განახლდება თუ არა ის გონივრული პერიოდულობით და სხვა);
- როდესაც კონკრეტული სახის ინფორმაციის დამუშავება ემსახურება მხოლოდ სტატისტიკის წარმოებას, აღნიშნული ინფორმაცია უნდა დამუშავდეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, კერძოდ, იმგვარად, რომ არ იყოს იდენტიფიცირებადი კონკრეტული მონაცემთა სუბიექტების ვინაობა;

- ყველა დაწესებულებამ, რომელიც მონაცემებს აგროვებს მონაცემთა სუბიექტისგან, მას უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე (მათ შორის, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი, მონაცემთა დამუშავების მიზანი, სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება და ა.შ.);
- მონაცემების უსაფრთხოდ დამუშავების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ დამუშავების პროცესში გამოყენებულ იქნეს ისეთი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც მონაცემთა დამმუშავებელს შესაძლებლობას მისცემს სათანადო საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს მიიღოს მონაცემთა დაცვის ადეკვატური ორგანიზაციული/ტექნიკური ზომები, იმავდროულად, ისეთიც, რომელიც გამორიცხავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ყოფილი თანამშრომლების (არაუფლებამოსილი პირების) მიერ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანია, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე თითოეულმა პირმა მონაცემებზე წვდომა განახორციელოს მხოლოდ კომპლექსური პაროლით დაცული, მასზე განპიროვნებული მომხმარებლის ანგარიშით. კომპლექსური პაროლით უნდა იყოს დაცული მონაცემების შემცველი ისეთი მოწყობილობებიც, როგორიცაა, მაგალითად, მეხსიერების ბარათი, გარე მყარი დისკი და სხვა;
- მონაცემთა დამმუშავებლებმა უნდა უზრუნველყონ ელექტრონულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული მოქმედებების სრულყოფილად აღრიცხვა და პერიოდული მონიტორინგი, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციის ეფექტიან საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ელექტრონულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული ქმედებები აღირიცხოს ავტომატურად, რადგან ადამიანური რესურსის გამოყენებით, მექანიკურად (ხელით) მოქმედებების აღრიცხვის შემთხვევაში, მაღალია ინფორმაციის არასრულად/არასწორად მითითების ალბათობა;
- პერსონალურ მონაცემებზე დაშვება უნდა შეეზღუდოთ მონაცემთა დამმუშავებლის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას არ აქვთ აღნიშნული წვდომის საჭიროება. მათ შორის, დანერგილი უნდა იყოს სათანადო მექანიზმ(ებ)ი, რაც თანამშრომლებს წვდომას შეუზღუდავს ისეთი სახის მონაცემებზე, რომლებიც გარემოებების ცვლილების პირობებში აღარ არის აქტუალური მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისთვის (მაგალითისთვის, აქტიური სტატუსის არმქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა მონაცემებზე დაშვება შესაძლებელია, აღარ ესაჭიროებოდეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ნაწილს).

ამასთან, მონაცემებზე წვდომა უნდა შეეზღუდოთ ყოფილ თანამშრომლებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე;

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოებებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სათანადო ზომები მონაცემთა ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (მაგალითად, მონაცემების დამუშავებისთვის გათვალისწინებული სივრცე უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ გარეშე პირებს არ გააჩნდეთ წვდომა პერსონალურ მონაცემებზე; მონაცემები შენახულ იქნეს შესაბამისი საკეტით დაცულ კარადებში ან/და სხვა დაცულ ადგილას, სადაც არ იარსებებს არაუფლებამოსილი პირების მხრიდან წვდომის შესაძლებლობა და სხვა);
- უფლებამოსილ პირთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად გაითვალისწინონ უფლებამოსილი პირის ვალდებულებები, ხოლო, თავის მხრივ, უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულება;
- ორგანიზაციებმა მონაცემების საერთაშორისო გადაცემისას უნდა შეაფასონ, მიმღები სახელმწიფო ექცევა თუ არა სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულ სიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მომართონ სამსახურს შესაბამისი ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

II თავი. ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40[16] მუხლის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აკონტროლებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის მიზნით, სამსახური იყენებს კონტროლის ელექტრონულ და კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემებს, რომლითაც მიმდინარე რეჟიმში აქვს ხედვა დაწყებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა და გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა). ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მოეწოდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მატერიალური ასლები – სასამართლოს განჩინებები და პროკურორის დადგენილებები, რომელთაც ადარებს კონტროლის ელექტრონული სისტემებით სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტაციას.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის და გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ფარული საგამოძიებო მოქმედებების გარდა, სხვა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ტარდება კონტროლის ელექტრონული სისტემების საშუალებით. შესაბამისად, სამსახურს სასამართლოს განჩინებებისა და პროკურორის დადგენილებების ელექტრონული ეგზემპლარები არ წარედგინება. ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოები ვალდებულნი არიან, სამსახურში წარადგინონ მოქმედების ჩატარების ნებართვის შესახებ მატერიალური დოკუმენტაცია.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა და გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა) კონტროლის ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უფლებამოსილია, შეაჩეროს დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ:

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისთანავე სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს“

სამსახურისთვის ელექტრონულად არ წარუდგენია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებაზე ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ განჩინების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

— სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მატერიალური ეგზემპლარი წარდგენილ არ იქნა სამსახურში მისი გამოტანიდან 48 საათის განმავლობაში;
— სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის დაწყებიდან 12 საათის ვადაში არ იქნა წარდგენილი გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამოტანილი პროკურორის დადგენილება;
— ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;
— ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.

შეჩერებული ფარული საგამოძიებო მოქმედება გრძელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხარვეზი აღმოიფხვრება. სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“, სასამართლო და პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან, სამსახურში წარადგინონ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი სასამართლოს განჩინების ან პროკურორის დადგენილების მატერიალური და ელექტრონული ეგზემპლარები. სათანადო დოკუმენტაციის მიღებისთანავე სამსახური პროგრამულად დაადასტურებს აღნიშნული დოკუმენტაციის მიღებას და ფარული საგამოძიებო მოქმედება გრძელდება.

ამასთან, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა ნადგურდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ბუნდოვანება-უზუსტობის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლებამოსილება გააჩნია, თუ ხარვეზი უკავშირდება პროკურორის დადგენილებას. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ელექტრონული და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების

რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა ან ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, კანონმდებლობა არ იძლევა მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას, თუმცა, ხარვეზთან დაკავშირებით სამსახური კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

ხარვეზის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი ვალდებულია წერილობით მიმართოს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას და ვალდებულია, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული განჩინების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მიწოდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სამსახურის კონტროლი გულისხმობს იმასაც, რომ შესაბამისი ორგანოები, ვალდებულნი არიან სამსახურს წარუდგინონ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმი, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო, ოქმის შედგენის ადგილი, ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, აგრეთვე, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურების წესსაც. ამავე კოდექსის 143[8] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ამასთან, 143[8] მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოებს ეკისრებათ შესაბამისი ოქმის სამსახურში წარმოდგენის ვალდებულებაც.

დამატებით ასევე ხაზგასასმელია, რომ გამოძიების ფარგლებში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის საქმესთან შესაბამისობას განსაზღვრავს საქმის პროკურორი. ამასთან, აღნიშნული მასალის მოპოვების კანონიერებასა და საქმესთან მის რელევანტურობას აფასებს სასამართლოც, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მის მტკიცებულებად დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში, მასალა განადგურდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

1. ინფორმაციის გამოთხოვა

გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა, სამსახურის კომპეტენცია მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე–138-ე მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზედამხედველობასაც. კერძოდ, აღნიშნული მუხლები უკავშირდება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის გამოთხოვას, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებასა და შინაარსობრივი მონაცემების მოპოვებას.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შესაძლებელია გამოითხოვონ როგორც ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან, ისე სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი ცენტრალური ბანკიდან, სადაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად თავმოყრილია სხვადასხვა ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან კოპირებული ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემთა ბაზები.

აღნიშნულ პროცესზე კონტროლის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრულია, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის შეტყობინების ვალდებულება. კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები ვალდებულნი არიან, სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაცემის თაობაზე, აღნიშნული მონაცემების გადაცემიდან 24 საათში ინფორმაცია წარმოუდგინონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. ამასთან, სამსახურს რეალურ დროში გააჩნია წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ

აქტივობებზე და დამატებითი შეტყობინების გარეშე შეუძლია სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ დამუშავებული მონაცემების იდენტიფიცირება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელებამდე, ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ გაცემული განჩინებების სამსახურში წარმოდგენის ვალდებულება ეკისრებოდათ საერთო სასამართლოებსაც, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ერთმანეთს შედარებოდა სასამართლოებისა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ამის შედეგად მომხდარიყო შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირება. თუმცა, არსებული ვითარებით, მოცემულ საკითხზე კონტროლის განსახორციელებლად ეფექტიან მექანიზმს მხოლოდ პროცესის შემოწმება (ინსპექტირება) წარმოადგენს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, როგორც მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე კონტროლის ფარგლებში, ახორციელებს საგამოძიებო ორგანოების, ასევე, სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ შემოწმებას მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით. მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ პირს სამსახური აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ასევე, შესწავლის პროცესში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სამსახური უფლებამოსილია, გასცეს შესასრულებლად სავალდებულო დავალებები და რეკომენდაციები ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. ამასთან, თუ შემოწმების პროცესში გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ვალდებულია რეაგირებისთვის მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

2. მნიშვნელოვანი მიმართულებები და ტენდენციები

საკითხის სენსიტიურობის და საზოგადოების მხრიდან ინტერესის გათვალისწინებით, სამსახური ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს სათანადო შემოწმებებს, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში სრულყოფილად იქნეს დაცული მონაცემთა სუბიექტების უფლებები. ასევე, სამსახურის შემოწმებები უკავშირდება შესაბამისი პირების მიერ, კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე სათანადო კონტროლის განხორციელებასაც. ამ მიზნით, 2023 წელს სამსახურმა სხვადასხვა უწყებაში და განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარა 8 შემოწმება (ინსპექტირება), რომელიც მოიცავდა როგორც ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლს, ისე

სამართალდამცავი ორგანოებისა და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულების საკითხის შესწავლას.

ჩატარებული შემოწმებების ფარგლებში სამსახურმა დაადგინა სამართალდარღვევის 7 ფაქტი და გასცა შესასრულებლად სავალდებულო 9 დავალება, საიდანაც 3 შესრულდა, ხოლო 6 მათგანის შესრულების ვადა ჯერ არ ამოწურულა.

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მომართა 4-მა მოქალაქემ მათ მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე.

2022 წელს სამსახურმა სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში“ შეისწავლა სააგენტოს მიერ კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების, „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის“ განხორციელებისას მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი. სამსახურმა 2023 წლის გეგმური შემოწმებების ფარგლებში მოიცვა სააგენტოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების – „ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღების“ – განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალების ინიციატორისათვის გადაცემის პროცესში მონაცემთა დამუშავებისა და გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრის ლოგირების მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის რეალურ დროში მიწოდების ვალდებულების შესრულების საკითხები.[7]

ამასთან, საანგარიშო პერიოდში დასრულდა 2022 წელს დაწყებული გეგმური შემოწმება, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა სააგენტოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში მონაცემთა შენახვის ვადა, ასევე, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ გაცემული მონაცემების პროპორციულობის საკითხი.

გეგმური შემოწმება განისაზღვრა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში ფარული საგამოძიებო მოქმედების

[7] შემოწმება მიმდინარეა.

დასრულების შესახებ ოქმების წარმოდგენის ვალდებულების საკითხის შესწავლის მიზნით.

გარდა ამისა, მანდატის ფარგლების სრულყოფილად მოცვისა და კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, გეგმურად იქნა შესწავლილი ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის, შპს „მაგთიკომის“, მიერ სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულების შესრულების საკითხიც.

3. პრეცედენტული გადაწყვეტილებები

- **საქართველოს პროკურატურა**

მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ განმცხადებლის ინფორმირების წესების დარღვევის სავარაუდო შემთხვევა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ ოქმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულების საკითხი.

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოირკვა, რომ მონაცემთა სუბიექტი ითხოვდა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსის გაცნობას, მასალის განადგურების შესახებ ინფორმაციის, მოსამართლის განჩინების და ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული სრული მასალის გადაცემას. განმცხადებლის მოთხოვნა უკავშირდებოდა მისი, როგორც ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის, მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შეტყობინების შესახებ, კოდექსის 143[9] მუხლით დაგენილი წესების დარღვევაზე რეაგირებასაც.

განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებისა და შესწავლის შედეგად შეკრებილი მასალების ერთობლივი ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა ობიექტური მიზეზით ვერ დააკმაყოფილებდა განმცხადებლის მიერ დაფიქსირებულ მოთხოვნას, მის მიმართ განხორციელებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული მასალის გადაცემის თაობაზე, რადგან აღნიშნული სისხლის სამართლის საქმესთან ერთად გადაგზავნილი ჰქონდა სასამართლოში. ამასთან, მითითებული მიზეზის შესახებ გონივრულ ვადაში უზრუნველყო მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის

მიწოდება. შესაბამისად, არ გამოვლინდა საქართველოს პროკურატურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

დამატებით ასევე აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებდა მის მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალების პროპორციულობასა და სისხლის სამართლის საქმესთან შესაბამისობას. განცხადების განხილვით კი დადგინდა, რომ გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მასალის საქმესთან შესაბამისობა განსაზღვრა საქმის პროკურორმა, რომელმაც ისინი, როგორც შესაძლო მტკიცებულება, განათავსა სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხაში. მტკიცებულებების მოპოვების კანონიერება და საქმესთან მათი რელევანტურობა კი შეფასდა სასამართლოს მიერ, როდესაც აღნიშნული დოკუმენტაცია ცნობილ იქნა დასაშვებ მტკიცებულებებად და საქმე გადაეცა არსებითად განხილვისათვის.

- **სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“ – ფარული საგამოძიებო მოქმედებები**

სამსახურმა შეისწავლა სააგენტოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფარული საგამოძიებო მოქმედების – „ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღების“ განხორციელების შედეგად მოპოვებული მასალების ინიციატორისათვის გადაცემის პროცესში მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხი.[8]

შესწავლის შედეგად, სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ასევე წარმოდგენილი განმარტებებისა და ადგილზე შემოწმების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების საერთო შეფასებით დადგინდა, რომ სააგენტოში დანერგილი პროცესები შეესაბამებოდა კანონმდებლობას და ინიციატორებს გადაეცემათ მხოლოდ პროპორციული მოცულობის მონაცემები. შესაბამისად, მოცემული შესწავლის ფარგლებში სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

- **სპეციალური საგამოძიებო სამსახური**

[8] შემოწმების შინაარსი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

როგორც აღინიშნა, სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებები ასევე შეეხებოდა სხვადასხვა პირების ვალდებულებას სამსახურში შეტყობინებებისა თუ დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ამ მიზნით სამსახურმა შეისწავლა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ 2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 25 მაისამდე პერიოდში ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[6] მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულების საკითხი.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანერგილი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შესახებ ოქმების სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან“ დროულად გადატანას და, შესაბამისად, სამსახურში მათ დაუყოვნებლივ წარმოდგენას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ამასთან, დაევალა ისეთი ორგანიზაციული ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შესახებ ოქმების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში დაუყოვნებლივ წარდგენას. ამისათვის კი საჭირო იყო ისეთი პრაქტიკის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც სააგენტოდან შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება არ დაყოვნდება. აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაინერგა შესაბამისი ორგანიზაციული ზომები, გატარდა სათანადო ღონისძიებები და სამსახურის მიერ გაცემული დავალება შესრულებულია.

- **შპს „მაგთიკომი“**

სამსახურის მიერ შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა შპს „მაგთიკომის“ მიერ 2023 წლის 1 იანვრიდან 20 მაისამდე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების – სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ – სამსახურისთვის 24-საათიან ვადაში შეტყობინების საკითხი.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 20 ივნისამდე პერიოდში შპს „მაგთიკომმა“ შესასრულებლად მიიღო სულ 546 (ხუთას ორმოცდარვა) განჩინება, საიდანაც სამართალდამცავ ორგანოებზე ინფორმაცია გასცა 366 (სამას სამოცდაექვსი) განჩინების შემთხვევაში. შესაბამისად, მას სამსახურში ამდენივე შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა.

სამსახურში შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან 20 ივნისამდე შპს „მაგთიკომმა“ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემის შესახებ შეტყობინება წარადგინა 115 (ას თხუთმეტ) შემთხვევაში, რომლებიც შეიცავდა ინფორმაციას 366 (სამას სამოცდაექვსი) განჩინების საფუძველზე გაცემული მონაცემების შესახებ.

შემოწმების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ შპს „მაგთიკომმა“ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით შეასრულა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული, სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება და 24 (ოცდაოთხი)-საათიან ვადაში უზრუნველყოფდა სათანადო ინფორმაციის წარდგენას.

აღსანიშნავია, რომ შესწავლის ფარგლებში წარმოშობილმა გართულებებმა, სასამართლოების მხრიდან ინფორმაციის წარმოუდგენლობამ, არსებითად გააჭიანურა პროცესები, რის გამოც საჭირო გახდა შემოწმების ვადის გაგრძელებაც. ასევე სასამართლოებთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების ფარგლებში, ინფორმაციის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, ხოლო თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებს დაევალათ დამატებითი შიდაორგანიზაციული ზომების მიღების (მათ შორის, მაგალითად, შესაბამისი რეესტრის შექმნის) გზით თითოეულ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიასთან მიმართებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის საფუძველზე ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოთხოვის თაობაზე მიღებული განჩინებების რაოდენობისა და სარეზოლუციო ნაწილის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა ან/და სხვა სათანადო გზით დასახელებული განჩინებების თაობაზე ინფორმაციის იმ ფორმით დამუშავება, რომ მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების შესაბამის პროცესებში შეძლონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა.

ამდენად, ჩატარებულმა შემოწმებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სამსახურის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის მიზნით, აუცილებელია, საერთო სასამართლოები

პროაქტიულად წარადგენდნენ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებულ განჩინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოწმების განხორციელების გარეშე შეუძლებელი იქნება იმის იდენტიფიცირება, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები სრულყოფილად წარმოადგენენ თუ არა ინფორმაციას ან ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობები შეესაბამება თუ არა სასამართლოს მიერ სანქცირებულ პროცესებს.

- **ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში მონაცემთა შენახვა**

სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში ხდება ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების „კოპირება“ ყველა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან, რაც უნდა ინახებოდეს კანონმდებლობით განსაზღვრული 12 თვის ვადით.

გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში თავს იყრის დიდი მოცულობის მონაცემები საქართველოში რეგისტრირებული ყველა აბონენტის შესახებ, 2022 წელს სამსახურმა დაიწყო აღნიშნული საკითხის შემოწმება, მონაცემთა შენახვის ვადის, ასევე, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ გაცემული მონაცემების პროპორციულობის საკითხის შესწავლის მიზნით.[9]

შემოწმების პროცესში წარმოიშვა ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ მონაცემების სააგენტოსთვის გადაცემის შესწავლის საჭიროებაც. აღნიშნული შემოწმების კომპლექსურობის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გამოვლინდა ისეთი საკითხები, რომელთა აღმოფხვრაც ხელს შეუწყობს პროპორციული მოცულობის მონაცემების დამუშავებას და გამორიცხავს სააგენტოსთვის არასაჭირო ინფორმაციის გადაცემასა და, შესაბამისად, მის შენახვას.

შესწავლის შედეგად, შპს „სელფი მობაილი“, სს „სილქნეტი“ სამართალდამრღვევებად იქნენ ცნობილი. შპს „სელფი მობაილს“ დაევალა სააგენტოსთვის გადაეცა მხოლოდ აქტიური მომხმარებლების შესახებ მონაცემები, რათა გამორიცხულიყო მონაცემების უსაფუძვლოდ დამუშავების ფაქტები. ხოლო სს „სილქნეტი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, ვინაიდან მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ ჰქონდა მიღებული სათანადო ტექნიკური ზომები. კომპანიას ასევე დაევალა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს

[9] შემოწმების შინაარსი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას.

სააგენტოსათვის კანონით დადგენილი მონაცემების მიწოდებას და გამორიცხავს შეუსაბამო მონაცემების გამჟღავნებას.

არასაჭირო ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებით, ასევე, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემების დამუშავებას, კომპანიას დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი და დაევალა იმ მონაცემების წაშლა რომელთა მიმართაც გასულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრული შენახვის ვადები.[10]

ზემოაღნიშნული შემოწმების ფარგლებში სააგენტოს მიერ მონაცემების დამუშავების პროცესშიც დადგინდა სამართალდარღვევის ფაქტი და, პროცესის მოწესრიგების მიზნით, გაიცა შესასრულებლად სავალდებულო 4 დავალება.[11]

4. დავალებები და რეკომენდაციები

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს, სამართალდამცავმა ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და დაიცვან მონაცემთა მინიმიზაციისა და პროპორციულობის პრინციპები. ამასთან, ჩატარებული შემოწმებების შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ დამუშავდეს მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომელთა მიმართაც არსებობს ლეგიტიმური მიზანი. გარდა ამისა, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებმაც მხოლოდ ისეთი და იმ ხანდაზმულობის მონაცემები უნდა გადასცენ სააგენტოს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლის განხორციელების მიზნით აუცილებელია, რომ დაცულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულება. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა ჰქონდეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების სამსახურში დაუყოვნებლივ წარმოდგენის შესაძლებლობა.

ჩატარებულმა შემოწმებებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სასამართლოების მიერ გაცემული განჩინებების თაობაზე ინფორმაციის სამსახურში პროაქტიულ რეჟიმში წარმოუდგენლობა, ან არასრულყოფილად წარმოდგენა, მნიშვნელოვან დაბრკოლებას

[10] დავალებების შესრულების ვადა მიმდინარეა.
[11] დავალებების შესრულების ვადა მიმდინარეა.

ქმნის შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტების დროული იდენტიფიცირების თვალსაზრისით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების განჩინებების თაობაზე ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას, გადამოწმდეს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ გაცემული ინფორმაციისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების ლეგიტიმურობა და პროპორციულობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლს. შესაბამისად, 2024 წელსაც აქტიურად გააგრძელებს აღნიშნულ პროცესში გეგმურ ინსპექტირებებს.

სასამართლოს განჩინებები სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ



2023 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლომ განიხილა 859 შუამდგომლობა, რომელთა 87% (744) სრულად დაკმაყოფილდა, 9% (80) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 4% (35) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2022 წელს 1-ელი მარტიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლომ განიხილა 1077 შუამდგომლობა, რომელთა 75% (808) სრულად დაკმაყოფილდა, 16% (175) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 9% (94) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განჩინებები სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ



2023 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 228 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 87% (198), არ დაკმაყოფილდა 4% (8), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 9% (22).

2022 წელს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 288 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 71% (204), არ დაკმაყოფილდა 8% (23), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 21% (61).

სასამართლოს განჩინებები ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ



2023 წელს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ სასამართლომ განიხილა 1022 შუამდგომლობა, რომელთაგან 93% (952) სრულად დაკმაყოფილდა, 6.5% (66) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 0.4% (4) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2022 წელს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ სასამართლომ განიხილა 888 შუამდგომლობა, რომელთაგან 91% (811) სრულად დაკმაყოფილდა, 8% (68) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1% (9) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განჩინებები ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ



2023 წელს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 122 შუამდგომლობა, რომელთა 86% (105) დაკმაყოფილდა, 12% (15) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2% (2) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2022 წელს ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 186 შუამდგომლობა, რომელთა 77% (144) დაკმაყოფილდა, ხოლო 23% (42) არ დაკმაყოფილებულა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში შემოსული პროკურორის დადგენილებები



2023 წელს სამსახურს წარედგინა გადაუდებელი აუცილებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ პროკურორის 126 დადგენილება, რომელთაგან 60% (76) შეეხებოდა ფარულ ვიდეოჩაწერას ან/და აუდიოჩაწერას, ფოტოგადაღებას, 13% (16) შეეხებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას, ხოლო 27% (34) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვას.

2022 წელს შემოსული 150 დადგენილებიდან 66% (99) შეეხებოდა ფარულ ვიდეოჩაწერას ან/და აუდიოჩაწერას, ფოტოგადაღებას, ხოლო 34% (51) შეეხებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენილი სასამართლოს განჩინებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარედგინება სასამართლოს განჩინებები და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. საანგარიშო პერიოდში, კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით სამსახურს წარედგინა სასამართლოს 1519 განჩინება, რომელთაგან პროკურორის შუამდგომლობების 99% დაკმაყოფილდა.

2022 წელს კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით სამსახურს წარედგინა სასამართლოს 3575 განჩინება, რომელთაგან პროკურორის შუამდგომლობების 99% დაკმაყოფილდა.

დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილებები

34

2023 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის

გამოთხოვის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარედგინა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის 34 დადგენილება.

2022 წელს სამსახურს წარედგინა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის 45 დადგენილება.

შეჩერების მექანიზმის გამოყენება



საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 76 შემთხვევაში გამოიყენა, რაც გამოწვეული იყო სასამართლოს განჩინების დაგვიანებით წარმოდგენით (74 შემთხვევა), სასამართლოს მიერ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილების საფუძველზე დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობით (1 შემთხვევა) და ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტით (1 შემთხვევა).[12]

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეჩერების მექანიზმი 176 შემთხვევაში გამოიყენა.

[12] ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში“ წარდგენამდე გადაეცა სამსახურს. შესაბამისად, სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიღებამდე და საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტამდე სამსახურმა შეაჩერა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

სამსახურის მიერ ბუნდოვანება-უზუსტობის შეტყობინების მექანიზმის გამოყენება

6

2023 წელს სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს“ სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე გაცემულ ნებართვებში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობაზე (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) ეცნობა 6-ჯერ.

2022 წელს სამსახურმა ბუნდოვანება-უზუსტობის შეტყობინების მექანიზმი გამოიყენა 14-ჯერ.

ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში დაფიქსირებული აქტივობები

69

2023 წელს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ მონაცემები სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე გაიცა 69-ჯერ.

2022 წელს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ მიერ მონაცემები სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე გაიცა 79-ჯერ.

ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ წარმოდგენილი შეტყობინებები

1756

2023 წელს სამსახურში შეტყობინებები წარმოდგენილ იქნა 11 ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ, რომელთაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, სასამართლოს 1756 განჩინების საფუძველზე გადასცეს ინფორმაცია.

2022 წელს 15-მა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომელთაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სასამართლოს 2405 განჩინების საფუძველზე გადასცეს ინფორმაცია.

მოქალაქეების მომართვიანობა მათ მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე

4

2023 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ჯამში მომართა 4-მა პირმა, რომლებიც სამსახურისგან ითხოვდნენ ინფორმაციას, მიმდინარეობდა თუ არა მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მომართა 93-მა პირმა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების – კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე სასამართლოს განჩინებების რაოდენობა



საანგარიშო პერიოდში სასამართლომ განიხილა 3 შუამდგომლობა ფარული საგამოძიებო მოქმედების – კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე, რომელთაგან 1 დაკმაყოფილდა, ხოლო 2 არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს განჩინებები ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე

1

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ განიხილა 1 შუამდგომლობა ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა.

III თავი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას. 2016 წელს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (GDPR), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წელს. GDPR-მა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი სტანდარტები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში შემოიღო ახალი მნიშვნელოვანი ცნებები და ინსტიტუტები თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით. საქართველოსთვის, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და, შესაბამისად, ახალი დემოკრატიული სტანდარტების იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ეფექტიანი დაცვა, ხოლო მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო აღჭურვილი იქნება სათანადო მექანიზმებითა და უფლებამოსილებებით.

პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი როგორც საკანონმდებლო, ასევე, ფაქტობრივ დონეზე, მნიშვნელოვნად ამაღლდა ბოლო წლების განმავლობაში. თუმცა, ამ სფეროში კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები როგორც კერძო, ასევე, საჯარო სტრუქტურებში. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ და საკანონმდებლო დონეზე ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, პერსონალური მონაცემების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტებისა და გარანტიების გასამყარებლად იქნა შემუშავებული ახალი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც პარლამენტმა 2023 წლის 14 ივნისს მიიღო და მისი ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2024 წლის 1 მარტიდან.

ზემოხსენებული მიზნებისთვის კანონმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს სათანადო მექანიზმებითა და უფლებამოსილებებით აღჭურვას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან მიმართებით. ამ მხრივ გაიზარდა პერსონალური მონაცემების საზედამხედველო ორგანოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, კანონმდებლობა პერსონალურ

მონაცემთა დაცვის სფეროში მეტად განჭვრეტადი გახდა და შემუშავდა ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგრადი და ეფექტიანი მექანიზმები. რაც მთავარია, კანონმდებლობა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას შეუწყო ხელი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ახალი კანონის იმპლემენტაციის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა

ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესების ეფექტურად წარმართვის მიზნით, სამსახურმა შეიმუშავა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის იმპლემენტაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც აერთიანებს სამსახურის ამოცანებს, აქტივობებს, მათი შესრულების ინდიკატორებს, აქტივობებზე პასუხისმგებელ თუ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და ამოცანებისა თუ ცალკეული აქტივობების შესრულების ვადებს.

ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი გასვლითი თუ ადგილობრივი ღონისძიება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, მათ შორის, სექტორული შეხვედრები სხვადასხვა მსხვილ მონაცემთა დამმუშავებელთან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

ახალი კანონის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული შემდეგი აქტივობები და ღონისძიებები:

- **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის საინფორმაციო კამპანია**

2023 წლის მეორე ნახევარში სამსახურმა აქტიურად დაიწყო საინფორმაციო კამპანია ახალი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და საკანონმდებლო სიახლეების საზოგადოების, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ინფორმირების მიზნით. საინფორმაციო კამპანია

მოიცავდა როგორც პირისპირ შეხვედრებს, ასევე, სხვადასხვა აქტივობებს სოციალურ ქსელებსა და მედიაში.

- **„საუბრები ახალ კანონზე“**

ახალ კანონთან დაკავშირებით საზოგადოების და სამიზნე ჯგუფების ინფორმირების მიზნით დაიწყო შეხვედრების ციკლი – „საუბრები ახალ კანონზე“. კამპანიის ფარგლებში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ სამიზნე აუდიტორიასთან დაიგეგმა და შედგა 20 შეხვედრა.

- **კონსულტაციები ახალ კანონზე**

სამსახურმა ახალი კანონით გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ყოველ პარასკევს, სამსახურის ოფისში ინდივიდუალური კონსულტაციების ახალი ფორმატი შესთავაზა. ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალ კანონთან დაკავშირებით კონსულტაციები სამსახურის წარმომადგენლებისგან პირისპირი შეხვედრების ფარგლებში მიიღოს. პროექტი 2024 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

ღონისძიებებზე თავისუფალი დასწრების შესაძლებლობის მიზნით სამსახურის სოციალურ ქსელებში აქტიურად ქვეყნდება ღონისძიებებზე დასასწრები სარეგისტრაციო ბმულები. ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიიღოს ინფორმაცია და სურვილის შემთხვევაში დაესწროს მას.

- **ონლაინ კამპანია „#ახალიკანონი“**

ახალი კანონით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სამსახურმა აქტიური კამპანია დაიწყო სოციალურ ქსელებშიც. კერძოდ, მომზადდა საინფორმაციო ბარათები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდიდა ინფორმაციას კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. საინფორმაციო ილუსტრირებული ბარათები შესაბამისი განმარტებით „ფეისბუქისა“ და „ლინკდინის“ გვერდებზე

ეტაპობრივად თავსდებოდა და მათზე ჯამურმა წვდომამ 56000-მდე მომხმარებელი შეადგინა.

IV თავი. საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროინტეგრაციის გზაზე სამსახურმა აქტიური როლი შეასრულა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად შესასრულებელი ამოცანების განხორციელებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოებისა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იმპლემენტაციის მიზნით. შექმნის დღიდან სამსახურის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება, დარგობრივ საერთაშორისო პლატფორმებში მონაწილეობა წარმოადგენს. სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედი ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუციებთან, საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა არაერთი აქტივობა განახორციელა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ამასთანავე, სამსახური აქტიურად შეისწავლიდა საერთაშორისო დარგობრივ ტენდენციებსა და გამოსცემდა სარეკომენდაციო ხასიათის პუბლიკაციებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მოპოვება და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან თანამშრომლობა

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) დამკვირვებლის სტატუსი მოიპოვა. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო“, როგორც ევროკავშირის ორგანო, შეიქმნა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (“GDPR”) 68-ე მუხლის საფუძველზე და 2018 წლის 25 მაისიდან წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის № 95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სამართალმემკვიდრეს. იგი შედგება ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, ევროკომისიისა და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) წარმომადგენლებისაგან. აგრეთვე, მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ევროკომისია. საბჭო არსებით როლს ასრულებს ევროკავშირის მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა დაცვის

რეგულაციების ეფექტიან უზრუნველყოფასა და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა თანმიმდევრული, ერთგვაროვანი და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, იღებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებებს, აქვეყნებს მოსაზრებებს, კონსულტაციებს უწევს ევროკომისიას ევროკავშირში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნებისმიერ საკითხზე, აგრეთვე, შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებაზე საბჭომ გადაწყვეტილება რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით, მისი რეგლამენტის (“RoP”) 8.1. მუხლის საფუძველზე მიიღო, რომლის თანახმად, საბჭომ შესაძლებელია, შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, მიანიჭოს ევროპის კავშირის არაწევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს დამკვირვებლის სტატუსი, თუკი აღნიშნული შედის საბჭოს ინტერესში და დაკმაყოფილებულია ორი კუმულაციური პირობა: ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო საქმიანობს სრული დამოუკიდებლობის დაცვით; მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო დაფუძნებულია იმ არაწევრ სახელმწიფოში, რომელმაც ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით, აიღო საერთაშორისო ვალდებულება, სრულად შეუსაბამოს მონაცემთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირში მოქმედ მომწესრიგებელ წესებს. ამდენად, 2023 წლის ივნისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი მონაწილეობას იღებს „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ პლენარულ სხდომებში და წარმოადგენს სამსახურს, როგორც საბჭოს საქმიანობის სადამკვირვებლო სტატუსის მქონე მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

სამსახურმა, ასევე, გააღრმავა თანამშრომლობა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციასთან, ბელგიის სამეფოში ზედამხედველის ინსტიტუციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლის გრძელვადიანი მივლინების შესაძლებლობით, რაც წარმოადგენს თანამშრომლობის უპრეცედენტო ფორმატს და გამოხატავს ევროპელი კოლეგების ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიმართ. „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ მონიტორინგს უწევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) დებულებათა გამოყენებას და მისი მთავარი ფუნქციაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებზე ზედამხედველობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს 2024 წლიდან ეყოლება წარმომადგენელი „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ ინსტიტუციაში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის წარმომადგენელს – სამსახურის აპარატის უფროსს, ნიკოლოზ პოპიაშვილს, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ოფისში შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში ევროპის

მონაცემთა დაცვის ზედამხედველის საუკეთესო პრაქტიკას; ასევე, ჩაერთოს „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) პლენარულ შეხვედრებში და გენერალური მდივნის სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში. თანამშრომლობის აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხარდაჭერას, ხელოვნური ინტელექტის შესახებ ევროკავშირის რეგულაციასთან დაკავშირებით კვლევით საქმიანობაში მონაწილეობას და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნული თანამშრომლობის შინაარსის, ასევე, ევროინტეგრაციის გზაზე „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესში მხარდაჭერის თაობაზე, 2023 წლის დეკემბერში, ქ. ბრიუსელში სამსახურის უფროსმა ზედამხედველის ინსტიტუციის გენერალურ მდივანთან, ლეონარდო სერვერა ნავასთან, სამუშაო შეხვდა გამართა.

2. სამსახურის წარმომადგენლობა დარგობრივ საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ქსელებში

საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იღებდა მონაწილეობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის, აგრეთვე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში მოქმედ არაერთ საერთაშორისო ფორუმში. სამსახურის უფროსმა და მისმა პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მიიღეს „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (108-ე კონვენცია) საკონსულტაციო კომიტეტის (“T-PD”) 44-ე და 45-ე პლენარულ სხდომებში. სამსახური მონაწილეობს კომიტეტის საქმიანობაში და, მოთხოვნისამებრ, პერიოდულად წარადგენს ანგარიშს ეროვნული კანონმდებლობისა და საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა, ლელა ჯანაშვილმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენება წარადგინა ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სიმპოზიუმი“ (“Privacy Symposium”), რომელსაც 2023 წელს კა’ფოსკარის უნივერსიტეტი (ვენეცია, იტალია) მასპინძლობდა. კონფერენციის ერთ-ერთი პანელი „ევროპის მონაცემთა დაცვის საბჭოს“ (“EDPB”) არაწევრ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას დაეთმო, რომლის ფარგლებში

სამსახურის უფროსმა საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატზე, ეროვნულ კანონმდებლობასა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობებზე, აგრეთვე, სამსახურის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მქონე ორენოვანი, სამეცნიერო პერიოდული პუბლიკაციის – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სამსახური, როგორც „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ (“European Conference of Data Protection Authorities”), ე. წ. „საგაზაფხულო კონფერენციის“ აკრედიტებული წევრი, მონაწილეობდა 2023 წლის რიგით 31-ე კონფერენციაზეც, რომელსაც უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ სამსახურის უფროსმა მოდერაცია გაუწია პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (“ECHR”) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (“CJEU”) პრაქტიკის შესახებ კონფერენციის დახურული სესიის პანელს.

„საგაზაფხულო კონფერენციის“ ერთ-ერთი პანელი კონფერენციის სამუშაო ჯგუფის წინა მოწვევის საქმიანობის შეჯამებას, 2022 წლის ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრის მიმოხილვასა და კონფერენციის მომდევნო მასპინძელი უწყების წარდგენას დაეთმო. პანელის ფარგლებში მოხსენებით წარსდგა სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას თბილისში გამართული ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრის შინაარსობრივი ნაწილი და ღონისძიების მონაწილეთა კმაყოფილების კვლევის შედეგები გააცნო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის განვითარებაში სამსახურის როლის აღსანიშნავად მოხსენების ფარგლებში წარდგენილ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ ქართული და ინგლისურენოვანი გამოცემები.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შეირჩა „მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ევროპული კონფერენციის“ სამუშაო ჯგუფის (“Steering Group”) ახალი შემადგენლობა. კონფერენციის რეგლამენტის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ჩვეულებრივ წევრთა შერჩევის მიზნით გამოცხადებული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის ახალ შემადგენლობას წარმოადგენენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, ბულგარეთის, გაერთიანებული სამეფოსა და კვიპროსის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები. ამასთანავე, ახლად დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის წევრთა კონსენსუსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის როლს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შეასრულებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრაში“ (“European Case Handling Workshop (ECHW)”), რომელსაც 2023 წელს შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მასპინძლობდა. სამსახურის თანამშრომლებმა ღონისძიების მონაწილეებს გაუზიარეს ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის თაობაზე და გააცნეს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა სხვადასხვა თემატურ საკითხზე.

საანგარიშო პერიოდში უწყება აქტიურად იყო ჩართული „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გლობალური ასამბლეის“ (“GPA”) საქმიანობის ფარგლებშიც. სამსახურის უფროსმა ქ. ჰამილტონში (ბერმუდის კუნძულები) გამართული ასამბლეის 45-ე შეხვედრის დახურული სესიის პანელს – „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ტრენდები: წინ გადადგმული ნაბიჯები“ – გაუწია მოდერაცია. პანელი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში არსებული სიახლეების, გამოწვევებისა და ძირითადი ტენდენციების მიმოხილვას დაეთმო. ამასთანავე, ასამბლეის 45-ე შეხვედრაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, როგორც „მონაცემთა დაცვის შეფასების სამუშაო ჯგუფის“ (“Working Group on Data Protection Metrics”) თანათავმჯდომარემ, სამუშაო ჯგუფის აქტივობების შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა. საგულისხმოა, რომ 2023 წელს, სამსახური გაწევრიანდა ასამბლეის კიდევ ერთ სამუშაო ჯგუფში – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის როლი საერთაშორისო განვითარების დახმარების, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვა“ (“The Role of Personal Data Protection in International Development Aid, International Humanitarian Aid and Crisis Management”). ამასთანავე, აღსანიშნავია, 2023 წელს ასამბლეის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ინტერვიუ,[13] რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალ კანონს, სამსახურის მიერ „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) საქმიანობის დამკვირვებლის სტატუსის მოპოვების საკითხსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა აქტივობას მიემართება.

ასევე, 2023 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ტექნოლოგიაში მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის“ ("International Working Group on Data Protection in Technology"), ე. წ. „ბერლინის სამუშაო ჯგუფის“ მორიგ, 71-ე შეხვედრაში, რომელსაც იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“Garante Per La Protezione Dei Dati Personali”) უმასპინძლა. სამსახურის უფროსმა სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის დარგში

[13] იხ. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასამბლეის“ (“GPA”) ოფიციალური ვებგვერდი.

მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები, საკანონმდებლო ცვლილებები და საერთაშორისო მასშტაბით სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები.

2023 წელს, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, ოთარ ჩახუნაშვილმა გერმანიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისრის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე – "Portals, Registers, Platforms – Digital and Transparent?", პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური წარადგინა. სიმპოზიუმზე მონაცემთა დაცვის ევროპული საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა ინტერნეტსივრცეში პერსონალური ინფორმაციის გავრცელების, ღია მონაცემთა პლატფორმების, რეესტრებისა და პორტალების შესახებ იმსჯელეს. ღონისძიების პარალელურად, უწყებებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომის საკითხებში ბრანდენბურგის კომისართან, დაგმარ ჰარტგემთან შეხვედრა გამართა.

მექსიკის ხალისკოს შტატის „გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტიტუტის" (ITEI), მექსიკის „გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტთან" (INAI) კოორდინაციით, აგრეთვე, პერსონალური მონაცემთა დაცვის და „ეროვნული გამჭვირვალობის სისტემის" ("SNT") „პერსონალური მონაცემთა დაცვის კომისიის" (CPDP) მოწვევით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო ჰიბრიდულ ფორმატში გამართულ კონფერენციაში: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გზა" ("Ruta de la Privacidad"). ღონისძიების ფარგლებში კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, აგრეთვე, კონფერენციის დამსწრე საზოგადოებას წარედგინა მოხსენება საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მანდატსა და არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით სამსახურის გამოცდილებაზე.

სამსახურის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, 2023 წელს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოთა ფრანკოფონიის ასოციაციის" ასამბლეამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წევრის სტატუსი მიანიჭა. ასოციაციაში სამსახურის გაწევრიანების საკითხს, ასოციაციის ასამბლეის მონაწილე ცხრამეტივე წევრმა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაუჭირა მხარი. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ორგანოთა ფრანკოფონიის ასოციაცია" 2007 წელს ფრანგულენოვანი პერსონალური მონაცემების დაცვის ორგანოებისა და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის

წარმომადგენლების მხარდაჭერით შეიქმნა. მის მთავარ მიზანს კი ასოციაციის წევრთა საქმიანობის ეფექტიანობის გაძლიერება, მონაცემთა დაცვის სფეროში ფრანგულენოვანი საექსპერტო პლატფორმის ჩამოყალიბება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასოციაციის წევრთა ინფორმირება მათ საქმიანობის შესახებ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

3. თანამშრომლობა დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა, ლატვიის ელჩთან საქართველოში, ედიტე მედნესთან, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებში ელჩს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციები, სტრუქტურა, საქმიანობა და სამოქმედო სტრატეგიით გათვალისწინებული სამომავლო გეგმები წარედგინა. შეხვედრა დაეთმო საკანონმდებლო სიახლეების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპის კოლეგა საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის განხილვას.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა რუმინეთის ელჩთან საქართველოში, რაზვან როტუნდუსთან, და კონსულ მარიუს პანდელეასთან. შეხვედრაზე სამსახურის უფროსმა უწყების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, აგრეთვე, ინსტიტუციური განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები გააცნო. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე, საქართველოსა და რუმინეთის პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ცვლილებების იმპლემენტაციის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. მათი მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში არაერთი აქტივობა განხორციელდა.

2023 წელს *ევროკავშირის პროექტის, „უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მხარდაჭერა საქართველოში“,* ფარგლებში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, სამართალდამცავ ორგანოებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერებას ემსახურება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს საექსპერტო მისიით ესტუმრა ლატვიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელი იეკატერინა მაცუკა. სამუშაო შეხვედრაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა მოწვეულ ექსპერტს, პროექტის გუნდის

ხელმძღვანელსა და წარმომადგენლებს სამსახურის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაუზიარა, ასევე, ისაუბრა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის საკითხზე და ამ პროცესში ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტის მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის მონაწილეობით, არაერთი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სამუშაო შეხვედრა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან პერსონალურ მონაცემთა ახალი საკანონმდებლო მოწესრიგებით გათვალისწინებული ცვლილებების გაცნობის მიზნით, აგრეთვე, ორდღიანი ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის. აღსანიშნავია, რომ პროექტი მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამებისა და საინფორმაციო მასალების შემუშავებას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის შექმნის მხარდასაჭერად.

აგრეთვე, საგულისხმოა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებისთვის *ევროპის საბჭოს* პროექტის, *„მედიის თავისუფლების, ინტერნეტ მმართველობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაძლიერება საქართველოში“,* ფარგლებში, ჰიბრიდულ რეჟიმში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას“ (“Privacy by design and by default”), რომელსაც ევროპის საბჭოს მოწვეული ექსპერტი, ნანა ბოჭორიშვილი გაუძღვა. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მოწვეული ექსპერტის მიერ შეფასდა „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტის პროექტი, რომელზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაციები იქნა გაზიარებული და ასახული ნორმატიული აქტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

2023 წელს *ევროკავშირისა (“EU”) და გაეროს განვითარების პროგრამის (“UNDP”) — „ადამიანის უფლებები ყველასთვის“* მხარდაჭერით, სამსახურმა ინსტიტუციური განვითარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი აქტივობა განახორციელა. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და ღონისძიებები გაიმართა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის, მათ შორის, არასრულწლოვნებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. ამასთანავე, მიზნობრივი აუდიტორიისთვის შემუშავებულ იქნა საინფორმაციო ბუკლეტები და ილუსტრირებული პლაკატები როგორც ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე, ისევე,

არასრულწლოვნებისათვის. პროგრამის მხარდაჭერითა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტ. კონსტანტინე კორკელიასთან თანამშრომლობით მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული, რომელიც აერთიანებს უახლეს, პრეცედენტულ პრაქტიკას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან დაკავშირებით. პროგრამის ფარგლებში მოწვეული ექსპერტის, ნევენა რუჟიჩის, მონაწილეობით მომზადდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები ინსპექტირების ტექნიკისა და მეთოდების შესახებ, რომელიც ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით იქნა შემუშავებული.

2023 წელი აღსანიშნავია იმითაც, რომ თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენელთა ქსელის პირველი შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანაორგანიზებითა და *პროექტის, „საჯარო სერვისების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საჯარო მმართველობის რეფორმის რეგიონული ფონდის,* ფარგლებში. ღონისძიების პირველი დღე მისასალმებელი სიტყვით გახსნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, ოთარ ჩახუნაშვილმა, და “GIZ”-ის მიერ იმპლემენტირებული “PAR” პროექტის რეგიონულმა მენეჯერმა, დოქტ. ჰრაჩიკ იარმალოიანმა. რეგიონული შეხვედრის პირველი დღის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა იმსჯელეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით გათვალისწინებული სამართლებრივ ინსტიტუტებსა და არსებულ ტენდენციებზე. აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამართულ სემინარში, რომელიც, ასევე, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (“GIZ”) და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის მხარდაჭერით გაიმართა. პროექტის ფარგლებში, 2023 წლის სექტემბერში, ქ. ბრიუსელში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახელწოდებით: „მონაცემთა დაცვა დასავლეთ ბალკანეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში“ ("Data-Protection in the Western Balkans and Eastern Partnership Region"), რომელიც საჯარო „მმართველობის რეგიონული სკოლის“ (ReSPA), ევროკავშირისა და ეთგო-ს „მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების მხარდაჭერის“ პროგრამის (“SIGMA”/“OECD”), „რეგიონული თანამშრომლობის საბჭოს“ (“RCC”) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (“GIZ”) ინიციატივით განხორციელდა. გამართულ შეხვედრებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური წარადგინეს სამსახურის უფროსის აპარატის ხელმძღვანელმა და საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა. მონაწილე ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა განიხილეს მათი საკანონმდებლო მოწესრიგება და არსებული პრაქტიკა. ასევე, შეხვედრები გაიმართა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) თავმჯდომარესთან, „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციის გენერალური მდივანთან, ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელთან, იტალიისა და ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლებთან. ღონისძიების მონაწილეები ასევე წარდგნენ „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) რიგით 84-ე პლენარულ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებაზე, უწყების მანდატსა და საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ პროექტი 2022 წლის ივნისიდან, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურმა სამინისტროს (“BMZ”) ინიცირებით ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში (“EaP”) – აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში.

აგრეთვე, *ევროკავშირის პროექტის, „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“,* ფარგლებში სამსახურის თანამშრომლებს კეთილსინდისიერების თემატიკაზე ტრენინგი ჩაუტარდათ. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების საკითხებში უფროსმა ექსპერტმა, ჰენდრიკუს ვან ბოქსმეერმა და ტრენერმა, ნინო ცუხიშვილმა, კეთილსინდისიერების კონცეფციაზე, მართვის ინსტრუმენტებსა და პოლიტიკის აღსრულების მექანიზმებზე ისაუბრეს.

საგულისხმოა, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურს დონორულ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DAI/USAID) „საჯარო მმართველობის პროგრამა“, რომლის ფარგლებში არაერთი აქტივობაა დაგეგმილი. პროგრამის ფარგლებში შემუშავდება საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდება სასწავლო პროგრამა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გადამზადების მიზნით.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის ეფექტიანი იმპლემენტაციის და ინსტიტუციური განვითარების მიზნით, სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას სხვადასხვა დონორულ ორგანიზაციასთან.

4. დარგობრივი ტენდენციების შესწავლა და კვლევითი საქმიანობა

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე თემატური სახელმძღვანელოების შემუშავება, კვლევების მომზადება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის კვლევა სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

დარგობრივი ტენდენციების შედარებითსამართლებრივი განხილვისა და სადისკუსიო პლატფორმის მხარდაჭერის მიზნით, 1 მარტს სამსახურმა გამართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა და მისი სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“. კონფერენცია ოთხ პანელურ სესიად იყო დაყოფილი, რომლის ფარგლებში ღონისძიების მონაწილეებს სამსახურის, ასევე, სასამართლო კორპუსის, აკადემიური სფეროსა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებმა მოხსენებები წარადგინეს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სამართლებრივი სტატუსის, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების, კორპორაციული მართვისა და სასამართლო პრაქტიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში, სპეციალური სტუმრის სტატუსით, დისტანციურად მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით წარსდგა „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) ინსტიტუციის გენერალური მდივანი ლეონარდო სერვერა ნავასი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ ახალი კანონის იმპლემენტაციის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, 2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გერმანიის სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, სამსახურის ორენოვანი პერიოდული სამეცნიერო გამოცემის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“, სარედაქციო კოლეგიის წევრსა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს, ნორბერტ ბერნსდორფს, უმასპინძლა. ღონისძიებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საგულისხმოა, რომ მოხსენების ფარგლებში პროფ. ნორბერტ ბერნსდორფმა პოზიტიურად აღნიშნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება და მისი შესაბამისობა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციასთან“, აგრეთვე, მონაცემთა დაცვის სამართლის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებთან. მან მზადყოფნა გამოთქვა ახალი კანონის იმპლემენტაციის პროცესის სამეცნიერო-საექსპერტო მხარდაჭერის მიზნით სამსახურთან თანამშრომლობაზე, ამასთან, საკანონმდებლო ნოვაციების შესახებ

სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ სამეცნიერო-სადისკუსიო პლატფორმებში მონაწილეობის თაობაზე.

ხორვატიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან, "Agencija za zaštitu osobnih podataka", არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სამსახურის თანამშრომლებმა, გერმანიისა და ჩრდილოეთ მაკედონიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ხორვატიის საზედამხედველო ორგანოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ სამუშაო შეხვედრებში თემებზე: „ინსპექტირების წარმოება მონაცემთა დაცვის სტანდარტული მოდელის გამოყენებით" და „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება". სამუშაო შეხვედრები დაეთმო მონაწილე ქვეყნების საზედამხედველო ორგანოებს შორის გამოცდილების გაზიარებას, რომელიც დისკუსიისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სამსახური ყოველთვიურად აქვეყნებს საინფორმაციო დაიჯესტს სახელწოდებით, „მსოფლიო პრაქტიკა", რომელიც ასახავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ აქტუალურ სიახლეებს, მსოფლიოს წამყვანი მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საინტერესო პრაქტიკას და მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემატიკაზე სამსახურმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა კვლევა: „არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა – თეორია და პრაქტიკა".[14] ნაშრომის მიზანია ციფრულ გარემოში, და არამხოლოდ, არასრულწლოვანთა უფლებებთან დაკავშირებით საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და ეროვნულ კანონმდებლობასთან მისადაგება.

გამოქვეყნდა სამსახურის ორენოვანი, პერიოდული, სამეცნიერო პუბლიკაციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის" 2023 წლის მეორე გამოცემა,[15] რომელიც საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს 10 წლის იუბილეს მიეძღვნა. გამოცემა აერთიანებს მთავარი რედაქტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის" ("EDPS") ინსტიტუციის გენერალური მდივნის მიმართვებს, ასევე, საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

[14] იხ. ნაშრომის ელექტრონული ვერსია: <https://personaldata.ge/ka/press/post/9629>.

[15] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის" 2023 წლის N2 გამოცემა, <www.journal.pdps.ge>.

საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენელთა, უცხოელ ექსპერტთა და ქართველ პრაქტიკოსთა სამეცნიერო სტატიებს. აღსანიშნავია, რომ “HeinOnline”-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირების მიზნით, ჟურნალი, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, მათ შორის, მისი საგამომცემლო პოლიტიკის, მისიის, აკადემიური სტანდარტების მიხედვით შეფასდა და სამეცნიერო ბაზის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ინტეგრირდა სამეცნიერო ბაზაში.

V თავი. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობა

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის 2023 წელსაც ერთ-ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. საზოგადოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის დამკვიდრება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა, საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა – ამ გამოწვევების დასაძლევად, საქართველოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ატარებდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას, კამპანიასა თუ საგანმანათლებლო აქტივობას, რათა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ მიეწოდებინა ინფორმაცია.

1. ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობები

- **28 იანვარი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე**

მასშტაბური ღონისძიებით აღინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე, რომელიც სხვადასხვა აქტივობებით იყო დატვირთული და მათზე დასწრება ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის დაინტერესებულ პირს შეეძლო.

- — თბილისის ანძა და გიგანტური ბორბალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ლოგოს ფერებში განათდა;
- — სამსახურის უფროსმა, ლელა ჯანაშვილმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში დაფუძნებული იურიდიული კლინიკის, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის პირველი სამეცნიერო ჟურნალის პრეზენტაცია გამართა. დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ვიდეორგოლებიც, რომელთა მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო;
- — ჩვევად ქცევის კულტურაზე ფსიქოლოგმა ზურაბ მხეიძემ საჯარო ლექცია ჩაატარა;
- — მოსწავლეებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისთვის კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე ინტერაქციული ღია გაკვეთილი და სახალისო აქტივობები გაიმართა;
- — მთელი დღის განმავლობაში ღონისძიებაზე მისული სტუმრებისთვის ფუნქციონირებდა საკონსულტაციო სივრცე.

ღონისძიება აქტიურად გაშუქდა მედიასაშუალებების მიერ.

- **კამპანია „#კონფიდენციალურობა შენი უფლებაა“**

2023 წელი სამსახურმა კამპანიით — „#კონფიდენციალურობა შენი უფლებაა“ დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით, მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები.

ნებისმიერ გარემოსა თუ სივრცეში – „#კონფიდენციალურობა შენი უფლებაა“ – აღნიშნული სლოგანის ფარგლებში განათლებაში, მედიცინაში, ციფრული სამყაროში, შრომის ბაზარსა და ფოტოგრაფიაში პერსონალური ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე სფეროს გამორჩეული წარმომადგენლები საუბრობენ.

კამპანიის ფარგლებში პედაგოგი და მეცნიერი გია მურღულია, ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი ქეთევან ასათიანი, ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი გიორგი გურგენიძე და ფოტოგრაფი გოგა ჩანადირი ინდივიდუალურად, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, კონკრეტული მაგალითებითა და რჩევებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობასა და რისკებზე გვიყვებიან და აქცენტს კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობაზე აკეთებენ.

საანგარიშო პერიოდში სოციალურ ქსელებში კამპანიის ვიდეოების ნახვების ჯამური რაოდენობა **255,000** მომხმარებელია. სოციალური ქსელების გარდა ვიდეორგოლების პრეზენტაცია არაერთი მედიასაშუალების სხვადასხვა ეთერში გაშუქდა.

- **კამპანია „#აღმოაჩინე დარღვევა“**

2023 წელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სოციალურ ქსელში კამპანია — „#აღმოაჩინე დარღვევა“ ჩატარდა. კამპანიის ფარგლებში მომზადდა ილუსტრირებული ბარათები, დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ შეემოწმებინათ, რამდენად დაკვირვებულები არიან, რამდენად აქვთ ინფორმაცია მონაცემთა დაცვის საფუძვლების შესახებ და შეუძლიათ თუ არა სათანადო სიტუაციაში დარღვევის იდენტიფიცირება.

კამპანიის – „#აღმოაჩინე დარღვევა“ – ფარგლებში ილუსტრირებულ ბარათებზე ჯამური წვდომა სოციალურ ქსელში **204,388** მომხმარებელს ჰქონდა.

- **საინფორმაციო პლაკატები მუნიციპალურ ტრანსპორტში**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა თბილისის, ბათუმის, გორის, რუსთავისა და თელავის მუნიციპალურ ტრანსპორტში საინფორმაციო პლაკატები განათავსა.

რა არის პერსონალური მონაცემები, რა რისკებს შეიცავს პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, რა შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებები და როგორ უნდა მოხდეს სამსახურთან დაკავშირება – ამ კითხვებზე პასუხების მიღება მოქალაქეებს მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას შეუძლიათ.

პროექტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), თბილისის მერიისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

- **საინფორმაციო ბეჭდური ბროშურები**

მომზადდა ბეჭდური საინფორმაციო ბროშურები – „იყავი ინფორმირებული, დაიცავი შენი პერსონალური ინფორმაცია!“. აღნიშნული მასალები მკითხველს ინფორმაციას აწვდის პერსონალური ინფორმაციისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რა შემთხვევაში და როგორ უნდა მიმართონ სამსახურს.

ბროშურები ითარგმნა ეთნიკური უმცირესობებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ისინი მუდმივად ვრცელდებოდა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების დროს.

ბროშურები ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიბეჭდა.

- **საინფორმაციო ბროშურები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის**

პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობის საკითხებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა არსებული ბროშურები ბრაელის შრიფტით დაამზადა. აღნიშნული მასალები თბილისისა და ბათუმის უსინათლოთა კავშირებს გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ უსინათლოთა კავშირს თბილისსა და რეგიონებში 15 ფილიალი აქვს დაფუძნებული, რომლებშიც 3000-ამდე წევრია გაერთიანებული. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ბრაელის შრიფტით დამზადებულ ბროშურებს საქართველოში არსებულ უსინათლოთა კავშირის ყველა ფილიალს ეტაპობრივად გადასცემს.

- **შემეცნებით-გასართობი გაზეთები თბილისი-ბათუმის რეისზე**

ქ. ბათუმში სამსახურის ახალი წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით თბილისი-ბათუმის მიმართულებით რკინიგზის მატარებლის რამდენიმე რეისზე საინფორმაციო ბროშურები და შემეცნებით-გასართობი გაზეთები განთავსდა.

აღნიშნული ბროშურები მგზავრებს ინფორმაციას სამსახურის საქმიანობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე აწვდიდა, ასევე, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მომზადებულ შემეცნებით-გასართობ გაზეთში სტატიებს, ქვიზებს, სკანვორდებს, კროსვორდებსა და სამსახურის კამპანიებს გასცნობოდნენ. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს რკინიგზის მხარდაჭერით განხორციელდა.

- **საიმიჯო ვიდეორგოლი**

2023 წელს სამსახურმა საზოგადოებას ახალი საიმიჯო ვიდეორგოლი წარუდგინა. ვიდეორგოლი მაყურებელს ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პერსონალური მონაცემების დაცვა და რა შემთხვევაში უნდა მომართონ სამსახურს.

ვიდეორგოლი მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აღმოსავლეთ პარტნიორობის ფონდის პროექტის მხარდაჭერით.

სოციალურ ქსელებში საიმიჯო ვიდეორგოლის ნახვების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში 86000-ია. ვიდეოს მოკლე ვერსია განთავსდა სატელევიზიო ეთერებში, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიის, ტელეკომპანია „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის სარეკლამო ბადეებშიც, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის რადიოების ეთერებში.

- **სტატიების კონკურსი სტუდენტებისთვის**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის სამსახურმა სტატიების კონკურსი თემაზე – „პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება“ – ჩაატარა. კონკურსის მიზანი სტუდენტებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო. გამარჯვებულ სტუდენტებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

- **არასრულწლოვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო აქტივობები**

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვნების პირადი ინფორმაციის დაცვის საკითხებს. წლის განმავლობაში აქტიურად ტარდებოდა საინფორმაციო ტრენინგები და მომზადდა შემეცნებითი ბეჭდური მასალა – პოსტერები, ბლოკნოტები, სტიკერები, სანიშნეები, საშლელები და სასკოლო ცხრილები. ახალგაზრდებზე მორგებული გასართობ-შემეცნებითი მასალები ეხმარება მათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მარტივი და გასაგები ენით მიიღონ ინფორმაცია. მათ შორის, აღსანიშნავია ტრენინგი, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში ჩატარდა. სამსახურის უფროსი - ლელა ჯანაშვილი, პირველი მოადგილე - ოთარ ჩახუნაშვილი, მოადგილე - გელა გელაშვილი, ასევე, სამსახურის სხვა წარმომადგენლები სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას ეწვივნენ და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან შეხვედრა გამართეს.

- **საინფორმაციო პოსტერები საჯარო სკოლებში**

რა არის პერსონალური მონაცემები, როგორ უნდა დაიცვან ბავშვებმა პირადი ინფორმაცია სკოლაში უცნობ თუ ნაცნობ პირებთან ურთიერთობისას ან ინტერნეტის გამოყენებისას და დარღვევის შემთხვევაში როგორ უნდა მომართონ სამსახურს – ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საინფორმაციო/ილუსტრირებული პლაკატები საქართველოში არსებულ ყველა საჯარო სკოლაში განათავსა, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საინფორმაციო პოსტერები 2200-ზე მეტ სკოლაშია განთავსებული. აღნიშნული პროექტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

- **შემეცნებითი აქტივობები სოციალურ ქსელსა და მედიაში**

არასრულწლოვნების პირადი ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე არაერთი გასართობ-შემეცნებითი პოსტი განთავსდა სოციალურ ქსელშიც, მათ შორის, ქვიზები, სკანვორდები, კროსვორდები. ასევე, მომზადდა გადაცემები და სიუჟეტები მედიაში 1 ივნისისთვის – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

- **უნივერსიტეტში საინფორმაციო სტენდის განთავსება**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საინფორმაციო კუთხე გაიხსნა. სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე, მის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსა და სამსახურის საქმიანობის შესახებ მიიღონ ინფორმაცია. სტუდენტებისთვის განკუთვნილ სივრცეში განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ანბანი, რომელსაც ინფორმაციულის გარდა ფუნქციური დატვირთვაც აქვს. შემნახველი სათავსოები ტელეფონის დამტენებითაა აღჭურვილი, რაც სტუდენტებს მობილური ტელეფონების უსაფრთხოდ დამუხტვის საშუალებას აძლევს.

- **ვებგვერდი და სოციალური მედია**

სოციალური მედია (“Facebook”, “linkedin”, “X”, “Youtube”)

სამსახურის სოციალურ ქსელებში მთელი წლის განმავლობაში შეხვედრებისა და სამსახურის სხვა აქტივობების გარდა, სისტემატურად ქვეყნდებოდა სამსახურის გადაწყვეტილებები, „მსოფლიო პრაქტიკა“, განცხადებები და რელიზები. კვარტალურად ქვეყნდებოდა სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები.

სოციალურ ქსელ “Facebook”-ში სამსახურის მიერ 208 პოსტი განთავსდა, აღნიშნულ პოსტებზე მომხმარებლების წვდომის რაოდენობა 1,033,986-ია, გვერდის ვიზიტორების რაოდენობა კი – 161,863. მზარდია სამსახურის ოფიციალური გვერდის გამომწერების რაოდენობა, რომელიც 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, 14,400 შეადგენს. რაც შეეხება სამსახურის ვებგვერდს (www.personaldata.ge; www.pdps.ge)

მისი ვიზიტორების რაოდენობა – 106,000, რაც წინა წელთან შედარებით ასევე გაზრდილი მაჩვენებელია.

მედიასთან ურთიერთობა

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მედიასთან (ტელევიზიებთან, რადიოებთან, პრესასთან, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოებთან) სამსახურის საქმიანობის შესახებ, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინფორმირება, გამჭვირვალობა და მათთან ანგარიშვალდებულება სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიზნით სამსახურის მიერ ორგანიზებულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ მედიის წარმომადგენლები. პროაქტიულად ქვეყნდება ინფორმაცია მაღალი საჯარო ინტერესის საქმეების, სამსახურის საქმიანობის, სხვადასხვა აქტივობებისა და პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესახებ. მედიასაშუალებებსა და საინფორმაციო სააგენტოებში გაიგზავნა 44 პრესრელიზი.

სატელევიზიო საინფორმაციო, დილისა და შუადღის ეთერებში, ასევე, რადიოსა და თემატურ გადაცემებში (ბიზნესი, ეკონომიკა, მედიცინა და ა.შ.) სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 20-ზე მეტ გადაცემაში. გამოქვეყნდა ინტერვიუები ონლაინმედიაში. ჟურნალისტებისთვის საინტერესო საკითხებზე გაკეთდა არაერთი კომენტარი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა 2 საინფორმაციო შეხვედრა (აჭარასა და თბილისში). შეხვედრას სხვადასხვა მედიის 30-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.

2. ჩატარებული ტრენინგები და საჯარო ლექციები

2023 წლის განმავლობაში 62 საჯარო ლექცია და ტრენინგი ჩატარდა საჯარო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, რეგიონების მასშტაბით, რომელშიც მონაწილეობა 3158-მა დაინტერესებულმა პირმა მიიღო.

რეგიონული შეხვედრები გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, მედიასთან, კერძო კომპანიებთან, იმერეთის და კახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების

წარმომადგენლებთან. შეხვედრებში მონაწილეობა ასევე მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების წარმომადგენლებმა. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროთა სისტემაში/დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და საქვეუწყებო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. შეხვედრები გაიმართა ასევე თბილისის მერიის, თბილისის საკრებულოს, რაიონული გამგეობების და მერიის სისტემაში/დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების/არასამეწარმეო იურიდიული პირების და სხვა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სექტორული შეხვედრები გაიმართა კერძო კომპანიებისა და ასოციაციების, მათ შორის, ბიზნეს ასოციაციის და დამსაქმებელთა ასოციაციის, აგრეთვე, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, მედიის, სადაზღვევო, საბანკო-საფინანსო სექტორების წარმომადგენლებისთვის.

VI თავი. სამსახურის ადმინისტრაციული მართვა

1. სამსახურის ორგანიზაციული მართვის საკითხები

1.1. ინსტიტუციური გაძლიერება და სამსახურის შიდაორგანიზაციული სტრუქტურა

2023 წელს სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებები განხორციელდა. სამსახურს დაემატა გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტი, სამსახურის უფროსის აპარატი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და მონიტორინგის დეპარტამენტში შეიქმნა მონიტორინგის სამმართველო.

2023 წლის სექტემბერში სამსახურის ბათუმის წარმომადგენლობამ დაიწყო ფუნქციონირება.

სამსახურში 2023 წლიდან დაიწყო სტაჟირების პროგრამა, რომლის მიზანია პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნის გზით, შესაბამისი პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება.

1.2. კარიერული მართვა და დასაქმებულთა ოდენობა

2022 წლის ბოლოს, კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურში განხორციელებული თანამშრომლების საქმიანობის შეფასების საფუძველზე, 2023 წელს სამსახურის 17 თანამშრომელს მიენიჭა/გაეზარდა მოხელის კლასი. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სახელმწიფო სამსახურში მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფო სპეციალური წოდება ან სამხედრო წოდება, კანონში შესული ცვლილებების თანახმად, 2023 წლის პირველი იანვრიდან მიენიჭათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესაბამისი სახელმწიფო სპეციალური წოდება, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, ზოგიერთ იმ თანამშრომელსაც, რომელთაც სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდება მანამდე არ ჰქონიათ, მიენიჭათ სახელმწიფო სპეციალური წოდება, სამსახურებრივი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს გაიზარდა სამსახურის საშტატო რიცხოვნობა და გახდა 67 (აქედან, 64 – პროფესიული საჯარო მოხელე, ხოლო 3 – თანამდებობის პირი). 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სამსახურში დასაქმებული იყო 47 თანამშრომელი, ხოლო 20 პოზიცია ვაკანტური იყო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამსახურში შტატით დასაქმებულ პირთა ოდენობამ კი 64 შეადგინა (აქედან, 61 – პროფესიული საჯარო მოხელე, ხოლო 3 – თანამდებობის პირი), ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ოდენობა წლის დასაწყისში იყო 9, ხოლო წლის ბოლოს 17 პირი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში:

N	თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია	რაოდენობა	რაოდენობა - ქალი	რაოდენობა - კაცი	ქალი - %	კაცი - %
1	მოქმედი თანამშრომლების სრული რაოდენობა	81	38	43	47%	53%
2	თანამდებობის პირი	3	1	2	33%	67%
3	ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული პროფესიული საჯარო მოხელე	16	10	6	63%	37%
4	არახელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნული პროფესიული საჯარო მოხელე	45	22	23	49%	51%
5	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	17	5	12	29%	71%

2023 წლის განმავლობაში სამსახურის ახალი კადრებით დაკომპლექტების მიზნით განხორციელდა 37 ღია და 5 შიდა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც სამსახურმა 1634 დაინტერესებული პირის განაცხადი მიიღო, რომელთაგან კონკურსის შესაბამისად,

დასაქმდა 32 პირი. ამასთან აღსანიშნავია, რომ 5 შიდა კონკურსის ფარგლებში, სამსახურის 5 თანამშრომელი დაინიშნა მაღალ პოზიციებზე (მათგან 4 ხელმძღვანელი და 1 პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია).

1.3. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული ეთიკა

საანგარიშო პერიოდი მნიშვნელოვანი იყო თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ამაღლების 36 ღონისძიებაში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ლექცია/ტრენინგი ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში და სამსახურის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტებისგან. გარდა პროფესიული მიმართულების ტრენინგებისა, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო მოხელეებისთვის განკუთვნილ ტრენინგებში.

2023 წლის განმავლობაში გაგრძელდა კვალიფიკაციის ამაღლების შიდა კამპანია „თანამშრომლები თანამშრომლებისთვის“ და სამსახურის თანამშრომლები ატარებდნენ ლექცია-ტრენინგებს სხვა დაინტერესებული თანამშრომლებისთვის. ამავე კამპანიის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო ხასიათის ტრენინგები ახალი თანამშრომლებისთვის, რათა მათ გაადვილებოდათ ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სამსახურის თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ისეთ ტრენინგებში, რომლებიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებს, სექსუალური შევიწროების პრევენციას და მასზე რეაგირების მექანიზმებს, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს, ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

დამტკიცებულ იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დისციპლინური წარმოების წესი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, სამსახურში ეთიკის კოდექსი სრულად იყო დაცული და სამსახურში დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ასევე, 2023 წელს სამსახურმა დაამტკიცა პოლიტიკის დოკუმენტები, კერძოდ:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტანდარტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.

მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული თანამშრომელთა ინტერესებზე მორგებული სამუშაო და საშეღავათო პირობები.

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები დაექვემდებარნენ სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის თანამშრომელთა მყარი სოციალური დაცვის გარანტიების შექმნას და დადებითად აისახა თანამშრომელთა მოტივაციასა და სამუშაო კულტურის გაძლიერებაზე.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება

2.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბიუჯეტი და მისი შესრულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მიხედვით, სამსახურის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საჭირო ასიგნებები განისაზღვრება ცალკე კოდით. 2023 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 5 500 000 ლარს. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამსახურს განესაზღვრა 67 საშტატო ერთეული და ტოლფას თანამდებობაზე 66 საჯარო მოხელე დაინიშნა. სამსახურის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად, სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შედის 9 დეპარტამენტი და სამსახურის უფროსის აპარატი. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის საკასო შესრულებამ 5 214 594 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საკასო შესრულების % წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 94,81 %-ს.

N	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება

1	შრომის ანაზღაურება	3 460 000	3 409 025
2	საქონელი და მომსახურება	1 400 000	1 227 035
3	სოციალური უზრუნველყოფა	60 000	40 322
4	სხვა ხარჯები	65 000	50 983
5	არაფინანსური აქტივები	515 000	487 229
	ჯამი	5 500 000	5 214 594

2.2. გაცემული სარგო, დანამატები და ფულადი ჯილდოები

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებზე (მათ შორის, სამსახურის უფროსსა და სამსახურის უფროსის მოადგილეებზე) გაიცა თანამდებობრივი სარგო 2 808 747,03 ლარის ოდენობით, ხოლო წოდებრივი სარგო – 6 657,12 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის თანამშრომლებზე დანამატის სახით გაიცა 396 451,34 ლარი, საიდანაც 106 530,14 ლარი გაცემულ იქნა სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანამატის ფარგლებში; 23 850,93 ლარი — „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო დანამატის ფარგლებში; ხოლო 266 070,27 ლარი – დამატებითი ფუნქციებისა და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის. 2023 წელს სამსახურის თანამშრომლებზე გაიცა ჯილდო 197 169,50 ლარის ოდენობით.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (18 თანამშრომლის) შრომის ანაზღაურების ჯამურმა ოდენობამ საანგარიშო პერიოდში 316 704,23 ლარი შეადგინა.

2.3. სატრანსპორტო საშუალებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბალანსზე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა 6 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. არსებული ავტომობილები სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე, არ იყო საკმარისი ყველა დეპარტამენტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2023 წელს ქ. ბათუმში გაიხსნა სამსახურის ახალი ოფისი. გარდა ამისა, სამსახურის თანამშრომლები ხშირად გადაადგილდებიან რეგიონებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ზრდის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდული 4 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

საანგარიშო პერიოდში 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულმა ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 10 680,17 ლარი, ხოლო საწვავის ხარჯმა – 36 023,44 ლარი.

2.4. სამსახურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება

2023 წელს სამსახურის ორგანიზაციული განვითარების, ინსტიტუციური გაძლიერებისა და მისი სტრატეგიული ამოცანების შესრულების მიზნით, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები და არსებულ საშტატო რიცხოვნობას 17 საკადრო ერთეული დაემატა. აჭარის რეგიონული წარმომადგენლობის შექმნისა და ახალი სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტების, აგრეთვე, სამსახურის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სრულფასოვნად და შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის, თანამშრომელთა შესაბამისი სამუშაო სივრცით უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის 2 სტრუქტურული ერთეული განთავსდა იჯარით აღებულ კერძო საკუთრებაში (9 თვის იჯარის ხარჯმა შეადგინა 50 682,21 ლარი).

2022 წლის ბოლოს სამსახურის რეგიონალური გაფართოების მიზნით სარგებლობაში გადმოცემული ქ. ბათუმში, ბაქოს ქუჩაზე მდებარე შენობის კეთილმოწყობისა და საჭირო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაიხარჯა 148 192,80 ლარი.

2023 წლის მდგომარეობით სამსახურის ბალანსზე ირიცხებოდა 2 უძრავი ქონება.

N	უძრავი ქონების დასახელება, მისამართი	უფლების სახე	მიზანი
1	თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქ. N7	სახელმწიფო საკუთრება, სარგებლობის უფლებით	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია სამსახურის 7 დეპარტამენტი (სტრუქტურული ერთეული)
2	ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. N48	აჭარის ა/რ საკუთრება. სარგებლობის უფლებით მოთხოვნამდე	ადმინისტრაციული შენობა, სადაც განთავსებულია დასავლეთის წარმომადგენლობა

2.5. მივლინებები და სხვა ხარჯები

საანგარიშო პერიოდში მივლინების ხარჯმა ქვეყნის შიგნით შეადგინა 25 525,29 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ – 131 596,36 ლარი.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სატელეკომუნიკაციო ხარჯებმა შეადგინა 15 019,29 ლარი.

ასევე, 2023 წელს სამსახურის მიერ რეკლამის განთავსების ხარჯმა შეადგინა 70 138,83 ლარი. აღსანიშნავია, რომ რეკლამას ექვემდებარებოდა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

2.6. დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემების დაცვის სამსახურმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების აღმოსავლეთ პარტნიორობის ფონდის (GIZ) მხარდაჭერით, ასევე, ევროკავშირის (“EU”) და გაეროს განვითარების პროგრამის (“UNDP”) ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ფარგლებში განახორციელა სხვადასხვა აქტივობები პერსონალური მონაცემების

დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. დონორული მხარდაჭრით დაიბეჭდა საინფორმაციო პოსტერები და განთავსდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის გამოიცა საინფორმაციო ცნობარები და ბუკლეტები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის თაობაზე აქტიური სარეკლამო კამპანიის წარმოების მიზნით, მომზადდა გრაფიკული ვიდეო რგოლი, რომელიც შემდგომ განთავსდა როგორც სოციალურ ქსელში, ისე სატელევიზიო ეთერში.

დანართი №1: სტატისტიკური მონაცემი

1. მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის სტატისტიკა

დონორი ორგანიზაცია	დახმარების ფორმა	დახმარების შინაარსი	ღირებულება	სტატუსი
UNDP - ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები ყველასთვის“	სარეკლამო მასალები	ტრიპლეტები, ბუკლეტები 3 ენაზე (ქართული, სომხური აზერბაიჯანული)	16 989,34	დასრულებული
GIZ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების აღმოსავლეთ პარტნიორობის ფონდი	ძირითადი აქტივი	გრაფიკული ვიდეო რგოლი	6 449	დასრულებული

შემოსული განცხადებების/შეტყობინებების რაოდენობა



საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მიიღო ჯამში 526 განცხადება/შეტყობინება, მათგან 83% (436) იყო განცხადება, ხოლო 17% (90) – შეტყობინება. შემოსულ განცხადებათა/ შეტყობინებათა 66% (350) შეეხებოდა კერძო დაწესებულებების/ფიზიკური პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას, 23% (120) – საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავებას, ხოლო 11% (56) – სამართალდამცავ ორგანოებს.

ხაზგასასმელია, რომ 2022 წელთან შედარებით გაზრდილია შემოსული განცხადებების/შეტყობინებების რაოდენობა. კერძოდ, 2022 წელს სამსახურმა მიიღო 447 განცხადება/შეტყობინება, მათგან 64% (287) იყო განცხადება, ხოლო 36% (160) – შეტყობინება. შემოსულ განცხადებათა/შეტყობინებათა 62% (277) შეეხებოდა კერძო დაწესებულებების/ფიზიკური პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას, 21% (93) შეეხებოდა საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავებას, ხოლო 17% (77) – სამართალდამცავ ორგანოებს.

შემოწმება/ინსპექტირება



სამსახურმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების 192 შემოწმება (ინსპექტირება), რომელთაგან 59% (114 შემოწმება) იყო არაგეგმური, ხოლო 41% (78 შემოწმება) – გეგმური.

ჩატარებული 192 შემოწმებიდან (ინსპექტირებიდან) 54% (103) შეეხებოდა კერძო სექტორის, 32% (62) საჯარო დაწესებულებების, ხოლო 14% (27) სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებას.

2022 წელს ჩატარებული შემოწმების/ინსპექტირების რაოდენობა შეადგენდა 149-ს, შესაბამისად, 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია, კერძოდ, 68% (101 შემოწმება) იყო არაგეგმური, ხოლო 32% (48 შემოწმება) – გეგმური. ჩატარებული 149 შემოწმებიდან (ინსპექტირებიდან) 54% (81) შეეხებოდა კერძო სექტორის, 28% (42) – საჯარო დაწესებულებების, ხოლო 18% (26) – სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



საანგარიშო პერიოდში სამსახურმა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 267 ფაქტი, მათგან 39 ფაქტი გამოვლენილ იქნა 2022 წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული, ხოლო 228 ფაქტი – საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმების (ინსპექტირების) საფუძველზე. 63% (168) შემთხვევა შეეხებოდა კერძო სექტორში, 26% (70) – საჯარო სექტორში, ხოლო 11% (29) – სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებას.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით გაიზარდა გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა. 2022 წელს სამსახურმა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 157 ფაქტი დაადგინა, ხოლო სამსახურის მიერ გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 64% (101) შეეხებოდა კერძო სექტორში, 27% (42) – საჯარო სექტორში, ხოლო 9% (14) – სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებას.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოვლენილი 267 სამართალდარღვევიდან 33% (89) შეეხებოდა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობას, 18% (49) მონაცემთა

დამუშავების პრინციპების დარღვევას, 15% (39) ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევას.

რაც შეეხება 2022 წელს, სამსახურის მიერ გამოვლენილი 157 სამართალდარღვევიდან 27% (43) შეეხებოდა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობას, 24% (37) – მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევას, 15% (23) – მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების დარღვევას.

ადმინისტრაციული სახდელები



საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შემოწმების (ინსპექტირების) შედეგად 225 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი. გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთაგან 123 პირს (55%) ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა, ხოლო 102 პირს (45%) – გაფრთხილება. სახდელის სახით დაკისრებული 123 ჯარიმიდან 19 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 104 – საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). დაკისრებული 102 გაფრთხილებიდან, 15 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 87 – საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).სამსახურის მიერ ერთ-ერთი

დამმუშავებელი გათავისუფლდა ადმინისტრაციული სახდელისაგან და მიეცა ზეპირსიტყვიერი შენიშვნა.

დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელებიდან 65% (146) მიემართებოდა კერძო დაწესებულებებს, 27% (60) – საჯარო დაწესებულებებს, ხოლო 8% (19) – სამართალდამცავ ორგანოებს.

2022 წელთან შედარებით გაიზარდა გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელების რაოდენობა. კერძოდ, 2022 წელს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 123 პირს. გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთაგან 86 პირს (70%) ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა, ხოლო 37 პირს (30%) – გაფრთხილება.

დავალებები და რეკომენდაციები



გარდა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა, აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო დავალებები და რეკომენდაციები. სამსახურმა საჯარო დაწესებულებებისა და კერძო ორგანიზაციებისთვის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გასცა 472 დავალება და რეკომენდაცია. გაცემული 459 დავალებიდან 63 მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 396 – საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). გაცემული 13 რეკომენდაციიდან 1

მიემართებოდა 2022 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებას (ინსპექტირებას), ხოლო 12 – 2023 წელს დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). გაცემული 472 დავალებიდან და რეკომენდაციიდან 48% (226) მიემართებოდა კერძო დაწესებულებას, 41% (196) – საჯარო დაწესებულებას, ხოლო 11% (50) – სამართალდამცავ ორგანოს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით გაიზარდა გაცემული დავალებებისა და რეკომენდაციების მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წელს სამსახურმა გასცა 217 დავალება და 5 რეკომენდაცია.

სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი



აღსანიშნავია, რომ გაცემული 459 დავალებიდან დავალებათა 52% (239) სრულად შესრულდა, 13%-თან (62) დაკავშირებით დავალების შესრულების ვადა ამოწურული არ არის, 20% (90) გასაჩივრებულია, ხოლო 15% (68) შესრულების პროცესშია.

ხაზგასასმელია, რომ 2022 წელთან შედარებით გაიზარდა სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წელს შესრულდა გაცემული დავალებების 40% (87).

სამსახურის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებელი სექტორების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ კერძო დაწესებულებების მიმართ გაცემული 221 დავალებიდან შესრულდა 48% (107), შესრულების ვადა ამოწურული არ არის გაცემული დავალებების 13%-ისთვის (29), გასაჩივრებულია გაცემულ დავალებათა 18% (39), ხოლო შესრულების პროცესშია 21% (46).

საჯარო დაწესებულებების მიმართ გაცემული 189 დავალებიდან შესრულდა 49% (92), შესრულების ვადა ამოწურული არ არის გაცემული დავალებების 14%-ისთვის (27), გასაჩივრებულია გაცემულ დავალებათა 26% (50), ხოლო შესრულების პროცესშია 11% (20).

სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაცემული 49 დავალებიდან შესრულდა 82% (40), შესრულების ვადა ამოწურული არ არის გაცემული დავალებების 12%-ისთვის (6), გასაჩივრებულია გაცემულ დავალებათა 2% (1), ხოლო შესრულების პროცესშია 4% (2).

2. სტატისტიკური მონაცემი შესწავლის თემატიკის მიხედვით

- **ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა საკუთარ მონაცემებზე**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა სხვადასხვა უწყების მიერ ფიზიკური პირის ინფორმირების კანონიერების 91 (ოთხმოცდათერთმეტი) შემთხვევა, რომელთაგან 17 (ჩვიდმეტი) განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, 5 (ხუთი) არაგეგმურად, ხოლო 69 (სამოცდაცხრა) განცხადების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 36 (ოცდათექვსმეტი) პირს. სანქციის სახით 17 (ჩვიდმეტი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 19 (ცხრამეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 73 (სამოცდაცამეტი) დავალება და 1 (ერთი) რეკომენდაცია.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა სხვადასხვა უწყების მიერ ფიზიკური პირის ინფორმირების კანონიერების 41 (ორმოცდაერთი) შემთხვევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 21 (ოცდაერთი) პირს. სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 24 (ოცდაოთხი) დავალება.







- **არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების 34 (ოცდათოთხმეტი) შემთხვევა, რომელთაგან 20 (ოცი) განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, 6 (ექვსი) – არაგეგმურად, ხოლო 8 (რვა) – შემოსული განცხადების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 24 (ოცდაოთხ) პირს. სანქციის სახით 10 (ათი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 14 (თოთხმეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა 3 (სამი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 77 (სამოცდაჩვიდმეტი) დავალება.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების 39 (ოცდაცხრამეტი) შემთხვევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 19 (ცხრამეტი) პირს. სამსახურმა გასცა 2 (ორი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 44 (ორმოცდაოთხი) დავალება.


შემოწმება/ინსპექტირება
საერთო რაოდენობა
34
განცხადება
8
არაგეგმური
6
გეგმური
20


გაცემული დავალებები და რეკომენდაციები
საერთო რაოდენობა
80
დავალება
77
რეკომენდაცია
3



- **პერსონალური მონაცემების დაცვა შრომით ურთიერთობებში**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) შემთხვევა, რომელთაგან 24 (ოცდაოთხი) განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, 6 (ექვსი) – არაგეგმურად, ხოლო 27 (ოცდაშვიდი) – მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 26 (ოცდაექვსი) პირს. სანქციის სახით 6 (ექვსი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 20 (ოცი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა 7 (შვიდი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 74 (სამოცდათოთხმეტი) დავალება.

2022 წელთან შედარებით გაიზარდა შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესწავლის მაჩვენებელი. კერძოდ, 2022

წელს სამსახურმა შეისწავლა ჯამში 18 შემთხვევა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 14 (თოთხმეტი) პირს. ასევე, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 27 (ოცდაშვიდი) დავალება.







- **ვიდეოთვალთვალი**

2023 წელს სამსახურმა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო დაწესებულებებში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის 65 (სამოცდახუთი) შემთხვევა შეისწავლა. მათგან 18 (თვრამეტი) განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, 21 – არაგეგმურად, ხოლო 26 – განცხადებების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 42 პირს. სანქციის სახით 25 (ოცდახუთი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 17 (ჩვიდმეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა 4 (ოთხი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 109 (ასცხრა) დავალება.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ვიდეოთვალთვალის 46 (ორმოცდაექვსი) შემთხვევა შეისწავლა, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 28 (ოცდარვა) პირს. გაცემული დავალებების რაოდენობა იყო 61 (სამოცდაერთი), ხოლო რეკომენდაციების – 4 (ოთხი).


შემოწმება/ინსპექტირება
საერთო რაოდენობა
65
განცხადება
26
არაგეგმური
21
გეგმური
18

გაცემული დავალებები და რეკომენდაციები
საერთო რაოდენობა
113
დავალება
109
რეკომენდაცია
4



- **ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დამუშავების 15 (თხუთმეტი) შემთხვევა, რომელთაგან 7 (შვიდი) განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, 4 – არაგეგმურად, ხოლო 4 – მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 18 (თვრამეტი) პირს. სანქციის სახით 4 (ოთხი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 14 (თოთხმეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 35 (ოცდათხუთმეტი) დავალება და 1 (ერთი) რეკომენდაცია.

2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა ჯანდაცვის სექტორში მონაცემთა დამუშავების 12 (თორმეტი) შემთხვევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 9 (ცხრა) პირს. სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 22 (ოცდაორი) დავალება.


შემოწმება/ინსპექტირება
საერთო რაოდენობა
15
განცხადება
4
არაგეგმური
4
გეგმური
7


გაცემული დავალებები და რეკომენდაციები
საერთო რაოდენობა
36
დავალება
35
რეკომენდაცია
1



- **ფინანსურ სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავება**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა საფინანსო სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების 41 (ორმოცდაერთი) შემთხვევა, რომელთაგან 5 (ხუთი) განხორციელდა სამსახურის ინიციატივით, 9 – არაგეგმურად, ხოლო 32 – მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 18 (თვრამეტი) პირს. სანქციის სახით 2 (ორი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 16 (თექვსმეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელებთან ერთად, კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 24 (ოცდაოთხი) დავალება.

2022 წელთან შედარებით, გაიზარდა საფინანსო სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წელს სამსახურმა შეისწავლა საფინანსო სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების 17 (ჩვიდმეტი) შემთხვევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

დაეკისრა 9 (ცხრა) პირს. სამსახურმა გასცა შესასრულებლად სავალდებულო 11 (თერთმეტი) დავალება.







- **მონაცემთა უსაფრთხოება**

2023 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 90 (ოთხმოცდაათი) შემთხვევა, რომელთაგან 44 (ორმოცდაოთხი) განხორციელდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინიციატივით, 19 – არაგეგმურად, ხოლო 27 – მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 84 (ოთხმოცდაოთხი) პირს. სანქციის სახით 30 (ოცდაათი) პირის მიმართ გამოყენებულ იქნა გაფრთხილება, ხოლო 54 (ორმოცდათოთხმეტი) პირის მიმართ – ჯარიმა. ადმინისტრაციული სახდელების პარალელურად, საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესების გაუმჯობესებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა გასცა 4 (ოთხი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 155 (ას ორმოცდათხუთმეტი) დავალება.

გასულ წელთან შედარებით, მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებზე შესწავლილი შემთხვევების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. კერძოდ, 2022 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეისწავლა მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 47 (ორმოცდაშვიდი) შემთხვევა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეების საფუძველზე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 39 (ოცდაცხრამეტი) პირს. სამსახურმა გასცა 6 (ექვსი) რეკომენდაცია და შესასრულებლად სავალდებულო 105 (ას ხუთი) დავალება.




გაცემული დავალებები და რეკომენდაციები
საერთო რაოდენობა
159
დავალება
155
რეკომენდაცია
4


გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები
პირთა ოდენობის მიხედვით
საერთო რაოდენობა
84
ჯარიმა
54
გაფრთხილება
30



3. სხვა სტატისტიკური მონაცემი

გაცემული კონსულტაციების რაოდენობა

5106

სამსახურმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონიერების კონტროლსა და სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, ჯამში, 5106 კონსულტაცია გასცა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ჯამში 3292 კონსულტაცია გასცა.

სამსახურის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების მაჩვენებელი



აღსანიშნავია, რომ 338 შემაჯამებელი გადაწყვეტილებიდან გასაჩივრებულია 17% (59).

2022 წელს 242 შემაჯამებელი გადაწყვეტილებიდან გასაჩივრდა 17% (41).

სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მაჩვენებელი სექტორების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში გასაჩივრებული 59 გადაწყვეტილებიდან 59% (35) შეეხებოდა კერძო დაწესებულებების, 4% (2) – სამართალდამცავი ორგანოების, ხოლო 37% (22) – საჯარო დაწესებულების მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას.

2022 წელს გასაჩივრებული 41 გადაწყვეტილებიდან 41% (17) შეეხებოდა კერძო დაწესებულებების, 34% (14) – სამართალდამცავი ორგანოების, ხოლო 25% (10) – საჯარო დაწესებულების მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები

3158

სამსახური აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახური სისტემატურად ატარებს საჯარო ლექციებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს კერძო და საჯარო სექტორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა 62 შეხვედრა 3158 დამსწრე პირთან, რომელთა ნაწილი წარმოადგენდა როგორც მონაცემთა სუბიექტს, ისე მონაცემთა დამმუშავებელს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით, გაზრდილია ჩატარებული ტრენინგების მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 წელს სამსახურმა ჩაატარა 36 შეხვედრა 1007 დამსწრე პირთან.

საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა



2023 წელს ჩატარებული 62 შეხვედრიდან 90% (56) წარმოადგენდა ტრენინგს, ხოლო 10% (6) — რეგიონულ შეხვედრას.

2022 წელს ჩატარებული 36 შეხვედრიდან 78% (28) წარმოადგენდა ტრენინგს, ხოლო 22% (8) — რეგიონულ შეხვედრას.

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა



2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოება დასრულდა 20 განაცხადთან დაკავშირებით და ყველა მათგანზე გაიცა მონაცემთა გადაცემის შესახებ ნებართვა, ხოლო 2 განაცხადთან დაკავშირებით სამსახურს განხილვა არ დაუსრულებია.

2022 წელს წარმოება დასრულდა 3 განაცხადთან დაკავშირებით და ყველა მათგანზე გაიცა მონაცემთა გადაცემის შესახებ ნებართვა, ხოლო 1 განაცხადთან დაკავშირებით სამსახურს განხილვა არ დაუსრულებია.

საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

12

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელით დასადები 12 საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, რომლის ფარგლებში სამსახურის მიერ რეკომენდაცია არ გაცემულა.

სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში სამსახური შეისწავლის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების პროექტს, ხელშემკვრელ

სახელმწიფოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებასა და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რის საფუძველზეც, გაიცემა პროექტში ცვლილებების შეტანის რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შესწავლილი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტებთან მიმართებით რეკომენდაცია არ გაცემულა.

2022 წელს სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სახელით დასადები 19 საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზა, რომელთაგან 6 შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია.

აქტების სახეები, რომლებზეც სამსახურმა ჩაატარა სამართლებრივი ექსპერტიზა



პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, სხვა უწყებების მომართვის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ატარებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეაფასა 141 კანონპროექტის, მინისტრის ბრძანების 21 პროექტის, მთავრობის დადგენილების 5 პროექტისა და სხვა უწყების ხელმძღვანელი პირის ბრძანების 3 პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

2022 წელს სამსახურმა შეაფასა 111 კანონპროექტის, მინისტრის ბრძანების 10 პროექტის, მთავრობის დადგენილების 10 პროექტისა და სხვა უწყების ხელმძღვანელი პირის ბრძანების 1 პროექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

უწყებები, რომლებმაც სამსახურს მომართეს სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარების მიზნით



საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული მოთხოვნების რაოდენობა



2022 წლის 11 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის 116 მოთხოვნა, რომელთაგან 86 დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო 30 არ დაკმაყოფილდა, რადგან:

- 16 შემთხვევაში მოთხოვნილ ინფორმაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არ აღრიცხავდა;
- 14 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ იყო დაცული.[16]

სამსახურის მიერ მიღებული საჩივრები სამსახურის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

20

„პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანების თანახმად, სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები შეიძლება, გასაჩივრდეს სამსახურში ან სასამართლოში. საანგარიშო პერიოდში სამსახურში გასაჩივრდა სტრუქტურული

[16] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის ანგარიშის შესახებ, <www.matsne.gov.ge>.

ერთეულის ხელმძღვანელის 20 გადაწყვეტილება. ოცივე შემთხვევაში სამსახურმა უცვლელად დატოვა სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2022 წელს სამსახურში გასაჩივრდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 10 გადაწყვეტილება.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

11

2023 წელს სამსახურის საქმიანობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით სამსახურმა შეიმუშავა 11 კანონქვემდებარე აქტი.

2022 წელსაც სამსახურმა შეიმუშავა11 კანონქვემდებარე აქტი.

დანართი №2: საჯარო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელისა და გამოშვების წლების მითითებით:

N	სატრანსპორტო საშუალების დასახელება	გამოშვების წელი
1	*KIAOPTIMA; LG917GL*	*2014*
2	*HOND ACRV; OO781 GG*	*2013*
3	*TOYOTAC AMRY; PP643FF*	*2019*
4	*HYUNDAIAC CENT WW825UW*	*2021*
5	*HYUNDAIAC CENT WW816UW*	*2021*
6	*HYUNDAIAC CENT WW817UW*	*2021*
7	*FIAT TIPO BB846YY*	*2022*

8	HYUNDAI ELANTRA GG293GR	2023
9	HYUNDAI ELANTRA; GG291GR;	2023
10	MITSUBISHI L200; MI554MM	2023

2023 წელს განხორციელდა 1 102 500 ლარის სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის: სამსახურის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის 1 042 182 ლარის სახელმწიფო შესყიდვა, წარმომადგენლობითი ხარჯი – 60 318 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ოდენობა შეადგენდა 657 500 ლარს; სამსახურის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის განხორციელდა 607 450 ლარის სახელმწიფო შესყიდვა, წარმომადგენლობითი ხარჯი – 50 050 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010

ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge